დანართი №2

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ ახალი ტალღა - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: შორენა ალაგარდაშვილი -

წევრები:

გვანცა ძამაშვილი - ავტორიზაციის ექსპერტი

ირმა ღარიბაშვილი - დარგის ექსპერტი - "სამშენებლო სამღებრო სამუშაოები", "თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი", "სანტექნიკური სამუშაოების შესრულება";

აკაკი გურგენიძე - დარგის ექსპერტი - "ხის მხატვრული დამუშავება"

საბა მოდებაძე - დარგის ექსპერტი - "გათბობის ჰაერის კონდიცირებისა და სამაცივრო სისტემების მომსახურება"

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: **სსიპ კოლეჯი ახალი ტალღა**

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა: **საჯარო სამართლის იურიდიული პირი**

საიდენტიფიკაციო კოდი: **246954620**

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2026 წლის 2 ივლისის №844664 ბრძანებით შეიქმნა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით: შორენა ალაგარდაშვილი (თავმჯდომარე, ავტორიზაციის ექსპერტი), გვანცა ძამაშვილი (წევრი, ავტორიზაციის ექსპერტი), ირმა ღარიბაშვილი (დარგის ექსპერტი - „სამშენებლო სამღებრო სამუშაოები“, „თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი“, „სანტექნიკური სამუშაოების შესრულება“), აკაკი გურგენიძე (დარგის ექსპერტი - „ხის მხატვრული დამუშავება“) და საბა მოდებაძე (დარგის ექსპერტი - „გათბობის ჰაერის კონდიცირებისა და სამაცივრო სისტემების მომსახურება“). აღნიშნული ბრძანებით ჯგუფს დაევალა 2026 წლის 28, 29 და 30 ივლისს ვიზიტის განხორციელება სსიპ კოლეჯში „ახალი ტალღა“ (ქ. ქობულეთი, რუსთაველის №154), პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების „სამშენებლო სამღებრო სამუშაოები“, „თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი“, „სანტექნიკური სამუშაოების შესრულება“, „ხის მხატვრული დამუშავება“ და „გათბობის ჰაერის კონდიცირებისა და სამაცივრო სისტემების მომსახურება“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების მიზნით.

ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2026 წლის 8 ივლისის №897332 ბრძანებით, ცვლილება შევიდა 2026 წლის 2 ივლისის №844664 ბრძანებაში ექსპერტთა ჯგუფის წევრებს შორის ვიზიტის დღეების გადანაწილების ნაწილში.

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, პროგრამების ხელმძღვანელებსა და პროფესიული განათლების მასწავლებლებს და გაეცნო პროგრამების დამატების საჭიროებისა და მიზანშეწონილობის დამადასტურებელ დოკუმენტაციას, მათ შორის ეროვნულ და საერთაშორისო შრომის ბაზრის კვლევებს, დამსაქმებელთა უკუკავშირსა და კოლეჯის 2026-2032 წლების სტრატეგიულ განვითარების გეგმასთან პროგრამების შესაბამისობის დასაბუთებას.

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა პროგრამების განხორციელებაში ჩართული პერსონალის - პროგრამების ხელმძღვანელებისა და პროფესიული განათლების მასწავლებლების - პირადი საქმეები (კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომები, სერტიფიკატები და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია) და გამართა გასაუბრებები განმახორციელებელ პირებთან მოდულების სწავლებისა და შეფასების გამოცდილების შესახებ.

ვიზიტის დღეებში დღის წესრიგის მიხედვით სამ დღეზე განაწილებული პროგრამების ფარგლებში ფიზიკურად დაათვალიერა პროგრამების განსახორციელებლად საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა - A, B და C გარემოები (თეორიული აუდიტორიები და პრაქტიკული ლაბორატორიები). შეესასწავლი ხუთივე პროგრამის სწავლების განხორციელების ფორმა არის იმიტირებული, შესაბამისად განსაკუთრებული ყურადღებით შეისწავლა ექსპერტთა ჯგუფმა C გარემო მისი გამტარნუარიანობა და პროგრამით გათვალისწინებული სავალდებულო რესურსი და რესურსების საკუთრებაში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. ასევე, დანაკლისი რესურსებისთვის დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმები საჭირო აღჭურვილობის შესყიდვის ვადების მიხედვით.

ექსპერტებმა ვიზიტის დროს დაათვალიერეს კოლეჯის ბიბლიოთეკის სივრცე და იქ არსებული პროგრამული საგანმანათლებლო რესურსი (ბეჭდური და ელექტრონული ლიტერატურა) და მისი ხელმისაწვდომობის მექანიზმები, მათ შორის საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებისთვის (სსსმ) გათვალისწინებული ინდივიდუალური მხარდაჭერისა და ადაპტირებული სასწავლო რესურსების საკითხები. ვიზიტის დროს ასევე შესწავლილ და გამოკვეულ იქნა პროგრამების ფინანსური მდგრადობა (საპროგნოზო ბიუჯეტები, შემოსავალ-ხარჯების თანაფარდობა, რენტაბელობის ზღვარი), სასწავლო პროცესის ორგანიზება, სასწავლო გეგმები და მასწავლებელთა დატვირთვა, ასევე პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა - მათ შორის შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაცია და ვერიფიკაცია, შეფასების მტკიცებულებების აღრიცხვა-შენახვა და შედეგების გამოყენება სტუდენტთა შემდგომი განვითარებისთვის და უსაფრთხო შრომისა და ნარჩენების მართვის მექანიზმები.
ყოველი სამუშაო დღის დასასრულს ჯგუფმა დაწესებულების წინაშე წარადგინა შეფასების პროცესში გამოკვეთილი ძირითადი მიგნებები.

III. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

ექსპერტთა ჯგუფის მიერ არ გამოვლენილა საუკეთესო პრაქტიკა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი II. სტანდარტთან შესაბამისობა და რეკომენდაციები

I. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ექსპერტთა ჯგუფის მიერ არ გამოვლენილა ხარვეზი

III. სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

2.2.1.1 - რეკომენდებულია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული მატერიალური რესურსის შეძენა განხორციელდეს ამავე დოკუმენტით განსაზღვრულ ვადაში, 2026 წლის 30 ნოემბერს.

IV. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

ექსპერტთა მიერ არ გაცემულა რეკომენდაცია

V. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

დაწესებულება იზიარებს დასკვნის პროექტში მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებს .

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი III. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	გათბობის, ჰაერის კონდიცირებისა და სამაცივრო სისტემების მომსახურება Heating, Air conditioning and Refrigeration (HACR) Service
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე დონე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია გათბობის, ჰაერის კონდიცირებისა და სამაცივრო სისტემების მომსახურებაში - Secondary Vocational Qualification in Heating, Air conditioning and Refrigeration (HACR) Service;
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0713
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	11/05/2026 N 01-04/128
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, ქობულეთი, რუსთაველის №154
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებული
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	30
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც	-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით *(არსებობის შემთხვევაში)*	
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	60
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;

სსიპ კოლეჯ „ახალი ტალღას“ მიერ საგანმანათლებლო პროგრამა „გათბობის, ჰაერის კონდიცირებისა და სამაცივრო სისტემების მომსახურება“-ს დამატების ინიცირება და შემდგომი განხორციელების შესახებ გადაწყვეტილება მიღებულია კოლეჯში მოქმედი „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგიის“ (დამტკიცებული დირექტორის 2023 წლის 06 ივნისის N01-04/112 ბრძანებით, ცვლილებებით) შესაბამისად დადგენილი პროცედურით.

მეთოდოლოგიის მე-2 მუხლის თანახმად, პროგრამის დამატების ინიცირება ხდება წერილობითი ფორმით, რის საფუძველზეც კოლეჯის საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებისა და მართვის მენეჯერი ამზადებს „პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთებას“.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დირექტორის 2026 წლის 27 თებერვლის №01-04/48 ბრძანებით, ცვლილებული 23 მარტის №01-04/72 ბრძანებით, შეიქმნა შესაბამისი სამუშაო ჯგუფი; ჯგუფის №1-4 ოქმების მიხედვით (04.03.2026-30.04.2026) განხილულ და დამტკიცებულ იქნა პროგრამის მიზანშეწონილობა, კოლეჯის მისიასთან და სტრატეგიულ გეგმასთან შესაბამისობა, საჭირო მატერიალური და ადამიანური რესურსები. კოლეჯის მიერ წარმოდგენილი დასაბუთება არა მხოლოდ ფორმალურად აკმაყოფილებს მეთოდოლოგიით დადგენილ მოთხოვნებს, არამედ შინაარსობრივადაც არის რელევანტური, სწორი და მიზნობრივი კონკრეტულად ამ პროგრამისთვის, კერძოდ:

- ადგილობრივი მოთხოვნის დასაბუთება ეყრდნობა აჭარის რეგიონის სპეციფიკურ ეკონომიკურ პროფილს - ტურიზმის, სასტუმრო ბიზნესის, სამშენებლო სექტორისა და ახალი ინფრასტრუქტურული პროექტების ზრდას, რაც უშუალოდ განაპირობებს გათბობის, კონდიცირებისა და სამაცივრო სისტემების სპეციალისტებზე მოთხოვნას. ეს არგუმენტაცია პირდაპირ უკავშირდება პროგრამის შინაარსს და არ არის ზოგადი ხასიათის დასაბუთება, არამედ დაფუძნებულია რეგიონული სპეციფიკის ანალიზზე (მაგ. აჭარის 2023-2026 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმაზე მითითებით);
- ეროვნულ დონეზე ჩატარებული შრომის ბაზრის კვლევები (LMIS, GFA, PMCG, სამშენებლო ინდუსტრიის 2023 წლის კვლევა) მოცემულია არა ზოგადად, არამედ კონკრეტულად პროგრამის პროფილთან დაკავშირებული მონაცემებით - მაგალითად, მითითებულია, რომ 2023 წელს სამშენებლო ინდუსტრიაში ვაკანსიების 94 ერთეული უშუალოდ ეხებოდა ჰაერის კონდიცირებისა და გაგრილების სისტემის მექანიკოსებს, რაც პროგრამის მიზანშეწონილობის კონკრეტულ, რიცხობრივ დასაბუთებას წარმოადგენს;
- საერთაშორისო შრომის ბაზრის მონაცემები ასევე მიზნობრივადაა შერჩეული - აღწერილია მოთხოვნა HVAC სპეციალისტებზე კონკრეტულ სექტორებში (კომერციული/საცხოვრებელი მშენებლობა, სატრანსპორტო, ჯანდაცვის სექტორი), რაც აჩვენებს, რომ დასაბუთება არ შემოიფარგლება ერთი წყაროთი, არამედ ითვალისწინებს პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმების სხვადასხვა შესაძლო მიმართულებას როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ;
- დამსაქმებელთა უკუკავშირი კონკრეტულად ეხება ტექნიკური განათლების პრაქტიკულ ორიენტირებულობას, სერტიფიცირებასა და თანამედროვე სტანდარტების ცოდნას, რაც შემდგომში აისახება კიდეც პროგრამის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების მიდგომასა და პარტნიორ საწარმოებთან თანამშრომლობაში;
- კოლეჯის საკუთარი გამოცდილება ასევე მიზნობრივადაა გამოყენებული დასაბუთებაში - 2018 წლიდან წარმატებით განხორციელებული „ჰაერის კონდიცირების“ პროგრამის სტატისტიკური მონაცემები (განაცხადებისა და ჩარიცხვის ზრდის დინამიკა 2020-2024 წლებში, ასევე 80%-იანი დასაქმების მაჩვენებელი) წარმოადგენს არა ჰიპოთეტურ, არამედ ემპირიულ საფუძველს იმისა, რომ გაფართოებული პროგრამის („გათბობა, ჰაერის კონდიცირება და სამაცივრო სისტემები“) მიმართაც არსებობს რეალური, დადასტურებადი მოთხოვნა.

აღნიშნული დასაბუთება, ასევე, განხილულ და გაზიარებულ იქნა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის მიერ, რომელმაც 2025 წლის 31 იანვრის №87312 წერილით დაწესებულებას მისცა თანხმობა, საავტორიზაციო განაცხადი წარედგინა პროგრამაზე „გათბობის, ჰაერის კონდიცირებისა და სამაცივრო სისტემების მომსახურება".

გადაწყვეტილება პროგრამის დამატებისა და განხორციელების მიდგომის შესახებ, მეთოდოლოგიის მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, მიღებულია კოლეჯის დირექტორის მიერ ზემოაღნიშნულ დასაბუთებაზე, ასევე კოლეჯის მისიასა და სტრატეგიული განვითარების გეგმაზე დაყრდნობით.

პროგრამა შესაბამისობაშია კოლეჯის მისიით განსაზღვრულ ამოცანებთან, კერძოდ, ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრისთვის კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებასთან, სოციალური ინკლუზიისა და პიროვნული და პროფესიული განვითარების ხელშეწყობასთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამა უზრუნველყოფს ტექნიკური და პრაქტიკული უნარების გამომუშავებას, რომლებზეც დადასტურებული მოთხოვნაა როგორც აჭარის რეგიონში, ისე საერთაშორისო ბაზარზე, ხოლო პროგრამის ხელმისაწვდომობა სხვადასხვა სოციალური ჯგუფისთვის (მათ შორის დაბალშემოსავლიანი მოსახლეობისთვის) პირდაპირ უკავშირდება მისიით გათვალისწინებულ სოციალური კეთილდღეობის ზრდის მიზანს.

პროგრამის დამატება ეყრდნობა და შეესაბამება კოლეჯის 2026-2032 წლების სტრატეგიულ განვითარების გეგმას შემდეგი მიმართულებებით:

- სტრატეგიული მიზანი N1-ის ფარგლებში, ერთ-ერთი ამოცანაა შრომის ბაზრის კვლევებზე დაყრდნობით პროგრამების განახლება/დამატება, რასაც წინამდებარე პროგრამის დამატება უშუალოდ წარმოადგენს პრაქტიკულ გამოვლინებას;
- სტრატეგიული მიზანი N2-ის ფარგლებში გათვალისწინებულია დამსაქმებლებთან თანამშრომლობის გაღრმავება პრაქტიკული სწავლების მიზნით, რასაც პროგრამა პირდაპირ ემსახურება რეალურ სამუშაო გარემოსთან და დარგის სპეციალისტებთან თანამშრომლობის გზით;
- სტრატეგიული მიზანი N4-ის ფარგლებში პროგრამა უკავშირდება კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობასა და რეგიონული პარტნიორობების გაძლიერებას;

აქედან გამომდინარე, პროგრამის დამატების შესახებ პსდ-ს გადაწყვეტილება ეყრდნობა კანონმდებლობით და კოლეჯის შიდა მეთოდოლოგიით დადგენილ პროცედურას, შინაარსობრივად რელევანტურ, კონკრეტულ და მიზნობრივ დასაბუთებას და სრულ შესაბამისობაშია კოლეჯის მისიასთან და 2026-2032 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმის მიზნებთან.

ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, 2.1.1.1. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „გათბობის, ჰაერის კონდიცირებისა და სამაცივრო სისტემების მომსახურება" დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება, რაც შეესაბამება პროგრამის NQF-ის მე-4 დონეს.

პროგრამის სწავლის შედეგები მოიცავს არა მხოლოდ ტექნიკურ-ტექნოლოგიურ კომპონენტს (სისტემების მუშაობის პრინციპების აღწერა, საპროექტო დოკუმენტაციის წაკითხვა, სისტემების მონტაჟი, გაშვება-გამართვა და დემონტაჟი), არამედ ზედამხედველობით ფუნქციასაც. პროგრამა ასევე მოითხოვს საპროექტო/ტექნიკური დოკუმენტაციის გააზრებულ წაკითხვას, რაც უფრო მაღალი დონის ანალიტიკურ და აბსტრაქტულ აზროვნებას საჭიროებს, ვიდრე მხოლოდ საბაზისო წიგნიერება.

სრული ზოგადი განათლება უზრუნველყოფს ტექნიკური დოკუმენტაციისა და საპროექტო ნახაზების გააზრებული წაკითხვისთვის საჭირო ანალიტიკურ საბაზისო კომპეტენციას; სისტემების ფუნქციონირების პრინციპების გააზრებისთვის საჭირო ზოგადი საბუნებისმეტყველო/ტექნიკური წიგნიერების დონეს; მცირე სამუშაო ჯგუფის ზედამხედველობისთვის საჭირო კომუნიკაციისა და პასუხისმგებლობის უნარებს.

დაწესებულებას დამტკიცებული აქვს პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის წესი და პირობები (ბრძ.№01-04/107, 26.06.2024 , რომლის მიზანია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე აპლიკანტთა შერჩევისა და ჩარიცხვის პროცესის რეგულირება ობიექტურობის, გამჭვირვალობისა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინკლუზიურობის პრინციპებზე დაყრდნობით. კოლეჯი ვალდებულია დაინტერესებულ პირს მიაწოდოს ინფორმაცია კონკრეტულ პროგრამაზე დაშვების წინაპირობებისა და შერჩევის თავისებურებების შესახებ, ასევე დაეხმაროს რეგისტრაციის პროცედურებში. პროგრამაზე ჩარიცხვის პროცესი მოიცავს ეტაპობრივ სისტემას ანკეტა-კითხვარის შევსება, აპლიკანტთა რეგისტრაცია, შერჩევა, რეიტინგული სიის შედგენა და შედეგების გამოცხადება რაც უზრუნველყოფს პროცედურის გამჭვირვალობასა და თანმიმდევრულობას. აღნიშნული წესით დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიულ პროგრამის მოთხოვნის შესაბამისი აპლიკანტის შერჩევას, წინაპირობების გათვალისწინებით რათა ჩარიცხულმა პირმა შეძლოს პროგრამის განხორციელების ვადაში სწავლის შედეგების მიღწევა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2.1.1.2. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „გათბობის, ჰაერის კონდიცირებისა და სამაცივრო სისტემების მომსახურება" პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განსაზღვრულია სსიპ კოლეჯის „ახალი ტალღა" 2022 წლის 14 იანვრის №01-04/06 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის" შესაბამისად.

პროგრამის დანართში (№13) მითითებულია:

- **განხორციელების მიდგომა:** იმიტირებული, სწავლა ორ ცვლაში, შეჭრილი გრაფიკით;
- **A გარემო:** 15 პროფესიული სტუდენტისთვის გათვლილი რესურსი;
- **C გარემო:** 15 პროფესიული სტუდენტისთვის გათვლილი რესურსი;
- **ადამიანური რესურსის რაოდენობა:** 14;
- **მოთხოვნილი კვოტა: 30 პროფესიული სტუდენტი.**

მეთოდოლოგიის შესაბამისად, ორცვლიანი სწავლების და შეჭრილი გრაფიკის პირობებში იზრდება სასწავლო გარემოს გამტარიანობა, რაც A/C გარემოების საბაზისო რესურსთან და ადამიანურ რესურსთან (14) ერთად საფუძვლად დაედო პროგრამის ზღვრული რაოდენობის განსაზღვრას 30 პროფესიულ სტუდენტზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2.1.1.3. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული რესურსები საგანმანათლებლო სტანდარტის მოთხოვნებთან სრულ თანხვედრაშია და პროფესიულ სტუდენტებს პროგრამით დასახული სწავლის შედეგების მიღწევის საშუალებას აძლევს. კოლეჯს პროგრამის განსახორციელებლად შექმნილი აქვს სათანადო სასწავლო გარემო (A და C გარემოები), რომელიც პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზით არის უზრუნველყოფილი.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში მოცემულია იმ აღჭურვილობისა და მატერიალური საშუალებების სრული ნუსხა, რომლებიც მოდულების სწავლების პროცესში გამოიყენება. ეს რესურსები თითოეული მოდულისთვის საგანმანათლებლო სტანდარტით გათვალისწინებულ სავალდებულო და სარეკომენდაციო აღჭურვილობას სრულად შეესატყვისება.

პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსები თავისი შინაარსით მოდულების მიზნებსა და სწავლის შედეგებს ესადაგება, ხოლო მათი ოდენობა და ხელმისაწვდომობა სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარმართვასა და სტუდენტების როგორც პრაქტიკული, ისე თეორიული უნარების ჩამოყალიბებას უწყობს ხელს.

ყველა საგანმანათლებლო რესურსი განთავსებულია კოლეჯის ბიბლიოთეკაში, დამუშავებულია მოქმედი საბიბლიოთეკო წესების დაცვით და ხელმისაწვდომია როგორც პროფესიული სტუდენტებისთვის, ისე პროგრამის განმახორციელებელი პერსონალისთვის.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2.1.1.4. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;

საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 6-კრედიტიან არჩევით მოდულს „სავენტილაციო სისტემების მონტაჟი“, რომელიც შინაარსით და დანიშნულებით უკავშირდება პროგრამის მიზნებს, სტუდენტისთვის მისანიჭებელ კვალიფიკაციასა და მისი მომავალი პროფესიული საქმიანობის სპეციფიკას. მოდულის დამატება ხელს უწყობს სტუდენტის პრაქტიკული უნარ-ჩვევების გაღრმავებას, დამატებითი კომპეტენციების ჩამოყალიბებას და შესაბამის დარგში დასაქმების პერსპექტივების გაუმჯობესებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2.1.1.5. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;

კოლეჯის დირექტორის 2023 წლის 6 ივნისის N01-04/112 ბრძანებით (ცვლილება შეტანილია 2025 წლის 27 მაისის N01-04/106 ბრძანებით) დამტკიცდა „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია“. აღნიშნული მეთოდოლოგიის მე-5 მუხლის მიხედვით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა კოლეჯის დირექტორს დასამტკიცებლად წარედგინება ხარისხის მართვის მენეჯერის დადებითი დასკვნის საფუძველზე, რის შემდეგაც პროგრამას კოლეჯის დირექტორი ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით ამტკიცებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საგანმანათლებლო პროგრამა „გათბობის, ჰაერის კონდიცირებისა და სამაცივრო სისტემების მომსახურება“ დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის, კოლეჯის დირექტორის, 2026 წლის 11 მაისის N01-04/128 ბრძანებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2.1.1.6. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება - „გათბობის, ჰაერის კონდიცირებისა და სამაცივრო სისტემების მომსახურება“ (Heating, Air conditioning and Refrigeration (HACR) Service) - პროგრამა დამტკიცებულია დირექტორის 2026 წლის 11 მაისის N01-04/128 ბრძანებით. სრულად შეესაბამება პროგრამის შინაარსსა და მისით გათვალისწინებულ მოდულებს, რომლებიც სწორედ გათბობის, ჰაერგამწმენდი და სამაცივრო დანადგარების მონტაჟის, ექსპლუატაციისა და მომსახურების საკითხებს მოიცავს. სახელწოდება იდენტურია პროგრამის საფუძვლად არსებული პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის დასახელებისა (სარეგისტრაციო ნომერი 07.10.1) და ცალსახად ასახავს პროგრამით მისანიჭებელ საშუალო პროფესიულ კვალიფიკაციას. სახელწოდება არ შეიცავს ისეთ ტერმინოლოგიას ან ფორმულირებას, რომელმაც შესაძლოა შეცდომაში შეიყვანოს პროფესიული სტუდენტი პროგრამის შინაარსთან, მიზანთან ან მისაღწევ სწავლის შედეგებთან მიმართებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2.1.1.7. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მომზადებულია კოლეჯში მოქმედი „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგიის“ საფუძველზე, რომელიც დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2023 წლის 06 ივნისის №01-04/112 ბრძანებით, ხოლო ცვლილება შეტანილია 2025 წლის 27 მაისის №01-04/106 ბრძანებით. პროგრამის შინაარსობრივი საფუძველია ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს გენერალური დირექტორის 2025 წლის 19 მარტის №302840 ბრძანებით რეგისტრირებული პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი „თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი“, რომელშიც ცვლილება განხორციელდა 2025 წლის 15 ივლისის №873236 ბრძანების საფუძველზე.

პროგრამა მოიცავს ყველა ძირითად კომპონენტს, მათ შორის: პროგრამის სახელწოდებას, მიზანს, მისანიჭებელ კვალიფიკაციას, ჩარიცხვის წინაპირობებს, სწავლის შედეგებს, შეფასების სისტემას, პროგრამის მოცულობასა და განხორციელების ვადას, სწავლების მეთოდებსა და პრაქტიკული სწავლების ორგანიზების წესს. პროგრამის დოკუმენტაციაში ასევე წარმოდგენილია სასწავლო გეგმა, პროგრამის მოდულები, მათ შორის არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის განკუთვნილი მოდული „ქართული ენა A2“, აგრეთვე ინფორმაცია ადამიანური და მატერიალური რესურსების შესახებ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2.1.1.8. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კოლეჯის მისია, ხედვა, ღირებულებები;
- კოლეჯის 2026-2032 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- პროგრამის დამატების განაცხადის დანართი 4 - მიზანშეწონილობის დასაბუთება;
- დირექტორის 2026 წლის 27 თებერვლის №01-04/48 ბრძანება სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ, ცვლილება - №01-04/72, 23.03.2026;
- სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმები №1-4 (04.03.2026-30.04.2026);
- „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია" - დამტკიცებული დირექტორის ბრძანებით №01-04/112, 06.06.2023, ბოლო ცვლილება - №01-04/106, 27.05.2025;
- პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის წესი და პირობები - დამტკიცებული ბრძანებით №01-04/107, 26.06.2024;
- პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია - დამტკიცებული ბრძანებით №01-04/06, 14.01.2022;
- დანართი 13: პროგრამის ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის დოკუმენტაცია (A და C გარემოებისა და ადამიანური რესურსის გაანგარიშება);
- საგანმანათლებლო პროგრამა „გათბობის, ჰაერის კონდიცირებისა და სამაცივრო სისტემების მომსახურება" (მატერიალური და საგანმანათლებლო რესურსის ნუსხა, არჩევითი მოდული, მოდულები, სასწავლო გეგმა) - დამტკიცებული დირექტორის ბრძანებით №01-04/128, 11.05.2026;
- დანართი 7 - საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს პროფესიული განათლების დეპარტამენტის თანხმობის წერილი - 31.01.2025 , N87312
- ინტერვიუს შედეგები ადმინისტრაციასთან და პროგრამის შემუშავების ჯგუფთან.

შეფასება

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;**

სსიპ კოლეჯ „ახალი ტალღას“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „გათბობის, ჰაერის კონდიცირებისა და სამაცივრო სისტემების მომსახურება“ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული ორი ტიპის სასწავლო გარემოთი A და C რომლებიც სრულად შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ვიზიტის ფარგლებში შესაწავლილ და დათვარიელებულ იქნა ყველა სასწავლო გარემო რესურსი და რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია რაც სრულ თანხვედრაში და შესაბამისობაში აქვს კოლეჯს, რესურსის დანაკლისის შესაძენად კი წარმოდგენილია შესაბამისობის გეგმა. ვიზიტის შედეგად დადასტრდა შემდეგი სახის უზრუნველყოფა:

- A ტიპის სასწავლო გარემო - III - 209 აუდიტორია, წარმოადგენს შენობის შიგნით მოწყობილ თეორიული და ჯგუფური მუშაობისთვის აღჭურვილ გარემოს, პროფესიული სტუდენტისა და პედაგოგის სამუშაო ადგილებით სულ 15 სტუდენტისთვის, დაფითა და ინტერნეტში ჩართული კომპიუტერით, საჭიროებისამებრ დემონსტრირების საშუალებით (პროექტორი).
- C ტიპის გარემო კი წარმოადგენს სპეციალურად აღჭურვილ პრაქტიკულ სივრცეს, ლაბორატორია - III 102, რომელიც სრულად შეესაბამება შრომის უსაფრთხოების სტანდარტებს და უზრუნველყოფს პრაქტიკული უნარების როგორც ინდივიდუალურ და ისე ჯგუფურ დონეზე გამომუშავებას. თითოეული გარემო არის 15 პროფესიული სტუდენტი, ხოლო C გარემო ორცვლიანი სწავლების პირობებში უზრუნველყოფს ჯამში 30 პროფესიული სტუდენტის მომსახურებას.
- მატერიალური რესურსის თვალსაზრისით, A გარემო სრულად აღჭურვილია საჭირო ინვენტარით (სამუშაო ადგილები, კომპიუტერი, დაფა, პროექტორი). C გარემო აღჭურვილია პრაქტიკული სწავლებისთვის აუცილებელი სპეციალიზებული ინსტრუმენტებითა და აპარატურით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შემდეგელი მოწყობილობებით, ვაკუუმ ტუმბოებით, მანომეტრებით, სამაცივრე კონტროლერებით და სხვა პროფესიული აღჭურვილობით, ასევე სავენტილაციო სისტემების მონტაჟისთვის საჭირო დამატებითი აღჭურვილობით.

როგორც აღნიშნა, კოლეჯს წარმოდგენილი აქვს შესაბამისობის გეგმა (დამტკიცებული ბრძანებით №01-04/193, 27.05.2026), რომელიც ითვალისწინებს C გარემოსთვის დანაკლისი აღჭურვილობის შესყიდვა კერძოდ, ისეთი საკვანძო დანადგარების შეძენა, როგორებიცაა: **ვაკუუმ ტუმბო, ფრეონის ჟონვის დეტექტორი, მანომეტრი, მაცივარაგენტის შემგროვებელი აპარატი და ა.შ.** აღნიშნული რესურსი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის მაღალ სტანდარტს და სტუდენტებს მისცემს შესაძლებლობას, პრაქტიკულად აითვისონ როგორც სისტემების მონტაჟი/დემონტაჟი, ისე მათი ტექნიკური მომსახურება და შეკეთება. შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულია, რომ დანაკლისის შევსება დასრულდება 2026 წლის 30 ნოემბერს. ექსპერტთა მიერ მოცემული ინდიკატორი შეფასდა მეტწილად და გაიწერა განმავითარებელი რეკომენდაცია.

დამატებითად უნდა აღინიშნოს, რომ მოდულები რომელსაც C სასწავლო გარემო ესაჭიროება, სასწავლო გეგმის მიხედვით ისე არის დალაგებული, რომ სასწავლო პროცესი არ შეფერხდება შესაბამისობის გეგმით შესაძენი რესურსების გამო.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2.2.1.1. ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „გათბობის, ჰაერის კონდიცირებისა და სამაცივრო სისტემების მომსახურება" განხორციელებისთვის განსაზღვრულია მასწავლებელთა ისეთი რაოდენობა და ორგანიზება, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. დანართი N2-ის მიხედვით, პროგრამის ყველა მოდულზე (როგორც ზოგად, ისე დარგობრივ) იდენტიფიცირებულია მინიმუმ ორი განმახორციელებელი, ხოლო პროგრამაში სულ ჩართულია 14 პროფესიული განათლების მასწავლებელი/განმახორციელებელი. მათგან 2 არის დარგობრივი და არჩევითი მოდულების განმახორციელებელი (თითოეული მათგანი ჩართულია ყველა დარგობრივ მოდულზე), ხოლო 12 - ზოგადი მოდულების განმახორციელებელი; ორივე კატეგორიაზე ერთდროულად მომუშავე პირი პროგრამაში არ ფიქსირდება.

ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის დოკუმენტით (დანართი N13) დადასტურებულია, რომ სასწავლო გეგმა ისეა ორგანიზებული, რომ შესაძლებელი იყოს ორი 15-კაციანი ჯგუფის (ჯამში 30 სტუდენტი) შეუფერხებელი სწავლება ორცვლიან, შეჭრილი გრაფიკის რეჟიმში, ხოლო ერთ პროგრამაზე პროფესიული მასწავლებლის საკონტაქტო დატვირთვა არ აღემატება კვირაში 32 საათს. შესაბამისად, მასწავლებელთა რაოდენობა, თითოეულ მოდულზე მინიმუმ ორი განმახორციელებლის არსებობა და პროგრამის ორგანიზაციული დაგეგმვა ქმნის პროგრამის განხორციელების მდგრადობის საკმარის საფუძველს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2.2.1.2. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

სსიპ კოლეჯ „ახალი ტალღის" დირექტორის 2025 წლის 17 თებერვლის №01-04/28 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო აღწერილობის" თანახმად, მასწავლებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნებია მინიმუმ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხი დარგში ან/და პროფესიული განათლება დარგში და შესაბამისი სამუშაოს მინიმუმ 3-წლიანი გამოცდილება. მასწავლებლის ფუნქციაა პროგრამით გათვალისწინებული საკონტაქტო საათების მაღალ დონეზე ჩატარება შესაბამისი სასწავლო რესურსების გამოყენებით, ხოლო მოვალეობებში შედის შეფასების ინსტრუმენტის მომზადება და პროგრამის ხელმძღვანელთან შეთანხმება, შეფასების პროცესის ობიექტურად წარმართვა და მტკიცებულებების მოგროვება-შენახვა/გადაცემა პროგრამის ხელმძღვანელისთვის.

„გათბობის, ჰაერის კონდიცირებისა და სამაცივრო სისტემების მომსახურება" პროგრამის განმახორციელებელ მასწავლებელთა პირადი საქმეები მოიცავს კვალიფიკაციის დამადასტურებელ დიპლომებსა და სერტიფიკატებს, ასევე პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლების პრაქტიკული გამოცდილების დამადასტურებელ დოკუმენტაციას, რაც მასწავლებელთა სწავლების და შეფასების კომპეტენციის საფუძველს წარმოადგენს.

ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფს ჰქონდა შესაძლებლობა გასაუბრება ჩაეტარებინა ყველა განმახორციელებელთან. ინტერიუს პროცესში მასწავლებლების მიერ დასახელდა წლების გამოცდილება მოდულების სწავლების და შეფასების მიმართულებით, მათ შორის როგორც ზოგადი მოდულების ისე დარგობრივი მიმართულებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2.2.1.3. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;

სსიპ კოლეჯ „ახალი ტალღის" დირექტორის 2025 წლის 17 თებერვლის №01-04/28 ბრძანებით დამტკიცებული „პროგრამის ხელმძღვანელის სამუშაო აღწერილობის" თანახმად, პროგრამის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნებია მინიმუმ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხი ან პროფესიული განათლება შესაბამის დარგში ან/და დარგში მუშაობის გამოცდილება. პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია-მოვალეობებში შედის საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება მასწავლებლებთან ერთად, პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციის პროცესის ხელმძღვანელობა, კალენდარული გეგმების ვალიდაცია/მონიტორინგი, შეფასების ინსტრუმენტის შემუშავებაში მასწავლებელთა კონსულტირება, ამ ინსტრუმენტის ვალიდაცია და პროგრამის შეფასების პროცესების მართვა (პროცესზე დასწრება, მტკიცებულებათა საკმარისობისა და ვალიდურობის დადგენა).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამა „გათბობის, ჰაერის კონდიცირებისა და სამაცივრო სისტემების მომსახურება"-ს ხელმძღვანელია ვიქტორ ლევიტანი, რომელიც ამავდროულად პროგრამის პროფესიული მოდულის განმახორციელებელია. მისი პირადი საქმე მოიცავს კვალიფიკაციის დამადასტურებელ დოკუმენტაციას, ასევე სწავლა-სწავლებისა და შეფასების მიმართულებით გავლილი გადამზადებებისა და ტრენინგების დამადასტურებელ სერტიფიკატებს, რაც მისი დარგობრივი და პედაგოგიური კომპეტენციის საფუძველს წარმოადგენს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2.2.1.4. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

კოლეჯის ბიბლიოთეკის დებულების თანახმად, ბიბლიოთეკაში განთავსებულია საგანმანათლებლო ერთეულების სახელმძღვანელო, დამხმარე და მეთოდური ლიტერატურა, ბეჭდვითი გამოცემები და ელექტრონული რესურსები. ბიბლიოთეკა უზრუნველყოფს მკითხველთა სრულ დაკმაყოფილებას მათთვის საჭირო ლიტერატურითა და საბიბლიოთეკო დოკუმენტებით, მათ შორის ბეჭდური, ხელნაწერი, ელექტრონული და ინფორმაციის შემცველი სხვა მასალებით. ადგილზე შემოწმებით დადასტურდა, რომ დაწესებულების ბიბლიოთეკა აღჭურვილია პროგრამით გათვალისწინებული მატერიალური რესურსით, მათ შორის: რ. ჟორჟოლიანის სახელმძღვანელოთი „სიცივე “, რ. ჟორჟოლიანისა და ზ. სულაძის ნაშრომით „სამაცივრო ტექნიკის ოზონუსაფრთხო მომსახურების თანამედროვე პრაქტიკა “, ზ. კვინიკაძისა და რ. ჟორჟოლიანის წიგნით „ჰაერის კონდიცირების მოწყობილობების მონტაჟი, ექსპლუატაცია და რემონტი “, ასევე სტუ-ს გამოცემით „სამაცივრო ტექნიკა “.

პარალელურად, აღნიშნული სასწავლო მასალები ხელმისაწვდომია ელექტრონული ფორმატით როგორც ბიბლიოთეკის კომპიუტერული ლოკაციებიდან, ისე ონლაინ სივრციდან, რაც უზრუნველყოფს ყველა პროფესიული სტუდენტისათვის რესურსებზე შეუფერხებელ წვდომას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2.2.1.5. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

სსიპ კოლეჯ „ახალი ტალღაში“ სსსმ პირთა წვდომა სასწავლო რესურსებზე რეგულირდება დირექტორის 2026 წლის 24 მარტის №01-04/74 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ IX თავით (ინკლუზიური განათლება), კონკრეტულად - 45-ე მუხლით.

წესის 45-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, კოლეჯი უზრუნველყოფს სსსმ და შშმ პირთათვის ინდივიდუალურად მორგებულ სასწავლო პროცესს, საჭირო სპეციალურ საგანმანათლებლო მომსახურებას, ასევე სასწავლო გარემოს ხელმისაწვდომობას, რაც პირდაპირ მოიცავს არა მხოლოდ ზოგად, არამედ სპეციფიკურად ადაპტირებულ სასწავლო რესურსებზე წვდომასაც. მუხლის მე-2 პუნქტი აკონკრეტებს, რომ ინკლუზიური განათლების დანერგვის მიზნით კოლეჯი საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს დამატებითი ადამიანური და მატერიალური რესურსის მობილიზებას, რაც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უზრუნველყოფს სსსმ/შშმ პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ჩართვას სასწავლო პროცესში და მათთვის შესაბამისი სასწავლო გარემოს შექმნას, ანუ რესურსების ადაპტირება ხდება არა ერთჯერადად, არამედ საჭიროებაზე მორგებული, დინამიური მექანიზმით.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მე-4 პუნქტი, რომელიც ითვალისწინებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას სსსმ პროფესიული სტუდენტისთვის/მსმენელისთვის საჭიროების შემთხვევაში, რაც პირდაპირ პასუხობს ინდიკატორის იმ ნაწილს, სადაც საუბარია არა მხოლოდ პროგრამით, არამედ ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ რესურსებზეც. ინდივიდუალური გეგმის შემუშავებით კოლეჯი უზრუნველყოფს, რომ სასწავლო რესურსი მორგებული იყოს კონკრეტული პირის საჭიროებაზე ზოგადი პროგრამული ჩარჩოს ფარგლებში.

ამასთან, წესის მე-5 პუნქტი აფართოებს ხელმისაწვდომობის მასშტაბს ფიზიკურ გარემომდეც: შშმ პირებს გარანტირებული აქვთ თავისუფალი წვდომა აუდიტორიებთან, პერსონალის სამუშაო ოთახებთან, ბიბლიოთეკასთან (რომელიც სასწავლო რესურსის ერთ-ერთი ძირითადი წყაროა), სპეციალურად მოწყობილ სანიტარულ კვანძთან და კოლეჯის სხვა სივრცეებთან, რაც აუცილებელია სრულფასოვანი საგანმანათლებლო, ადმინისტრაციული და ექსტრაკურიკულური სერვისების მისაღებად.

დამატებით, წესის მე-3 პუნქტი ადგენს, რომ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე გამოცხადებული სტუდენტთა ზღვრული ოდენობის ფარგლებში 15%-მდე კვოტა ეთმობა სსსმ პირებს, რაც სისტემურ, ინსტიტუციურ დონეზე უზრუნველყოფს ინკლუზიის შესაძლებლობას.

ვიზიტის ფარგლებში პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ მათ აქვთ გამოცილება ინდ. გეგმებით სწავლების წარმართვის და მყისიერად რეაგირებენ საჭიროებებზე და უზრუნველყოფენ პროგრამით/ინდ.გეგმით განსაზღვრულ რესურსებზე ხელმისაწვდომობას და მათ ადაპტირებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2.2.1.6. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი „გათბობის, ჰაერის კონდიცირებისა და სამაცივრო სისტემების მომსახურება" შედგენილია საშემოსავლო და ხარჯვითი ნაწილების დაბალანსებული თანაფარდობით, რაც უზრუნველყოფს პროგრამის ფინანსურ მდგრადობას. პროგრამის შემოსავალი ფორმირდება სახელმწიფო ვაუჩერული დაფინანსების წყაროდან, ხოლო რენტაბელობის ზღვარი განისაზღვრება - 10 სტუდენტი.

ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი სტრუქტურირებულია ოთხი ძირითადი კატეგორიის მიხედვით: შრომის ანაზღაურება (ძირითადი ხვედრითი წილი), ნედლეული და მასალები, აღჭურვილობის ამორტიზაციის ხარჯი და გაუთვალისწინებელი ხარჯების რეზერვი, რაც უზრუნველყოფს როგორც სასწავლო პროცესის შეუფერხებელ მიმდინარეობას (მასწავლებელთა ანაზღაურება, პრაქტიკული სწავლებისთვის საჭირო მასალები, ტექნიკური აღჭურვილობის მდგრადობა), ისე მოულოდნელი ხარჯების დაფარვის შესაძლებლობას. ბიუჯეტის დაგეგმვისას გათვალისწინებულია, რომ საერთო შემოსავალი აღემატება საერთო ხარჯებს, რაც ადასტურებს პროგრამის ფინანსურ თვითკმარობასა და მდგრადობას მისი სრული ციკლის განმავლობაში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2.2.1.7. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- საგანმანათლებლო პროგრამა „გათბობის, ჰაერის კონდიცირებისა და სამაცივრო სისტემების მომსახურება" (მატერიალური რესურსის ნუსხა, განმახორციელებლები, არჩევითი მოდული, მოდულები, სასწავლო გეგმა) - დამტკიცებული დირექტორის ბრძანებით №01-04/128, 11.05.2026;
- A და C გარემოების ფიზიკური დათვალიერების შედეგები და რესურსის საკუთრებაში ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- შესაბამისობის გეგმა (C გარემოსთვის საჭირო აღჭურვილობის შესყიდვის თაობაზე) - დამტკიცებული ბრძანებით №01-04/193, 27.05.2026;
- დანართი 13. პროგრამის ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის დოკუმენტაცია
- „პროფესიული განათლების მასწავლებლის და პროგრამის ხელმძღვანელის სამუშაო აღწერილობა" - დამტკიცებული ბრძანებით №01-04/28, 17.02.2025;
- პირადი საქმეები
- კოლეჯის ბიბლიოთეკის დებულება - დამტკიცებული 2023 წლის 06 ივნისის N01-04/115 ბრძანებით
- ბიბლიოთეკის კატალოგი და მასალები;
- პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი.
- „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი" - დამტკიცებული ბრძანებით №01-04/74, 24.03.2026;
- გასაუბრებების შედეგები პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან, პასუხისმგებელ პირებთან სსსმ პირთა მხარდაჭერის საკითხებზე;

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კოლეჯს შემუშავებული აქვს პროგრამის შეფასების მექანიზმი, რომლის მიხედვითაც ზედამხედველობს პროგრამის განხორციელებას და საჭიროების შემთხვევაში ითვალისწინებს ცვლილებების შეტანას. შემუშავებული შეფასების სისტემა განსაზღვრულია დირექტორის 2023 წლის 06 ივნისის N01-04/112 (ცვლილება: 27/05/2025 N 0104/106 ბრძანება) ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგიით.

მეთოდოლოგიის მუხლი 7 არეგულირებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და განვითარების პროცესებს, რაც მოიცავს: პროგრამების შინაარსობრივი ასპექტების შეფასებას; სწავლა-სწავლების პროცესის მიმდინარეობის ადეკვატურობის დადგენას; მოდულის განმახორციელებელი პირების საქმიანობის შეფასებას; მატერიალურ-ტექნიკური რესურსის, მასალა-ნედლეულის საკმარისობის, ავთენტურობის შეფასებას; ვერიფიკაციას. კოლეჯში მოქმედებს უკუკავშირის მექანიზმი და შედეგების შეფასების საფუძველზე, პროგრამის გაუმჯობესება/განვითარების მიზნით გათვალისწინებულია ცვლილებების განხორციელება. პროგრამის შეფასების შედეგების მიხედვით ხარისხის მართვის მენეჯერი კოლეჯის დირექტორს წარუდგენს შესაბამის რეკომენდაციებს, რომლის საფუძველზეც შესაძლოა კოლეჯმა პროგრამაში ცვლილებები განახორციელოს, როგორც საკუთარი შესაძლებლობის ფარგლებში, ასევე სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წინადადების ინიცირების გზით.
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების უზრუნველსაყოფად კოლეჯში მოქმედებს დემინგის ციკლის გათვალისწინებით შემუშავებული ხარისხის შიდა მექანიზმი. მექანიზმის მიხედვით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება-განვითარების პროცესი ციკლურია და მოიცავს: პროგრამების დაგეგმვას, ახალი პროგრამის დამატებას, პროგრამაში ცვლილებების შეტანას, ვერიფიკაციას, მონიტორინგის მექანიზმების განსაზღვრას.

პროგრამის შეფასების პროცესი ითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა, პროფესიულ მასწავლებელთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა მოსაზრებების დადგენას, რისთვისაც კოლეჯს შემუშავებული აქვს კვლევის კითხვარები:

- პროფესიული სტუდენტის კითხვარი ავტორიზაციის II სტანდარტის შეფასების მიზნით;
- პროფესიული განათლების მასწავლებლის კითხვარი ავტორიზაციის II სტანდარტის შეფასების მიზნით
- კითხვარი კურსდამთავრებულებისათვის
- პარტნიორი ორგანიზაციის კითხვარი ავტორიზაციის II სტანდარტის შეფასების მიზნით

პროგრამის შეფასების მიზნით განხორციელებული კვლევების სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს კოლეჯის შიდა (პროგრამის ხელმძღვანელები, პროფესიული მასწავლებლები, პროფესიული სტუდენტები, კურსდამთავრებულები) და გარე (დამსაქმებლები, პრაქტიკის ობიექტები) დაინტერესებული მხარეები, რაც უზრუნველყოფს დაინტერესებული პირების უკუკავშირის გათვალისწინებას პროგრამის შეფასების პროცესში. აღნიშნულ პროცესებში კოლეჯის გარე დაინტერესებული მხარეების ჩართვა უზრუნველყოფს პროგრამის შინაარსობრივი მხარისა და კურსდამთავრებულთა კომპეტენციების შეფასებას შრომის ბაზრის მოთხოვნებთან მიმართებით. დამსაქმებელთა კვლევის მიზანია საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებისა და სრულყოფის მიზნით პროფესიული სტუდენტებისა და კურსამთავრებულების დასაქმების ან სტაჟირების მიმართ დამსაქმებელთა დამოკიდებულებების შესწავლა. კვლევის მეთოდს წარმოადგენს რაოდენობრივი კვლევა და შემუშავებულია წინასწარ სტრუქტურირებული კვლევის კითხვარი, რომელიც მოიცავს ღია და დახურულ შეკითხვებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ვიზიტის ფარგლებში, ექსპერტთა ჯგუფის მიერ პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ პროგრამის შეფასების მიზნით ხორციელდება სპეციალური შეფასების ფორმის წარმოება. დაწესებულების წარმომადგენელთა განცხადებით, გარდა ფორმის მოთხოვნის შესაბამისი მონაცემების ასახვისა, ისინი ამუშავებენ სხვადასხვა ტიპის მონაცემებს, რომლებიც პროგრამის შეფასების ფორმის EQAVET ინდიკატორების ნაწილში აქვთ გაანალიზებული და რომელსაც იყენებენ პროგრამის შეფასებისა და განვითარებისთვის. აღნიშნული პრაქტიკა, ინტერვიუს დროს მოწოდებული ინფორმაციით, გამოყენებული იყო პროგრამის წინა სტანდარტის ფარგლებში განხორციელებული სწავლების პერიოდშიც.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2.3.1.1. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კოლეჯში პროგრამების განხორციელების ხარისხის მონიტორინგისა და განვითარების პროცესის ეფექტიანი დანერგვის უზრუნველყოფის მიზნით, კოლეჯის დოკუმენტაციის მიხედვით, ფუნქციონირებს ხარისხის მართვის მენეჯერისა და ხარისხის მართვის კოორდინატორის საშტატო ერთეულები. პროგრამის შეფასების შედეგად მიღებული მონაცემები გამოიყენება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების გაუმჯობესებისა და სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლების მიზნით.

დირექტორის 2023 წლის 06 ივნისის N01-04/112 (ცვლილება: 27/05/2025 N 0104/106 ბრძანება) ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგიის მუხლი 6 ითვალისწინებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების შეტანას. მეთოდოლოგიის შესაბამისად პროგრამაში ცვლილების შეტანა შესაძლებელია კოლეჯში მეთოდოლოგიით განსაზღვრული პროგრამის შეფასების შედეგების ანალიზის, სსსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის დოკუმენტში ცვლილების განხორციელების, შრომის ბაზრის მოთხოვნის ან სხვა გარემოების საფუძველზე. მეთოდოლოგიით განსაზღვრულია პირები, ვისაც შეუძლია პროგრამაში ცვლილების ინიცირება. ესენია: კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი, საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებისა და მართვის მენეჯერი, პროგრამის ხელმძღვანელი, მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებელი, კოლეჯის პარტნიორი ორგანიზაცია და სხვა დაინტერესებული პირები. პროგრამაში ცვლილებების განხორციელების შემთხვევაში, მოდიფიცირებული საგანმანათლებლო პროგრამას დასამტკიცებლად დირექტორს წარუდგენს საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებისა და მართვის მენეჯერი, ხოლო ცვლილება ხორციელდება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. მეთოდოლოგია ასევე ითვალისწინებს საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების შესახებ ინფორმაციის გავრცელებას. ცვლილების შესახებ ინფორმაცია კოლეჯის ადმინისტრაციასა და პროფესიული განათლების მასწავლებლებს ეცნობებათ ეფლოუს საშუალებით და დამტკიცებული პროგრამა განთავსდება კოლეჯის ვებ-გვერდზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2.3.1.2. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

- „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია“ 2023 წლის 06 ივნისის N01-04/112 (ბოლო ცვლილება: 27/05/2025 N0104/106 ბრძანება) ბრძანება
- ინტერვიუს შედეგები პასუხისმგებელ პირებთან
- ნიმუშად წარმოდგენილი პროგრამის წინა სტანდარტის მიხედვით განხორციელებული პროგრამის შეფასების ფორმა (შევსებული)

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - გათბობის, ჰაერის კონდიცირებისა და სამაცივრო სისტემების მომსახურება, მიხედვით შედგენილია სასწავლო გეგმა. კოლეჯში პროფესიული პროგრამების სასწავლო გეგმის შესაბამისად განხორციელებას არეგულირებს დირექტორის 24/03/2026 წლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

N01-04/74 ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარგეგულირებელი წესი. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - მოდულების განხორციელების დაგეგმვისთვის შემუშავებულია სასწავლო გეგმა, რომელიც მიხედვითაც დაცულია პროფესიულ სტუდენტთა კვირეული საათობრივი დატვირთვა. სასწავლო გეგმის მიხედვით, კვირეული საათობრივი დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. გეგმის მიხედვით გაწერილია მოდულების თანმიმდევრობა, ხოლო მოდულების თანმიმდევრულად დალაგების დროს გათვალისწინებულია სწავლის შედეგები და შინაარსი. სასწავლო გეგმა მოიცავს 4 ზოგად, 5 პროფესიულ და 1 არჩევით მოდულს, რომლისთვისაც ჯამურად დათმობილია 50 სასწავლო კვირა. სასწავლო გეგმაში ასახულია საკონტაქტო, დამოუკიდებელი და შეფასების საათების ოდენობა. სასწავლო გეგმებში დაცულია დროის შუალედი განმეორებითი შეფასებისათვის; სასწავლო გეგმა შედგენილია ქართული ენის მოდულების განხორციელებისთვისაც, იმ სტუდენტებისთვის, რომელთაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია. ასეთი სტუდენტები პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაწყებამდე გადიან ქართული ენის A2 და B1 მოდულებს. პსდ სასწავლო გეგმის შესაბამისად ითვალისწინებს სალექციო განრიგის შედგენას, რომელიც მოიცავს შემდეგ მონაცემებს: მოდულის დასახელება, მოდულის განმახორციელებლის სახელი და გვარი, ლექციის დაწყებისა და დასრულების დრო.

ვიზიტის დროს ექსპერტთა მიერ ინტერვიუს და დოკუმენტების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ მოდულის განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებლები სასწავლო გეგმის მიხედვით ადგენენ კალენდარულ გეგმებს, რომლის შესაბამისადაც ახორციელებენ სწავლებას. კალენდარული გეგმა მოიცავს თარიღს, თემატიკას, სწავლის და შეფასების მეთოდებს, რესურსს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2.4.1.1. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;

დირექტორის 24/03/2026 წლის N01-04/74 ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით გათვალისწინებულია სტუდენტთა ინტერსების დადგენა და საჭიროებებზე რეაგირება. კერძოდ, წესი ითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას - სსსმ/შშმ პირებისთვის, მობილობის, სტატუსის აღდგენის, მოდიფიცირებულ/ოპტიმიზირებულ პროგრამაზე გადაყვანის ან ფორსმაჟორული ვითარების შემთხვევებში. ინდ.გეგმის შემუშავებაში მონაწილეობენ სასწავლო პროცესის მენეჯერი, შესაბამისი მასწავლებელი და საჭიროებისამებრ ინკლუზიური განათლების სპეციალისტი, ხოლო პროფესიულ სტუდენტს (არასრულწლოვნის შემთხვევაში მის კანონიერ წარმომადგენელს) უფლება აქვს ჩართული იყოს ამ პროცესში. აღნიშნული მექანიზმი კოლეჯს საშუალებას აძლევს მოქნილად უპასუხოს სასწავლო პროცესში წარმოქმნილ ინდივიდუალურ საჭიროებებს სწავლების მეთოდების, საათების განაწილების, სასწავლო გარემოსა და რესურსების ადაპტირებით. თუ პირი არსი სსსმ ან შშმ პროცესში ერთვება ინკლუზიური განათლების სპეციალისტი და უკვე ამავე წესის 45 -ე მუხლის შესაბამისად წარმართავს პროცესებს რათა უზრუნველყოფილი იყოს ყველა სტუდენტის საჭიროებები. ხოლო თუ ყველა დანარჩენ შემთხვევაში სტუდენტის საჭიროებებს ადგენს და შემხვედრ რეაგირებას ახდენს სასწავლო პროცესის სამსახურია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პასუხისმგებელ პირებთან ინტერვიუს დროს მათ მიერ დასახელდა ეს ფუნქციური გამიჯვნა, კერძოდ: სასწავლო პროცესის სამსახური უზრუნველოფს სტუდენტის მობილობის ან სტატუსის შეჩერების შემთხვევებში ინდ. გეგმის საჭიროების დადგენას და შესაბამისი პროცესების განხორციელებას სასწავლო პროცესის წესის შესაბამისად. მაგალითად: როგორც ინტერვიუს დროს გამოვლინდა, ამ პროცესებში მათივე რეგულაციის შესაბამისად ჩართულია სასწავლო პროცესის მენეჯერი და თავად სტუდენტი (არასრულწლოვნის შემთხვევაში, მისი კანონიერი წარმომადგენელი). სტატუსის აღდგენისას პროფესიული სტუდენტი სწავლას აგრძელებს პროგრამის იმ ეტაპიდან, სადაც მას შეუჩერდა პროფესიული სტუდენტის სტატუსი. ამისთვის კი სასწავლო პროცესის მენეჯერი, ამოწმებს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებულ, უკვე ათვისებულ სწავლის შედეგებს და შეიმუშავებს სასწავლო განრიგს სასწავლო პროცესის მიმდინარეობისა და პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. იმ შემთხვევაში, თუ პროფესიული სტუდენტის მიერ არ არის დადასტურებული ყველა სწავლის შედეგი, მუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის პროექტი, რომელიც დასამტკიცებლად წარედგინება კოლეჯის დირექტორს.

ნიმუშად კოლეჯმა წარმოადგინა სსიპ კოლეჯ „კოლეჯ ახალი“ ტალღის დირექტორის 2024 წლის 26 სექტემბრის N01-04/161 ბრძანებით დამტკიცებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომლის დახმარებითაც სტუდენტმა შეძლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების დაძლევა და დადასტურება გეგმით დადგენილ ვადაში.
ამასთან ერთად კოლეჯი საჭიროების შემთხვევაში მოქნილად რეაგირებს გამოვლენილ გარემოებებზე და სტუდენტებს უქმნის მათ ინტერესებზე მორგებულ შესაძლებლობას სასწავლო პროცესში ჩაერთონ ელექტრონულად, რითიც პროფესიული სტუდენტები სარგებლობენ პერსონალიზებული და მოქნილი (დროისა და ადგილის მიხედვით) მეთოდებით, ამასთანავე აქვთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სწავლის შედეგების მიღწევა ონლაინ ინფორმაციის წყაროების, ასევე ვიდეო და აუდიო არხების გამოყენების გზით.
დაწესებულებაში დისტანციური ან ჰიბრიდული სწავლება, საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია წარიმართოს კანონმდებლობით დადგენილი შესაძლებლობის ფარგლებში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2.4.1.2. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;

დაწესებულებაში სწავლება ხორციელდება სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის და დამტკიცებული პროგრამის და მოდულების მოთხოვნის შესაბამისად. სწავლების პროცესში გამოყენებულია სწავლების სხვადასხვა მეთოდი: ინტერაქციული ლექცია, სამუშაო ჯგუფში მეცადინეობა, პრაქტიკული მეცადინეობა, დისკუსია, როლური თამაში, სწავლებისას გათვალისწინებულია კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენება. საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს, როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ სწავლებას - ლაბორატორიულ და პროექტულ აქტივობებს, რომლებიც ხორციელდება პროგრამისთვის გათვალისწინებულ C გარემოში, სადაც უზრუნველყოფილია დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენება, რათა სტუდენტებმა პრაქტიკულ საქმიანობაში აითვისონ გათბობის, ჰაერის კონდიცირებისა და სამაცივრო სისტემების მომსახურების განხორციელებისთვის საჭირო თანამედროვე ხელსაწყოები. სწავლის პროცესში გამოყენებული მეთოდები ხელს უწყობს სტუდენტების აქტიურ ჩართულობას, პრობლემებზე ორიენტირებულ სწავლებასა და პრაქტიკული უნარების განვითარებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ამასთან ერთად, დაწესებულება უზრუნველყოფს და არეგულირებს დისტანციურ სწავლებას. კერძოდ: გათბობის, ჰერის კონდიცირებისა და სამაცივრო სისტემების მომსახურების პროგრამის 4 მოდული (სამი ზოგადი და 1 პროფესიული) ითვალისწინებს დისტანციური სწავლების შესაძლებლობას. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მუხლი 16-ის მიხედვით, დისტანციური სწავლება კოლეჯში შესაძლებელია განხორციელდეს სრულად ელექტრონული სინქრონული, სრულად ელექტრონული ასინქრონული ან ჰიბრიდული მოდელით. შესაბამისი მოდელის შერჩევა ხდება სასწავლო პროცესის საჭიროებების, საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკის, სწავლის შედეგების, სტუდენტთა ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით.

დისტანციური სწავლების დროს გაკვეთილის ხანგრძლივობა შეადგენს 50 წუთს, 10-წუთიანი შესვენებით, ხოლო სასწავლო რესურსად გამოიყენება კოლეჯის ვებ-გვერდზე განთავსებული ელექტრონული სახელმძღვანელოები და დამხმარე მასალები, რომლებსაც მასწავლებელი განათავსებს ვირტუალურ სასწავლო სივრცეში (Microsoft Teams-ის ლიცენზირებული პლატფორმა). კოლეჯი აღრიცხავს სტუდენტთა დასწრებას და გაცდენის შემთხვევაში პროგრამის ხელმძღვანელი ადგენს მიზეზს - ტექნიკური/წვდომის პრობლემის დროს კოლეჯი განსაზღვრავს ალტერნატიულ ღონისძიებას; სსსმ სტუდენტებისთვის დისტანციური სწავლება ორგანიზდება ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით, პროგრამის ხელმძღვანელის, მასწავლებლისა და საჭიროებისამებრ ინკლუზიური განათლების სპეციალისტის ჩართულობით.

ვიზიტისას ზოგადი მოდულების მასწავლებლებთან ინტერვიუმ დაადასტურა სწავლების მრავალფეროვანი მეთოდების (მათ შორის ანალოგიებით სწავლება) გამოყენება, ხოლო აუდიტორიების დათვალიერებამ გამოავლინა, რომ A-C კორპუსის აუდიტორიები აღჭურვილია პროექტორითა და კომპიუტერით, რაც უზრუნველყოფს თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებას სასწავლო პროცესში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2.4.1.3. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;

სსიპ კოლეჯ ახალ ტალღაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას უზრუნველყოფილია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი მოიცავს ინკლუზიური განათლების შესაძლებლობას და ამ წესის მუხლი 45-ის შესაბამისად უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტებზე მორგებული სასწავლო პროცესის ორგანიზებას მათი ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით. რეგულაციის მიხედვით, კოლეჯში სსსმ/შშმ სტუდენტებისთვის, საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფილია შესაბამისი სპეციალური საგანმანათლებლო მომსახურება, დამატებითი მატერიალური და ადამიანური რესურსის მმობილიზება და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება. ამასთანავე, კოლეჯი უზრუნველყოფს სტუდენტთა სოციალური ადაპტაციისა და სასწავლო პროცესში სრულყოფილად ჩართულობის ხელშეწყობას. კოლეჯში მოქმედი მექანიზმები ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა საჭიროებების გამოვლენასა და შესაბამისი მხარდაჭერის ღონისძიებების განხორციელებას.

ექსპერტთა ჯგუფსი მიერ ინკლუზიური განათლების სპეციალისტთან ინტერვიუს შედეგად გამოვლინდა არაერთი მაგალითი, როდესაც სსსმ და შშმ სტუდენტების შემთხვევაში ინდ. გეგმით სწავლების უზრუნველყოფა მოხდა. სსსმ სტუდენტთა შემთხვევაში, მათმა ნაწილმა შეძლო შედეგების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დადასტურება და მიენიჭათ კვალიფიკაცია. ნაწილის შემთხვევაში კი გაიცა ცნობა. ინკლუზიური განათლების სპეციალისტის მიერ აღინიშნა, რომ წინა წლის მიხედვით კოლეჯს ყავს 8 სსსმ და 2 შშმ სტუდენტი. ინტერვიუს შედეგებმა გამოკვეთა, რომ კოლეჯს აქვს დიდი გამოცდილება ამ მიმართულებით. მას შემდეგ, რაც სპეციალისტი მიიღებს კოლეჯში ჩარიცხული სტუდენტის შესახებ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მულტიდისციპლინური გუნდის შეფასებას სტატუსის დადასტურების შესახებ, იწყებს შემდგომ პროცესებს. ჯგუფში სასწავლო პროცესის დაწყებისას, ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი ესწრება სასწავლო პროცესს, ახორციელებს დაკვირვებას და დაკვირვების შედეგების საფუძველზე, დირექტორს წარუდგენს დასკვნას, პროფესიული სტუდენტის მიერ სასწავლო მოდულების დაძლევის შესაძლებლობის შესახებ. ინკლუზიური განათლების სპეციალისტმა ნიმუშად განიხილა 2024 წლის შემოდგომის მიღებაზე ჩარიცხული სსსმ პროფესიული სტუდენტის შემთხვევა, რომელსაც გააჩნდა ფიზიკურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული სირთულეები: მაღალი ხარისხის მიოპათია, რთული მიოპიური ასტიგმატიზმი და ამბლიოპია. ინკლუზიური განათლების სპეციალისტის მიერ დაკვირვების ანალიზის შედეგად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ სტუდენტს ესაჭიროებოდა ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომლის მეშვეობით მოდულების ადაპტაციამ აკომოდაციის სახით სსსმ პროფესიულ სტუდენტს შესაძლებლობა მისცა მიეღწია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაღვრული სწავლის შედეგებისთვის, გადაეცა დიპლომი და მიიღო კვალიფიკაცია. ინტერვიუს შედეგად ასევე გამოიკვეთა, რომ კოლეჯი სსსმ და შშმ სტუდენტისთვის საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს ინდივიდუალური ასისტენტის მხარდაჭერას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2.4.1.4. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - გათბობის, ჰაერის კონდიცირებისა და სამაცივრო სისტემების მომსახურება არ ითვალისწინებს პრაქტიკის ობიექტზე სწავლებას, პროგრამა ითვალისწინებს იმიტირებული სწავლების ფორმას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2.4.1.5. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კოლეჯში დირექტორის 14/05/2026 წლის N01-04/133 ბრძანებით დამტკიცებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - გათბობის, ჰაერის კონდიცირებისა და სამაცივრო სისტემების მომსახურება სასწავლო ლაბორატორიის უსაფრთხოების წესები. ამ წესის მიხედვით უსაფრთხოების ნორმების დაცვა სავალდებულია, როგორც სტუდენტებისთვის, ასევე პერსონალისთვის. უსაფრთხოების წესი მოიცავს დარგისთვის დამახასიათებელი რისკების გათვალისწინებით განსაზღვრულ ნორმებს. დოკუმენტით განსაზღვრულია: ლაბორატორიაში შესვლის წესები, ინდივიდუალური დაცვის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საშუალებები, ელექტრო უსაფრთხოება, გაზისა და მაცივარ აგენტებთან მუშაობა, ინსტრუმენტებისა და მოწყობილობების გამოყენება, სამუშო ადგილის ორგანიზება, საგანგებო სიტუაციები, აკრძალვები და პასუხისმგებლობები.

აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო ლაბორატორიის უსაფრთხოების წესებით განსაზღვრულია, რომ ლაბორატორიაში შესვლა ნებადართულია მხოლოდ პასუხისმგებელი ინსტრუქტორის/მასწავლებლის თანდასწრებით, აკრძალულია ლაბორატორიაში დამოუკიდებლად მუშაობა. აუცილებელია სამუშაო ფორმის (სპეცტანსაცმელი) გამოყენება. გარდა სპეცტანსაცმლისა, ინდივიდუალური დაცვის საშუალებებად განსაზღვრულია: დამცავი ხელთათმანები, დამცავი სათვალე, საჭიროების შემთხვევაში რესპირატორი (განსაკუთრებით მაცივარ აგენტებთან მუშაობისას). დასახელებული ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით სტუდენტთა უზრუნველყოფა ხდება უშუალოდ პროგრამის სწავლების დაწყების წინ, ვინაიდან გასათვალისწინებელია პროფესიულ სტუდენტთა ფიზიკური მონაცემები.

შესაბამისად, კოლეჯში უზრუნველყოფილია შესაბამისი უსაფრთხოების ნორმების დაცვა, რომელთა შესახებ ინფორმაცია სტუდენტებს აქვთ წინასწარ, სასწავლო პროცესის დაწყებამდე.

ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს, ადგილზე სასწავლო გარემოს დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა გათბობის, ჰაერის კონდიცირების და სამაცივრე სისტემების მომსახურების სასწავლო პროცესის განხორციელებისთვის განკუთვნილია A და C გარემო, რომელიც მდებარეობს კოლეჯ ახალი ტალღის III კორპუსში. შრომის უსაფრთხოების წესების დაცვის შესახებ კი სტუდენტებს ინსტრუქტაჟი უტარდებათ სასწავლო პროცესის დაწყებამდე. ადგილზე დათვალიერების შედეგად დადგინდა რომ სასწავლო ლაბორატორიაში თვალსაჩინო ადგილას არის გამოკრული უსაფრთხოების წესები.

ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს, ადგილზე შესწავლილ იქნა პსდ-ს მიერ დირექტორის 2026 წლის 28 ივლისის 1 26 001-04/214 ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესში შექმნილი პროდუქტებისა და წარმოქმნილი ნარჩენების მართვის მექანიზმი, რომელშიც გაწერილია წარმოქმნილი ნარჩენების შეგროვების, დახარისხების, დროებითი შენახვის, აღრიცხვის, გადაცემისა და მონიტორინგის პროცედურები. მექანიზმით განსაზღვრულია სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების მართვა. წესის შესაბამისად კოლეჯს აქვს სასწავლო პროცესში შექმნილი პროდუქტებისა და ნარჩენების აღრიცხვის ჟურნალები. ხოლო ნარჩენების შესაგროვებლად აქვთ შესაბამისი კონტეინერები: სახიფათო და არასახიფათო ნარჩენებისთვის, ცალცალკე და შესაბამისი მითითებებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2.4.1.6. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი დირექტორის 24/03/2026 წლის N01-04/74 ბრძანება
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - გათბობის, ჰერის კონდიცირებისა და სამაცივრო სისტემების მომსახურება სასწავლო ლაბორატორიის უსაფრთხოების წესები. დირექტორის 14/05/2026 წლის N01-04/133 ბრძანება
- დამტკიცებული პროგრამა, სასწავლო გეგმა და მოდულები დამტკიცებულია -დირექტორის 11/05/2026 N 01-04/128 ბრძანება, ბოლო ცვლილება 2026 წლის 30 ივლისის N 01-04/216
- სასწავლო პროცესში შექმნილი პროდუქტებისა და წარმოქმნილი ნარჩენების მართვის მექანიზმი დირექტორის 2026 წლის 28 ივლისის N01-04/214 ბრძანება
- ინტერვიუს შედეგები პასუხისმგებელ პირებთან

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;

კოლეჯში შეფასების სისტემა რეგულირდება 24/03/2026 წლის N01-04/74 ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით. ამავე წესის მუხლი 21 განსაზღვრავს შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების, შეფასების/განმეორებითი შეფასების პროცედურებს. დოკუმენტში მკაფიოდ არის განსაზღვრული შეფასების ინსტრუმენტის და მტკიცებულებების მიმართ არსებული მოთხოვნები და შეფასების პროცესის ორგანიზების საკითხები. შეფასების პროცესში გამოიყენება ვალიდური შეფასების ინსტრუმენტი. ვალიდაციის პროცესში ჩართულია სასწავლო პროცესის კოორდინატორი და პროგრამის ხელმძღვანელი. განსაზღვრულია თუ რა ინფორმაციას უნდა მოიცავდეს შეფასების ინსტრუმენტი, ამასთანავე დოკუმენტი განსაზღვრავს სტუდენტთა ინფორმირებასთან დაკავშირებული საკითხებს. სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა ისარგებლონ განმეორებითი შეფასებით და შეფასების შედეგების გასაჩივრებით. განმეორებითი შეფასების შემთხვევაში განსაზღვრულია შესაბამისი ვადები, თუ რა ვადაში ეძლევა სტუდენტს განმეორებით გამოცდაზე გასვლის შესაძლებლობა. ამასთანავე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი ითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთათვის დამატებითი კონსულტაციების შესაძლებლობას, დოკუმენტი მოიცავს პორტფოლიოს წარმოების, მტკიცებულებების მოპოვების, შენახვისა და განადგურების წესს.

კოლეჯში მოქმედი შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვალიდურობის, სანდოობის, გამჭირვალობის, სამართლიანობის და ობიექტურობის პრინციპებს:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ვალიდურობა: დაწესებულებაში მოქმედებს შეფასების სისტემის ვალიდაციის მექანნიზმი. შეფასების ინსტრუმენტი, შეფასების პროცესამდე მინიმუმ ორი კვირით ადრე წარედგინება სასწავლო პროცესის კოორდინატორს, რის შემდეგაც თავად სასწავლო პროცესის კოორდინატორი ახორციელებს შეფასების ინსტრუმენტის ტექნიკური მხარის შემოწმებას, ხოლო ინსტრუმენტის შინაარსობრივ მხარეს ამოწმებს პროგრამის ხელმძღვანელი. ხარვეზის არსებობის შემთხვევაში, შეფასების ინსტრუმენტი შესაბამისი რეკომენდაციებით უბრუნდება პროფესიულ მასწავლებელს და შესწორებული სახით, ხელახლა წარდგენის შემდეგ, ენიჭება სტატუსი: „ვალიდურია“ პროცესში დაწესებულების მიერ გამოყენებულია სპეციალურად შემქნილი ბეჭედი, რომელიც გამოიყენება ვიზუალური დადასტურებისთვის ვალიდირებული ინსტრუმენტებისთვის. შეფასების პროცესში მხოლოდ ვალიდური შეფასებიბს ინსტრუმენტი გამოიყენება.

სანდოობა: შეფასების პროცესში გამოიყენება მხოლოდ წინასწარ შეთანხმებული შეფასების ინსტრუმენტი, რომელიც ეფუძნება შესაბამისი მოდულით განსაზღვრულ სწავლის შედეგებსა და შეფასების მიმართულებებს. შეფასება მოიცავს პროცესზე დაკვირვებას, შედეგის/პროდუქტის შეფასებას და გამოკითხვას. შეფასების მტკიცებულებები არის იდენტიფიცირებადი და ინახება პროფესიული სტუდენტის პორტფოლიოში რეგულაციით დადგენილი ვადით, რაც უზრუნველყოფს შეფასების შედეგების მტკიცებულებბებით დადასტურებას.

გამჭირვალობა: კოლეჯში უზრუნველყოფილია პროფესიულ სტუდენტთა წინასწარი ინფორმირების მექანიზმი შეფასების ჩატარების თარიღის, ადგილის, დროისა და ფორმის შესახებ. სტუდენტებს აღნიშნული ინფორმაცია მიეწოდებათ შეფასების პროცესამდე 5 დღით ადრე, ზეპირი ან ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით. შეფასების შედეგების შესახებ სტუდენტებს ინფორმაცია მიეწოდებათ ინდივიდუალურად და საჭიროების შემთხვავაში შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ ინდივიდუალური კონსულტაციით.

სამართლიანობა: შეფასების პროცესში უზრუნველყოფილია პროფესიულ სტუდენტთათვის თანაბარი პირობების შექმნა და დამატებითი შეფასების შესაძლებლობა. შეფასების უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფლება აქვს მოითხოვოს დამატებითი შეფასება დადგენილი ვადების შესაბამისად. ასევე საპატიო მიიზეზით, შეფასების პროცესზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში, სტუდენტს ეძლევა განმეორებით შეფასებაზე გასვლის შესაძლებლობა. სსსმ/შშმ პირებისთვის გათვალისწინებულია შესაბამისი მხარდაჭერის მექანიზმები.

ობიექტურობა: პროფესიულ სტუდენტთა შეფასება ხორციელდება წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით. შეფასების შემდგომ უზრუნველყოფილია შეფასების მტკიცებულებების შეგროვება და შენახვა, შეფასების პროცესი ეფუძნება პროფესიული სტუდენტის მიერ შესაბამისი მოდულის სწავლის შედეგების დადასტურებას. მოდულით განსაზღვრული კრედიტები სტუდენტს ენიჭება ყველა სწავლის შედეგეის დადასტურების შემდეგ.

შესაბამისად, კოლეჯში მოქმედი შეფასების სისტემა უზრუნველყოფს შეფსების პროცესის თანმიმდევრულ, მტკიცებულებებზე დაფუძნებულ და სტუდენტებზე ორიენტირებულ შეფასების პროცესების განხორციელებას.

ვიზიტის პროცესში ექსპერტთა ჯგუფს ჰქოდა შესაძლებლობა ნიმუშის სახით ენახა პროგრამის წინა სტანდარტის დროს შექმნილი ვალიდირებული ინსტრუმენტები და სტუდენტის შეფასების მტკიცებულებები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2.4.2.1. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;

კოლეჯში მოქმედებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელიც ასახულია დირექტორის 2026 წლის მაისის N01-04/147 ბრძანება, ცვლილება 2026 წლის 30 ივლისის №01-04/215 დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებში“. დაწესებულებაში ვერიფიკაციის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროცესის განხორციელებაზე პასუხისმგებელია ხარისხის მართვის სამსახური. ვერიფიკაციის პროცესი ხორციელდება სამი მიმართულებით: შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, შეფასების პროცესის ვერიფიკაცია და მტკიცებულებების ვერიფიკაცია, ვერიფიკაციის მიზანია დადგინდეს ამ პროცესებში ვალიდურობის, სანდოობის, გამჭირვალობის, სამართლიანობისა და ობიექტურობის პრინციპების დაცვა.

მექანიზმი ითვალისწინებს ვერიფიკაციის პროცესებზე პასუხისმგებელ პირებსა და მათ ფუნქციებს. ვერიფიკაციის პროცესში ჩართულები არიან: ხარისხის მართვის მენეჯერი, ხარისხის მართვის კოორდინატორი, და დარგის სპეციალისტები (იმ მოდულების მიხედვით, რომელიც მოცემული აქვთ კონკრეტული წლის ვერიფიკაციის გეგმაში). დოკუმენტით განსაზღვრულია, რომ დარგის სპეციალისტი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო შეფასების ინსტრუმენტის შემუშავებაში, არ მონაწილეობს იმავე ინსტრუმენტის შემოწმებაში, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ კოლეჯს არ ჰყავს შესაბამისი ან მონათესავე დარგის სპეციალისტი, შეიძლება მოწვეულ იქნეს სხვა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამისი დარგის სპეციალისტი ან დარგის წარმომადგენელი. აღნიშნული უზრუნველყოფს ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვას, რათა ვერიფიკაციის პროცესში ჩართული დარგის სპეციალსტი არ იყოს შეფასების ინსტრუმენტის შემდგენელი.

ხარისხის მართვის სამსახური ადგენს ვერიფიკაციის გეგმას, სადაც მოდულების შერჩევას ახორციელებს რისკების სისტემიდან. ვერიფიკაციის შედეგები აისახება შესაბამის დასკვნებში და საჭიროების შემთხვევაში (ხარვეზის არსებობის და სახეობის მიხედვით) გათვალისწინებულია სამოქმედო გეგმის შედგენა. დასკვნების საფუძველზე ხარისხის მართვის სამსახური დირექტორს წარუდგენს რეკომენდაციებს.

ექსპერტთა ჯგუფს ვერიფიკაციაზე პასუხისმგებელ პირებთან ინტერვიუს დროს მიეცათ შესაძლებლობა ნიმუშის სახის ენახათ პროგრამის წინა სტანდარტით სწავლების დროს, განხორციელებული ვერიფიკაციის სრული პროცესი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2.4.2.2. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;

კოლეჯის დირექტორის 24/03/2026 წლის N01-04/74 ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი ითვალისწინებს შეფასების მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვის პროცედურებს. დოკუმენტის მიხედვით, მოდულის დასრულების შემდეგ, მოდულის განმახორციელებელი შეგროვებულ მტკიცებულებებს შენახვისა და ელექტონული აღრიცხვის მიზნით გადასცემს სასწავლო პროცესის სპეციალისტს/კოორდინატორს, აუცილებელია, რომ შეგროვებული მტკიცებულებები იძლეოდეს შეფასებული პირის იდენტიფიცირების საშუალებას. მტკიცებულებები ინახება სტუდენტის პორტფოლიოში. პორტფოლიოები დაცულია შეფასების უწყისის გაფორმებიდან სამი წლის ვადით, ხოლო უწყისები სწავლის შედეგების მიღწევის შესახებ - ინახება მუდმივად. შენახული მტკიცებულებები, სამი წლის ვადის გასვლის შემდეგ, ნადგურდება ერთთვიან ვადაში, ან გადაეცემა პროფესიულ სტუდენტს მისი მოთხოვნის შემთხვევაში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2.4.2.3. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კოლეჯში პროფესიული სტუდენტის შეფასება ემსახურება არა მხოლოდ სწავლის შედეგების დადასტურებას, არამედ პროფესიული სტუდენტის შემდგომ განვითარებას. განმავითარებელი შეფასების პროცესში პროფესიული განათლების მასწავლებელი პროფესიულ სტუდენტს სისტემატურად აწვდის უკუკავშირს, აძლევს რეკომენდაციებს და უზრუნველყოფს მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების მიზნით. კოლეჯის დირექტორის 24/03/2026 წლის N01-04/74 ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მუხლი 10 ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტის შეფასების შედეგების გაცნობას ინდივიდუალურად, კონფიდენციალურობის პრინციპის დაცვით. შეფასების შედეგების გაცნობის შემდეგ პროფესიული განათლების მასწავლებელი განმავითარებელი შეფასების ფარგლებში სტუდენტს აწვდის უკუკავშირს, აძლევს რეკომენდაციებს სწავლის შედეგების გაუმჯობესების მიზნით და, საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფს დამატებით კონსულტაციას. სტუდენტს ასევე უფლება აქვს საკუთარი ინიციატივით მოითხოვოს დამატებითი კონსულტაცია, რომლის ფორმასა და ვადებს განსაზღვრავს სასწავლო პროცესის კოორდინატორი/სპეციალისტი. შეფასების შედეგების საფუძველზე, საჭიროების შემთხვევაში, სტუდენტისთვის შესაძლებელია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებაც, რაც ხელს უწყობს მისი საგანმანათლებლო საჭიროებების გათვალისწინებასა და სწავლის შედეგების მიღწევას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2.4.2.4. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები“ დირექტორის 2026 წლის მაისის N01-04/147, ცვლილება 2026 წლის 30 ივლისის №01-04/215
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი დირექტორის 24/03/2026 წლის N01-04/74 ბრძანება
- ინტერვიუს შედეგები პასუხისმგებელ პირებთან.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი II. სტანდარტთან შესაბამისობა და რეკომენდაციები

II. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი
<u>პროგრამა თაბაშირ მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი</u>

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ექსპერტთა ჯგუფის მიერ არ გამოვლენილა ხარვეზი

III. სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

2.2.1.1 - რეკომენდებულია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული მატერიალური რესურსის შემენა განხორციელდეს ამავე დოკუმენტით განსაზღვრულ ვადაში, 2026 წლის 30 ნოემბერს.

IV. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

ექსპერტთა ჯგუფის მიერ არ გაცემულა რეკომენდაცია

V. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

დაწესებულება იზიარებს დასკვნის პროექტში მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებს .

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი III. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

II. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი//Drywall Installation
პროფესიული განათლების დონე	მესამე დონე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟში/Basic Vocational Qualification in Drywall Installation
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0732
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	11/05/2026 N 01-04/128
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, ქობულეთი, რუსთაველის №154
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	15
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	58
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	73

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

ნაწილი IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;

სსიპ კოლეჯ „ახალი ტალღას" მიერ საგანმანათლებლო პროგრამა „თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი"-ს დამატების ინიცირება და შემდგომი განხორციელების შესახებ გადაწყვეტილება მიღებულია კოლეჯში მოქმედი „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგიის" (დამტკიცებული დირექტორის 2023 წლის 06 ივნისის N01-04/112 ბრძანებით, ცვლილებებით) შესაბამისად დადგენილი პროცედურით. დირექტორის 2026 წლის 27 თებერვლის №01-04/48 ბრძანებით, ცვლილებული 23 მარტის №01-04/72 ბრძანებით, შეიქმნა შესაბამისი სამუშაო ჯგუფი; ჯგუფის №1-4 ოქმების მიხედვით (04.03.2026-30.04.2026) განხილულ და დამტკიცებულ იქნა პროგრამის მიზანშეწონილობა, კოლეჯის მისიასთან და სტრატეგიულ გეგმასთან შესაბამისობა, საჭირო მატერიალური და ადამიანური რესურსები. კოლეჯის მიერ წარმოდგენილი დასაბუთება არა მხოლოდ ფორმალურად აკმაყოფილებს მეთოდოლოგიით დადგენილ მოთხოვნებს, არამედ შინაარსობრივადაც არის რელევანტური, სწორი და მიზნობრივი კონკრეტულად ამ პროგრამისთვის.

წარმოდგენილი დასაბუთება არ არის ფორმალური ხასიათის, არამედ თემატურად და შინაარსობრივად მორგებულია სწორედ ამ პროგრამის სპეციფიკაზე:

- რეგიონული კონტექსტის ანალიზი ეყრდნობა არა ზოგად მოსაზრებებს, არამედ აჭარაში მიმდინარე კონკრეტულ სამშენებლო აქტივობებს - საცხოვრებელი, ტურისტული და სამრეწველო ინფრასტრუქტურის ზრდას, ახალი პროექტების რაოდენობის მატებასა და არსებული შენობების რემონტ-რეკონსტრუქციის ინტენსივობას, რაც უშუალოდ განაპირობებს მოთხოვნას თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟისა და შიდა მოსაპირკეთებელი სამუშაოების სპეციალისტებზე;
- ეროვნული სტატისტიკური მონაცემები გამოყენებულია არა ილუსტრაციულად, არამედ პროგრამის პროფილთან პირდაპირ დაკავშირებული რიცხვებით - მაგალითად, 2023 წელს სამშენებლო ინდუსტრიაში დასაქმებულთა 10.3%-იანი ზრდა და 81,373 დასაქმებული, ასევე მონაცემი იმის შესახებ, რომ დასაქმებულთა თითქმის ნახევარი მცირე ზომის საწარმოებშია ჩართული, რაც სწორედ იმ ტიპის სამუშაო ბაზარს ახასიათებს, სადაც შესაძლებელია პროგრამის კურსდამთავრებულის თვითდასაქმებაც;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- საერთაშორისო ბაზრის მონაცემები კონკრეტულადაა შერჩეული პროფესიის მიხედვით - მოყვანილია მაგალითები ვაკანსიების რაოდენობის შესახებ LinkedIn-ზე აშშ-სა და კანადაში, ასევე მითითებულია ევროკავშირის ქვეყნებში სამშენებლო სექტორის დეფიციტურობაზე, რაც აჩვენებს, რომ დასაბუთება ითვალისწინებს კურსდამთავრებულთა დასაქმების პერსპექტივას არა მხოლოდ ადგილობრივ, არამედ საერთაშორისო ბაზარზეც;
- დამსაქმებელთა უკუკავშირი ორიენტირებულია არა ზოგად პრაქტიკულ უნარებზე, არამედ სპეციფიკურ მოთხოვნებზე - მონტაჟის სიზუსტესა და თანამედროვე ტექნოლოგიებთან მუშაობის უნარზე, რაც შემდგომ აისახება პროგრამის სასწავლო შედეგებში;
- კოლეჯის საკუთარი გამოცდილება დასაბუთებაში წარმოდგენილია არა აბსტრაქტულად, არამედ კონკრეტული სტატისტიკით - 2018 წლიდან წარმატებით მოქმედი „მშენებლობის წარმოება - თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟის“ პროგრამის ჩარიცხვის მაჩვენებლები (2022-2025 წლებში სტაბილურად სრული დაკომპლექტება) და 90%-იანი დასაქმების მაჩვენებელი, რაც პროგრამის მდგრადობისა და ბაზარზე მოთხოვნადობის რეალურ დასტურს წარმოადგენს.
- დამატებით, დასაბუთებაში ცალკეა გამოკვეთილი, რომ პროგრამა რეგიონში მხოლოდ ამ კოლეჯის მიერ ხორციელდება, რაც პროგრამის უნიკალურობასა და კოლეჯის განსაკუთრებულ როლს კიდევ უფრო კონკრეტულს ხდის.

აღნიშნული დასაბუთება, ასევე, განხილულ და გაზიარებულ იქნა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის მიერ, რომელმაც 2025 წლის 8 ოქტომბერი №1311041 წერილით დაწესებულებას მისცა თანხმობა, საავტორიზაციო განაცხადი წარედგინა პროგრამაზე „თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი".

პროგრამა შეესაბამება კოლეჯის მისიას, რომელიც ითვალისწინებს ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრისთვის კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებას, სოციალურ ინკლუზიასა და პიროვნული და პროფესიული განვითარების ხელშეწყობას. სამშენებლო სექტორის, კონკრეტულად კი შიდა მოსაპირკეთებელი სამუშაოების, მზარდი მნიშვნელობიდან გამომდინარე, პროგრამა უზრუნველყოფს პრაქტიკულ, ბაზარზე მაღალმოთხოვნად უნარებს, ხოლო მისი ხელმისაწვდომობა სხვადასხვა სოციალური ჯგუფისთვის უკავშირდება მისიით განსაზღვრულ სოციალური ინკლუზიის მიმართულებას.

პროგრამის დამატება თანხვედრაშია კოლეჯის 2026-2032 წლების სტრატეგიულ განვითარების გეგმასთან:

- სტრატეგიული მიზანი N1-ის ფარგლებში პროგრამის დამატება წარმოადგენს შრომის ბაზრის კვლევებზე დაფუძნებული პროგრამული პორტფელის განახლების პრაქტიკულ გამოხატულებას;
- სტრატეგიული მიზანი N2-ის შესაბამისად, პროგრამა ეყრდნობა პრაქტიკული სწავლების კომპონენტს და დამსაქმებლებთან თანამშრომლობის გაღრმავებას;
- სტრატეგიული მიზანი N4-თან კავშირი გამოიხატება კურსდამთავრებულთა დასაქმებისა და რეგიონული პარტნიორობის გაძლიერებაზე ორიენტირებულობაში;

ამრიგად, პროგრამის დამატების შესახებ გადაწყვეტილება ეფუძნება მეთოდოლოგიით დადგენილ პროცედურას, კონკრეტულ და პროფილურად რელევანტურ დასაბუთებას და სრულად შეესაბამება კოლეჯის მისიასა და სტრატეგიული განვითარების გეგმის მიზნებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2.1.1.1. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი" დაშვების წინაპირობაა საბაზო ზოგადი განათლება, რაც შეესაბამება პროგრამის NQF-ის მე-3 დონეს.

პროგრამის სწავლის შედეგები (სამშენებლო ნახაზების წაკითხვა, ტიხრების, მანსარდის, ჭერის, მრუდწირული კონსტრუქციების აგება, თაბაშირ-მუყაოს ფილებით მოპირკეთება) წარმოადგენს კონკრეტულ, სტანდარტიზებულ ტექნოლოგიურ ოპერაციებზე დაფუძნებულ პრაქტიკულ უნარებს, რომელთა ათვისებაც შესაძლებელია ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის დასრულების შემდეგაც. საბაზო ზოგადი განათლება უზრუნველყოფს: ნახაზის/სქემის წაკითხვისა და ზომვისთვის საკმარის მათემატიკურ და წიგნიერების საბაზისო დონეს; ინსტრუქციისა და ტექნოლოგიური თანმიმდევრობის გააზრების უნარს, რაც პროგრამის მოდულების ეტაპობრივ ათვისებას უზრუნველყოფს. შესაბამისად, დაშვების წინაპირობა ლოგიკურად შეესაბამება პროგრამის სირთულის დონესა და მის სწავლის შედეგებს.

დაწესებულებას დამტკიცებული აქვს პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის წესი და პირობები (ბრძ.№01-04/107, 26.06.2024 , რომლის მიზანია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე აპლიკანტთა შერჩევისა და ჩარიცხვის პროცესის რეგულირება ობიექტურობის, გამჭვირვალობისა და ინკლუზიურობის პრინციპებზე დაყრდნობით. კოლეჯი ვალდებულია დაინტერესებულ პირს მიაწოდოს ინფორმაცია კონკრეტულ პროგრამაზე დაშვების წინაპირობებისა და შერჩევის თავისებურებების შესახებ, ასევე დაეხმაროს რეგისტრაციის პროცედურებში. პროგრამაზე ჩარიცხვის პროცესი მოიცავს ეტაპობრივ სისტემას ანკეტა-კითხვარის შევსება, აპლიკანტთა რეგისტრაცია, შერჩევა, რეიტინგული სიის შედგენა და შედეგების გამოცხადება რაც უზრუნველყოფს პროცედურის გამჭვირვალობასა და თანმიმდევრულობას. აღნიშნული წესით დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიულ პროგრამის მოთხოვნის შესაბამისი აპლიკანტის შერჩევას, წინაპირობების გათვალისწინებით რათა ჩარიცხულმა პირმა შეძლოს პროგრამის განხორციელების ვადაში სწავლის შედეგების მიღწევა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2.1.1.2. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი" პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განსაზღვრულია სსიპ კოლეჯის „ახალი ტალღა" 2022 წლის 14 იანვრის №01-04/06 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის" შესაბამისად.

პროგრამის დანართში (№13) მითითებულია:

- განხორციელების მიდგომა: იმიტირებულ სამუშაო გარემოში, სწავლება ერთ ცვლაში;
- A გარემო: ერთი A გარემო, 15 პროფესიული სტუდენტისთვის გათვლილი რესურსი;
- B გარემო: ერთი B გარემო, 15 პროფესიული სტუდენტისთვის გათვლილი რესურსი;
- C გარემო: ერთი C გარემო, 15 პროფესიული სტუდენტისთვის გათვლილი რესურსი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ადამიანური რესურსის რაოდენობა: 12;
- მოთხოვნილი კვოტა: 15 პროფესიული სტუდენტი.

ერთცვლიანი სწავლების პირობებში, A/B/C გარემოების თანაბარი რესურსი (15-15-15) და ადამიანური რესურსი (12) საფუძვლად დაედო პროგრამის ზღვრული რაოდენობის განსაზღვრას 15 პროფესიულ სტუდენტზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2.1.1.3. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;

პროგრამის ფარგლებში განსაზღვრული რესურსების ბაზა საგანმანათლებლო სტანდარტის მოთხოვნებს პასუხობს და პროგრამაში ჩამოყალიბებული სწავლის შედეგების მიღწევისთვის საკმარისია. პროგრამის რეალიზაციისთვის კოლეჯს გამოყოფილი აქვს სათანადო სასწავლო სივრცე (A, B და C გარემოები).

პროფესიულ პროგრამაში მითითებულია ის ტექნიკური აღჭურვილობა და მატერიალური საშუალებები, რომლებიც მოდულების სწავლების დროს გამოიყენება. ეს ნუსხა თითოეული მოდულისთვის საგანმანათლებლო სტანდარტით დადგენილ როგორც სავალდებულო, ისე სარეკომენდაციო აღჭურვილობასა და საგანმანათლებლო რესურსებთან სრულად თანხვდება.

პროგრამაში ასახული საგანმანათლებლო რესურსები მოდულების შინაარსს შეესატყვისება, ხოლო მათი მოცულობა სწავლის შედეგების სრულყოფილად მიღწევის გარანტიას იძლევა. საგანმანათლებლო რესურსები კოლეჯის ბიბლიოთეკაშია განთავსებული, დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესების მიხედვით და სტუდენტებისთვის ღიაა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2.1.1.4. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;

პროგრამა არ ითვალისწინებს არჩევით მოდულებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2.1.1.5. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კოლეჯის დირექტორის 2023 წლის 6 ივნისის N01-04/112 ბრძანებით (ცვლილება შეტანილია 2025 წლის 27 მაისის N01-04/106 ბრძანებით) დამტკიცდა „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია“. აღნიშნული მეთოდოლოგიის მე-5 მუხლის მიხედვით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა კოლეჯის დირექტორს დასამტკიცებლად წარედგინება ხარისხის მენეჯერის დადებითი დასკვნის საფუძველზე, რის შემდეგაც პროგრამას კოლეჯის დირექტორი ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით ამტკიცებს.

საგანმანათლებლო პროგრამა „თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი“ დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის, კოლეჯის დირექტორის, 2026 წლის 11 მაისის N01-04/128 ბრძანებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2.1.1.6. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;

პროგრამის სახელწოდება - „თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი“ (Drywall Installation) - დირექტორის მიერ დამტკიცებული პროგრამა (2026 წლის 11 მაისის N01-04/128) ზუსტად ასახავს პროგრამის პრაქტიკულ ორიენტირებულობას თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მოწყობის, ჩარჩოს აწყობისა და მოპირკეთების მიმართულებით და შესაბამისობაშია პროგრამის მოდულებთან და მისაღწევ სწავლის შედეგებთან. სახელწოდება იდენტურია საფუძვლად არსებული სტანდარტის დასახელებისა (სარეგისტრაციო ნომერი 07.25.1) და შეესატყვისება პროგრამით მისანიჭებელ საბაზო პროფესიულ კვალიფიკაციას. ტერმინოლოგია ცალსახა და გასაგებია, რაც გამორიცხავს პროგრამის დანიშნულებასთან დაკავშირებით შეცდომაში შეყვანის რისკს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, 2.1.1.7. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება განხორციელდა კოლეჯში მოქმედი პროგრამების დაგეგმვისა და განვითარების შიდა პროცედურების დაცვით. აღნიშნულ პროცესს არეგულირებს „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია“, რომელიც დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2023 წლის 06 ივნისის №01-04/112 ბრძანებით და განახლებულია 2025 წლის 27 მაისის №01-04/106 ბრძანებით. პროგრამის შინაარსი შესაბამისობაშია და სრულ თანხვედრაშია პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტთან „თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი“.

პროგრამის დოკუმენტაცია მოიცავს პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელ ყველა ელემენტს, მათ შორის პროგრამის მიზნებს, კვალიფიკაციას, მიღების წინაპირობებს, სწავლის შედეგებს, შეფასების სისტემას, პროგრამის მოცულობას, ხანგრძლივობას, სწავლებისა და პრაქტიკული კომპონენტის ორგანიზების მიდგომებს. დოკუმენტურ პაკეტში ასევე წარმოდგენილია სასწავლო გეგმა, შესაბამისი მოდულები, არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის განკუთვნილი მოდული „ქართული ენა A2“ და ინფორმაცია ადამიანური და მატერიალური რესურსების შესახებ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აღნიშნულიდან გამომდინარე, 2.1.1.8. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კოლეჯის მისია, ხედვა, ღირებულებები;
- კოლეჯის 2026-2032 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- პროგრამის დამატების განაცხადის დანართი 4 - მიზანშეწონილობის დასაბუთება;
- დირექტორის 2026 წლის 27 თებერვლის №01-04/48 ბრძანება სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ, ცვლილება - №01-04/72, 23.03.2026;
- სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმები №1-4 (04.03.2026-30.04.2026);
- „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია" - დამტკიცებული დირექტორის ბრძანებით №01-04/112, 06.06.2023, ბოლო ცვლილება - №01-04/106, 27.05.2025;
- პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის წესი და პირობები - დამტკიცებული ბრძანებით №01-04/107, 26.06.2024;
- პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია - დამტკიცებული ბრძანებით №01-04/06, 14.01.2022;
- დანართი 13: პროგრამის ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის დოკუმენტაცია (A და C გარემოებისა და ადამიანური რესურსის გაანგარიშება);
- საგანმანათლებლო პროგრამა „თაბაშირ მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი " (მატერიალური და საგანმანათლებლო რესურსის ნუსხა, არჩევითი მოდული, მოდულები, სასწავლო გეგმა) - დამტკიცებული დირექტორის ბრძანებით №01-04/128, 11.05.2026;
- დანართი 7 - საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს პროფესიული განათლების დეპარტამენტის თანხმობის წერილი - 08.10.2025 ,N1311041
- ინტერვიუს შედეგები ადმინისტრაციასთან და პროგრამის შემუშავების ჯგუფთან.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;**

სსიპ კოლეჯ „ახალი ტალღას“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე თაბაშირ მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული სამი ტიპის სასწავლო გარემოთი A, B და C რომლებიც სრულად შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ვიზიტის ფარგლებში შესაწავლილ და დათვარიელებულ იქნა ყველა სასწავლო გარემო, რესურსი და რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, რაც სრულ თანხვედრაში და შესაბამისობაში აქვს კოლეჯს, რესურსის დანაკლისის შესაძენად კი წარმოდგენილია შესაბამისობის გეგმა. ვიზიტის შედეგად დადასტრდა შემდეგი სახის უზრუნველყოფა:

- A ტიპის სასწავლო გარემო - III - 207 აუდიტორია, წარმოადგენს შენობის შიგნით მოწყობილ თეორიული და ჯგუფური მუშაობისთვის აღჭურვილ გარემოს, პროფესიული სტუდენტისა და პედაგოგის სამუშაო ადგილებით სულ 15 სტუდენტისთვის, დაფითა და ინტერნეტში ჩართული კომპიუტერით, საჭიროებისამებრ დემონსტრირების საშუალებით (პროექტორი).
- B ტიპის სასწავლო გარემო - III – 208 კომპიუტერული ლაბორატორია, წარმოადგენს შენობის შიგნით მოწყობილი კომპიუტერებით აღჭურვილ გარემოს, პროფესიული სტუდენტებისა და პედაგოგის სამუშაო ადგილებით, სულ 15 სტუდენტისთვის, 15 კომპიუტერით, რომლებიც ჩართულია ინტერნეტში.
- C ტიპის გარემო კი წარმოადგენს სპეციალურად აღჭურვილ პრაქტიკულ სივრცეს, ლაბორატორია - III 102, რომელიც სრულად შეესაბამება შრომის უსაფრთხოების სტანდარტებს და უზრუნველყოფს პრაქტიკული უნარების როგორც ინდივიდუალურ და ისე ჯგუფურ დონეზე გამომუშავებას. თითოეული გარემო არის 15 პროფესიული სტუდენტისთვის განკუთვნილი. აღსანიშნავია, რომ პროფესიულ სტუდენტთა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობაა 15 პროფესიული სტუდენტი. შესაბამისად, სამივე A, B და C სასწავლო გარემო გამტარუნარიანია და არ არსებობს სასწავლო პროცესის ხელისშემშლელი პირობა.

- გარდა აღნიშნულისა, პროფესიულ პროგრამაზე ერთ ერთი მოდულის - პირველადი გადაუდებელი დახმარება - სწავლება ხორციელდება შესაბამის C გარემოში, რომელიც უზრუნველყოფილია მოდულის განსახორციელებლად საჭირო შესაბამისი აღჭურვილობით: არტაშანი, ფონენდოსკოპი, არტერიული წნევის აპარატი, სამედიცინო მაკრატელი/თერმომეტრი, ამბუს ნიღაბი, ლახტი, ფანარი, სამედიცინო ტახტი.
- მატერიალური რესურსის თვალსაზრისით, A გარემო სრულად აღჭურვილია საჭირო ინვენტარით (სამუშაო ადგილები, კომპიუტერი, დაფა, პროექტორი). B გარემო აღჭურვილია სწავლებისთვის განკუთვნილი კომპიუტერებით. C გარემო აღჭურვილია პრაქტიკული სწავლებისთვის აუცილებელი სპეციალიზებული ინსტრუმენტებითა და ხელსაწყოებით, თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციებით სხვა პროფესიული ინვენტარით.

კოლეჯს წარმოდგენილი აქვს შესაბამისობის გეგმა (დამტკიცებული ბრძანებით №01-04/193, 27.05.2026), რომელიც ითვალისწინებს C გარემოსთვის დანაკლისი აღჭურვილობის შესყიდვას, დაფინანსების წყარო: ვაუჩერული სახსრები პასუხისმგებელი პირები და ვადები განსაზღვრულია, რომლის მიხედვით დანაკლისის შევსება დასრულდება 2026 წლის 30 ნოემბერს. დაწესებულებას შესაძენი აქვს შემდეგი ინვენტარი: - ნაწიბურის შალაშინი, საჩხვლეტი მოწყობილობა, გლუვი შალაშინი (ზოლურას მოსაჭრელად), ჭოპოსანი, ხელის ელექტროფრეზი, ფრეზების ნაკრები, ლითონის საჭრელი მაკრატელი, ელექტრო სჭვალსახრახნი, პროფილების გამკვეთი, კბილანა ქაფჩა, თარაზო, ლაზერული თარაზო (აკუმლატორით), სახეხი ხუნდი, T-სებრი გონიო თაბაშირ-მუყაოს ფილების გადასაჭრელად, ხერხი, გასაშლელი კიბე, უსაფრთხოების ქამარი, ელექტრო სჭვალსახრახნი, სჭვალსახრახნი (ელემენტებით), პერფორატორი (ელემენტებით), სისტემური წებოს პისტოლეტი და სხვ. ჯამში 38 დასახელება. ექსპერტთა მიერ მოცემული ინდიკატორი შეფასდა მეტწილად და გაიწერა განმავითარებელი რეკომენდაცია.
დაწესებულებამ წარმოადგინა კოლეჯის ფაქტობრივი მატერიალური რესურსი დანართი 3-ის სახით. ექსპერტთა მიერ მოხდა აღნიშნული რესურსის დათვალიერება ვიზუალურად. C გარემოში განთავსებულია შემდეგი ინვენტარი-თაბაშირ-მუყაოს ფილების გადასატანი ურიკა, კბილანა ქაფჩა, ქაფჩა, საფითხი (შიდა კუთხეების, გარე კუთხეების, მოსაპირკეთებელი, დრეკადი), ჩაქუჩი, სჭვალსახრახნი (ელემენტებით), კიბე და სხვ. აღსანიშნავია, რომ დაწესებულების მფლობელობაში არის გარკვეული სახის ინვენტარი პროგრამით გათვალისწინებული სრული რაოდენობით, ზოგი რესურსი არის არასრული რაოდენობით, ნაწილი კი სრულად არის შესაძენი.

დამატებითად აღსანიშნავია, C სასწავლო გარემოში განსახორციელებელი მოდულები, ისე არის დალაგებული სასწავლო გეგმის მიხედვით, რომ შესაბამისობის გეგმით შესაძენი რესურსების გამო სასწავლო პროცესი არ შეფერხდება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2.2.1.1. ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი" განხორციელებისთვის განსაზღვრულია მასწავლებელთა ისეთი რაოდენობა და ორგანიზება, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მდგრადობას. დანართი N2-ის მიხედვით, პროგრამაში სულ ჩართულია 12 პროფესიული განათლების მასწავლებელი/განმახორციელებელი, რაც ემთხვევა დანართი N13-ში მითითებულ ადამიანური რესურსის რაოდენობასაც. მათგან 2 არის დარგობრივი მოდულების განმახორციელებელი, რომლებიც ჩართულია პროგრამის 8 დარგობრივ მოდულზე (სამშენებლო ნახაზების კითხვა, შრომის უსაფრთხოება და გარემოს დაცვა, მშენებლობის საფუძვლები, ტიხრების აგება, კედლის თაბაშირ-მუყაოს ფილებით მოპირკეთება, მანსარდის აგება, ჭერის აგება, მრუდწირული კონსტრუქციის აგება), ხოლო 9 - ზოგადი მოდულების განმახორციელებელი (ინფორმაციული წიგნიერება, პიროვნული უნარები და ინტერპერსონალური კომუნიკაციები, უცხოური ენა, ქართული ენა A2). დასახელებულ მოდულებზე დადასტურებულია მინიმუმ ორი განმახორციელებლის არსებობა.

ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის დოკუმენტით (დანართი N13) დადასტურებულია, რომ პროგრამა ხორციელდება ერთ ცვლაში, A/B/C გარემოების რესურსით 15 პროფესიულ სტუდენტზე გათვლილი, ხოლო მოთხოვნილი კვოტაა 15 სტუდენტი; შესაბამისად, მასწავლებელთა საერთო რაოდენობა და პროგრამის ორგანიზაციული დაგეგმვა ძირითადად ქმნის პროგრამის მდგრადობის საფუძველს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2.2.1.2. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

„თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი" პროგრამის განმახორციელებელ მასწავლებელთა პირადი საქმეების შესწავლით დგინდება, რომ ისინი ფლობენ შესაბამის დარგობრივ განათლებასა და კვალიფიკაციას, თუმცა ყველა მათგანი ახალი დასაქმებულია და სწავლების და შეფასების პრაქტიკული გამოცდილება ჯერ ფორმირების პროცესშია. აღნიშნულის გათვალისწინებით, კოლეჯის ადმინისტრაციამ ვიზიტის დროს წარმოადგინა პროფესიული განათლების ახალი მასწავლებლებისთვის პერსონალის განვითარების გეგმა, რომელიც ითვალისწინებს ტრენინგების ციკლს: მათ შორის სწავლა-სწავლების და შეფასების კომპეტენციების გაძლიერების მიზნით, ასევე, კალენდარული გეგმის შედგენის, სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგიისა და შეფასების ინსტრუმენტის შემუშავება-ვალიდაციის მიმართულებით (2026 წლის სექტემბერი-ნოემბერი). აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს მასწავლებელთა შესაბამისი კომპეტენციის თანმიმდევრულ ჩამოყალიბებას სასწავლო წლის დაწყებამდე და სწავლების განმავლობაში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2.2.1.3. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;

„თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი" პროგრამის ხელმძღვანელია სულხან მამულაიშვილი, რომელსაც გააჩნია სამშენებლო კონსტრუქციების მოწყობის საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია და დარგში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება (მენეჯერის პოზიციაზე სამშენებლო პროექტების მიმართულებით, 2015-2023 წწ.). პროგრამის ხელმძღვანელი პირი არის რა დარგობრივი მოდულების ორიდან ერთერთი განმახორციელებელი მისთვის, (გარდა მასწავლებლის პერსონალის განვითარების გეგმისა) სწავლების პრაქტიკული გამოცდილების ფორმირების ხელშესაწყობად კოლეჯს გაწერილი ციკლური ტრენინგები. ტრენინგები მიმართულია პროგრამის ხელმძღვანელის კომპეტენციების გასაძლიერებლად, მათ შორის სწავლა-სწავლების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მეთოდოლოგია, პროგრამის განვითარებისა და ცვლილებების ინიცირების პროცესი, სსსმ სტუდენტთა მხარდაჭერა, რაც უზრუნველყოფს მისი დარგობრივი და ხელმძღვანელობითი კომპეტენციის განმტკიცებას.

ინტერვიუს დროს პროგრამის ხელმძღვანელთან გაუსაბრების დროს, მან აღნიშნა, რომ გარკვეული ტრენინგები და სამუშაო შეხვედრები უკვე განხორციელებულია და სასწავლო გეგმის შემუშავების პროცესში აქტიურად იყო ჩართული, რისთვისაც მან სამუშაო შეხვედრებზე გაიარა პროგრამის ძირიათი დოკუმენტი კრედიტები და მოდულების სახეობები და მოდულებს შორის შესაძლო კავშირები რისი გათვალისწინებაც აუცილებელია დადგეგმვის ეტაპზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2.2.1.4. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

კოლეჯის ბიბლიოთეკის დებულების თანახმად, ბიბლიოთეკაში განთავსებულია საგანმანათლებლო ერთეულების სახელმძღვანელო, დამხმარე და მეთოდური ლიტერატურა, ბეჭდვითი გამოცემები და ელექტრონული რესურსები. ბიბლიოთეკა უზრუნველყოფს მკითხველთა სრულ დაკმაყოფილებას მათთვის საჭირო ლიტერატურითა და საბიბლიოთეკო დოკუმენტებით, მათ შორის ბეჭდური, ხელნაწერი, ელექტრონული და ინფორმაციის შემცველი სხვა მასალებით.

საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებში განსაზღვრული სასწავლო რესურსების არსებობა და სტუდენტთათვის მათი ხელმისაწვდომობა დადასტურდა ექსპერტთა ადგილზე ვიზიტის ფარგლებში. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი რესურსები სრულ თანხვედრაშია პროგრამის მოდულებით დადგენილ მოთხოვნებთან. პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუებისა და საბიბლიოთეკო ფონდის ვიზუალური დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ მოდულებით გათვალისწინებული სასწავლო მასალები სრული მოცულობითაა განთავსებული და ხელმისაწვდომი კოლეჯის ბიბლიოთეკაში.

დაწესებულებას ბეჭდური სახით აქვს შემდეგი სასწავლო რესურსი - შრომის უსაფრთხოება სამშენებლო სექტორში, თაბაშირმუყაოს სპეციალისტი, მშრალი მშენებლობა, მშრალი მშენებლობის კომპლექსური სისტემები, კნაუფის პროდუქციის კატალოგი.

ხოლო, ელექტრული სახით აქვს შემდეგი სასწავლო რესურსი - ნახაზის კითხვის უნარ-ჩვევები, ეკოლოგიის მოკლე კურსი, შრომის უსაფრთხოება სამშენებლო სექტორში, მოდულებში მითითებული ყველა ტექნიკური რეგლამენტი, სამშენებლო პროცესების ტექნოლოგია“, პირველადი გადუდებელი დახმარება“.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2.2.1.5. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სსიპ კოლეჯ „ახალ ტალღაში“ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პირთათვის სასწავლო რესურსების ხელმისაწვდომობის საკითხი რეგულირდება დირექტორის 2026 წლის 24 მარტის №01-04/74 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ IX თავით (ინკლუზიური განათლება), კერძოდ, 45-ე მუხლით. აღნიშნული მუხლის პირველი პუნქტი განსაზღვრავს, რომ კოლეჯი ვალდებულია უზრუნველყოს სსსმ და შშმ პირთათვის მათ საჭიროებებზე მორგებული სასწავლო პროცესი, სპეციალური საგანმანათლებლო მომსახურება და ხელმისაწვდომი გარემო. აღნიშნული მიდგომა მოიცავს როგორც სასწავლო პროცესის ორგანიზებას, ისე შესაბამისი სასწავლო რესურსების ადაპტირებულ ფორმატში მიწოდებას. ასევე, რომ საჭიროების შემთხვევაში კოლეჯი უზრუნველყოფს დამატებითი ადამიანური და მატერიალური რესურსების მობილიზებას, რათა პროფესიულ სტუდენტებს/მსმენელებს სრულფასოვნად ჰქონდეთ სასწავლო პროცესში მონაწილეობის შესაძლებლობა. შესაბამისად, რესურსების შერჩევა და ადაპტირება ხორციელდება ინდივიდუალური საჭიროებების შესაბამისად. საჭიროებისამებრს სსსმ პროფესიული სტუდენტისთვის/მსმენელისთვის მუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომლის ფარგლებში განისაზღვრება მის საჭიროებებზე მორგებული სასწავლო რესურსები და მხარდაჭერის მექანიზმები. ასევე, კოლეჯი უზრუნველყოფს შშმ პირთა ფიზიკურ ხელმისაწვდომობას კოლეჯის ინფრასტრუქტურაზე, მათ შორის აუდიტორიებზე, ბიბლიოთეკაზე, პერსონალის სამუშაო სივრცეებსა და სხვა სასწავლო გარემოზე, რაც რესურსებით სარგებლობის აუცილებელი წინაპირობაა. გარდა ამისა, პროგრამებზე განსაზღვრული მისაღები კონტინგენტის ფარგლებში 15%-მდე კვოტა განკუთვნილია სსსმ პირებისთვის, რაც კოლეჯში ინკლუზიური განათლების განხორციელების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მექანიზმს წარმოადგენს.

ვიზიტის ფარგლებში პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ მათ აქვთ გამოცილება ინდ. გეგმებით სწავლების წარმართვის და მყისიერად რეაგირებენ საჭიროებებზე და უზრუნველყოფენ პროგრამით/ინდ.გეგმით განსაზღვრულ რესურსებზე ხელმისაწვდომობას და მათ ადაპტირებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2.2.1.6. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

პროგრამის ბიუჯეტი „თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი" შედგენილია საშემოსავლო და ხარჯვითი ნაწილების დაბალანსებული თანაფარდობით. პროგრამის შემოსავალი ფორმირდება სახელმწიფო ვაუჩერული დაფინანსების წყაროდან, ხოლო რენტაბელობის ზღვარი (9 სტუდენტი) ამცირებს ჯგუფის სრულად (15 სტუდენტი) ვერ დაკომპლექტების შემთხვევაში გამოწვეულ ფინანსურ რისკებს.

ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი მოიცავს შრომის ანაზღაურებას (პროგრამის ბიუჯეტის უდიდესი ხვედრითი წილი), ნედლეულისა და მასალების ხარჯს, გაუთვალისწინებელ ხარჯებსა და აღჭურვილობის ამორტიზაციის ხარჯს, რაც უზრუნველყოფს როგორც სასწავლო პროცესის შეუფერხებელ მიმდინარეობას, ისე მოულოდნელი ხარჯების დაფარვის შესაძლებლობას. ბიუჯეტის დაგეგმვისას გათვალისწინებულია საერთო შემოსავლისა და ხარჯების დაბალანსება, რაც ადასტურებს პროგრამის ფინანსურ მდგრადობას მისი სრული ციკლის განმავლობაში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2.2.1.7. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

- საგანმანათლებლო პროგრამა „თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი" (მატერიალური რესურსის ნუსხა, განმახორციელებლები, არჩევითი მოდული, მოდულები, სასწავლო გეგმა) - დამტკიცებული დირექტორის ბრძანებით №01-04/128, 11.05.2026;
- A, B და C გარემოების ფიზიკური დათვალიერების შედეგები და რესურსის საკუთრებაში ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- შესაბამისობის გეგმა (C გარემოსთვის საჭირო აღჭურვილობის შესყიდვის თაობაზე) - დამტკიცებული ბრძანებით №01-04/193, 27.05.2026;
- დანართი 13. პროგრამის ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის დოკუმენტაცია
- „პროფესიული განათლების მასწავლებლის და პროგრამის ხელმძღვანელის სამუშაო აღწერილობა" - დამტკიცებული ბრძანებით №01-04/28, 17.02.2025;
- პირადი საქმეები
- მასწავლებლის განვითარების გეგმა
- პროგრამის ხელმძღვანელის განვითარების გეგმა
- კოლეჯის ბიბლიოთეკის დებულება - დამტკიცებული 2023 წლის 06 ივნისის N01-04/115 ბრძანებით
- ბიბლიოთეკის კატალოგი და მასალები;
- პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი.
- „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი" - დამტკიცებული ბრძანებით №01-04/74, 24.03.2026;
- გასაუბრებების შედეგები პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან, პასუხისმგებელ პირებთან სსსმ პირთა მხარდაჭერის საკითხებზე;

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;

2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;**

დაწესებულებაში მოქმედებს პროგრამის შფასების მექანიზმი, რომლისთვისაც შემუშავებულია დირექტორის 2023 წლის 06 ივნისის N01-04/112 (ცვლილება: 27/05/2025 N 0104/106 ბრძანება) ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგიით.
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და განვითარების პროცესებს არეგულირებს მეთოდოლოგიის მუხლი 7. პროგრამის შეფასების მიზნით დაწესებულება ხორციელებს პროგრამების შინაარსობრივი ასპექტების შეფასებას; სწავლა-სწავლების პროცესის მიმდინარეობის ადეკვატურობის დადგენას; მოდულის განმახორციელებელი პირების საქმიანობის შეფასებას; მატერიალურ-ტექნიკური რესურსის, მასალა-ნედლეულის საკმარისობის, ავთენტურობის შეფასებას; ვერიფიკაციას. შეფასების შედეგების გაანალიზების საფუძველზე კოლეჯში იყენებს უკუკავშირის მექანიზმს საჭიროების შემთხვევაში ითვალისწინებს ცვლილებების განხორციემეას პროგრამის გაუმჯობესება/განვითარების მიზნით. პროგრამის შეფასების პროცესში ჩართულია ხარისხის მართვის მენეჯერი, რომელიც შეფასების შედეგების გათვალისწინებით შეიმუშავებს და კოლეჯის დირექტორს წარუდგენს შესაბამის რეკომენდაციებს. რეკომენდაციების საფუძველზე, კოლეჯმა პროგრამაში ცვლილებები შესაძლოა განახორციელოს საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებში და ასევე ინიციატივა წარადგინოს ასევე სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.
კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება ხორციელდება ხარისხის შიდა მექანიზმის მიხედვით. მექანიზმით გათვალისწინებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება-განვითარების პროცესი ციკლურია. შფასების პროცესი ითვალიწინებს პროგრამების დაგეგმვას, ახალი პროგრამის დამატებას, პროგრამაში ცვლილებების შეტანას, ვერიფიკაციას, მონიტორინგის მექანიზმების განსაზღვრას.

პროგრამის შეფასებაა მოიცავს პროფესიულ სტუდენტთა, პროფესიულ მასწავლებელთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა მოსაზრებების დადგენას, ღნიშნულისთვის კი დაწესებულებაში შემუშავებულია კვლევის კითხვარები:

- პროფესიული სტუდენტის კითხვარი ავტორიზაციის II სტანდარტის შეფასების მიზნით;
- პროფესიული განათლების მასწავლებლის კითხვარი ავტორიზაციის II სტანდარტის შეფასების მიზნით
- კითხვარი კურსდამთავრებულებისათვის
- პარტნიორი ორგანიზაციის კითხვარი ავტორიზაციის II სტანდარტის შეფასების მიზნით

პროგრამის შეფასების მიზნით განხორციელებული კვლევების სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს კოლეჯის შიდა (პროგრამის ხელმძღვანელები, პროფესიული მასწავლებლები, პროფესიული სტუდენტები, კურსდამთავრებულები) და გარე (დამსაქმებლები, პრაქტიკის ობიექტები) დაინტერესებული მხარეები, რაც უზრუნველყოფს დაინტერესებული პირების უკუკავშირის გათვალისწინებას პროგრამის შეფასების პროცესში. აღნიშნულ პროცესებში კოლეჯის გარე დაინტერესებული მხარეების ჩართვა უზრუნველყოფს პროგრამის შინაარსობრივი მხარისა და კურსდამთავრებულთა კომპეტენციების შეფასებას შრომის ბაზრის მოთხოვნებთან მიმართებით. დამსაქმებელთა კვლევის მიზანია საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებისა და სრულყოფის მიზნით პროფესიული სტუდენტებისა და კურსამთავრებულების დასაქმების ან სტაჟირების მიმართ დამსაქმებელთა დამოკიდებულებების შესწავლა. კვლევის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მეთოდს წარმოადგენს რაოდენობრივი კვლევა და შემუშავებულია წინასწარ სტრუქტურირებული კვლევის კითხვარი, რომელიც მოიცავს ღია და დახურულ შეკითხვებს.
ვიზიტის ფარგლებში, ექსპერტთა ჯგუფის მიერ პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულებაში პროგრამის შეფასების მიზნით ხორციელდება სპეციალური შეფასების ფორმის წარმოება. პსუხისმგებელ პირთა განცხადებით, ფორმის მოთხოვნის შესაბამისი მონაცემების ასახვის გარდა, ისინი ამუშავებენ სხვადასხვა ტიპის მონაცემებს, რომლებიც გაანალიზებული აქვთ პროგრამის შეფასების ფორმის EQAVET ინდიკატორების ნაწილში და იყენებენ პროგრამის შეფასებისა და განვითარებისთვის. ინტერვიუს დროს მოწოდებული ინფორმაციით, აღნიშნული პრაქტიკა, გამოყენებული იყო პროგრამის წინა სტანდარტის ფარგლებში განხორციელებული სწავლების პერიოდშიც.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2.3.1.1. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კოლეჯში პროგრამების განხორციელების ხარისხის მონიტორინგისა და განვითარების პროცესის ეფექტიანი დანერგვის უზრუნველყოფის მიზნით, კოლეჯის დოკუმენტაციის მიხედვით, ფუნქციონირებს ხარისხის მართვის მენეჯერისა და ხარისხის მართვის კოორდინატორის საშტატო ერთეულები. პროგრამის შეფასების შედეგად მიღებული მონაცემები გამოიყენება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების გაუმჯობესებისა და სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლების მიზნით.
დირექტორის 2023 წლის 06 ივნისის N01-04/112 (ცვლილება: 27/05/2025 N 0104/106 ბრძანება) ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგიის მუხლი 6 ითვალისწინებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების შეტანას. მეთოდოლოგიის შესაბამისად პროგრამაში ცვლილების შეტანა შესაძლებელია კოლეჯში მეთოდოლოგიით განსაზღვრული პროგრამის შეფასების შედეგების ანალიზის, სსსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის დოკუმენტში ცვლილების განხორციელების, შრომის ბაზრის მოთხოვნის ან სხვა გარემოების საფუძველზე. მეთოდოლოგიით განსაზღვრულია პირები, ვისაც შეუძლია პროგრამაში ცვლილების ინიცირება. ესენია: კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი, საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებისა და მართვის მენეჯერი, პროგრამის ხელმძღვანელი, მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებელი, კოლეჯის პარტნიორი ორგანიზაცია და სხვა დაინტერესებული პირები. პროგრამაში ცვლილებების განხორციელების შემთხვევაში, მოდიფიცირებული საგანმანათლებლო პროგრამას დასამტკიცებლად დირექტორს წარუდგენს საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებისა და მართვის მენეჯერი, ხოლო ცვლილება ხორციელდება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. მეთოდოლოგია ასევე ითვალისწინებს საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების შესახებ ინფორმაციის გავრცელებას. ცვლილების სესახებ ინფორმაცია კოლეჯის ადმინისტრაციასა და პროფესიული განათლების მასწავლებლებს ეცნობებათ ეფლოუს საშუალებით და დამტკიცებული პროგრამა განთავსდება კოლეჯის ვებ-გვერდზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2.3.1.2. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

- „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია“ (2023 წლის 06 ივნისის N01-04/112 (ბოლო ცვლილება: 27/05/2025 N0104/106 ბრძანება)ბრძანება)
- ინტერვიუს შედეგები პასუხისმგებელ პირებთან
- ნიმუშად წარმოდგენილი პროგრამის წინა სტანდარტის მიხედვით განხორციელებული პროგრამის შეფასების ფორმა (შევსებული)

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამის - თბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი - განხორციელების მიზნით შემუშავებულია სასწავლო გეგმა. შემუშავებული სასწავლო გეგმით სასწავლო პროცესის განცორციელებას არეგულირებს დირექტორის 24/03/2026 წლის N01-04/74 ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარგეგულირებელი წესი.

სასწავლო გეგმით დადეგმილია პროგრამის ფარგლებში არსებული მოდულების მიმდინარეობა. გეგმა ისეა შედგენილი, რომ პროგრამის განხორციელების პროცესში დაცულია პროფესიულ სტუდენტთა კვირეული საათობრივი დატვირთვა, რაც არ აღემატება 40 საათს. სასწავლო გეგმით გაწერილია მოდულების თანმიმდევრობა და მოიცავს 3 ზოგად და 9 პროფესიულ. მოდულების სწავლებისთვის ჯამურად დათმობილია 44 სასწავლო კვირა, სადაც ასევე დაცული და გათვალისწინებულია დროის შუალედი განმეორებითი შეფასებისათვის; სასწავლო გეგმაში ასახულია საკონტაქტო, დამოუკიდებელი და შეფასების საათების ოდენობა.

სასწავლო გეგმა ითვალისწინებს ქართული ენის A2 მოდულის კვირეულ დატვირთვას იმ სტუდენტებისთვის, ვისაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია. ქართული ენის მოდულის განხორციელება წინ უსწრებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში არსებული მოდულების განხორციელებას. ქართული ენის კომპეტენციის დადასტურების შემდგომ, პროფესიული სტუდენტი აგრძელებს თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟის პროგრამაზე სწავლას.

სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი ითვალისწინებს სასწავლო გეგმის შესაბამისად სალექციო განრიგის შედგენას. სალექციო განრიგი მოიცავს შემდეგ მონაცემებს: მოდულის დასახელება, მოდულის განმახორციელებლის სახელი და გვარი, ლექციის დაწყებისა და დასრულების დრო.

ვიზიტის დროს ექსპერტთა მიერ ინტერვიუს და დოკუმენტების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ მოდულის განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებლები სასწავლო გეგმის მიხედვით ადგენენ კალენდარულ გეგმებს, რომლებიც მოიცავს თარიღს, თემატიკას, სწავლის და შეფასების მეთოდებს, რესურსს. ხოლო მოდულის განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებლები მათ მიერ შედგენილი კალენდარული გეგმების შესაბამისად ახორციელებენ სწავლებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2.4.1.1. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;

დირექტორის 24/03/2026 წლის N01-04/74 ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით განსაზღვრულია პროფესიულ სტუდენტთა ინტერესებისა და საჭიროებების იდენტიფიცირებისა და მათზე შესაბამისი რეაგირების მექანიზმები. კერძოდ, წესი ითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას სსსმ/შშმ პირების, მობილობის, სტატუსის აღდგენის, მოდიფიცირებულ/ოპტიმიზირებულ პროგრამაზე გადაყვანისა და ფორსმაჟორული ვითარების შემთხვევაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცესში მონაწილეობენ სასწავლო პროცესის მენეჯერი, შესაბამისი მასწავლებელი და, საჭიროების შემთხვევაში, ინკლუზიური განათლების სპეციალისტი. ამასთანავე, პროფესიულ სტუდენტს, ხოლო არასრულწლოვანი სტუდენტის შემთხვევაში მის კანონიერ წარმომადგენელს, აქვს აღნიშნულ პროცესში ჩართვის უფლება. აღნიშნული მექანიზმი კოლეჯს შესაძლებლობას აძლევს, სასწავლო პროცესში წარმოშობილ ინდივიდუალურ საჭიროებებს მოქნილად უპასუხოს სწავლების მეთოდების, სასწავლო საათების განაწილების, სასწავლო გარემოსა და შესაბამისი რესურსების ადაპტირების გზით.

სსსმ/შშმ პირის შემთხვევაში პროცესში ერთვება ინკლუზიური განათლების სპეციალისტი, რომელიც სასწავლო პროცესს ამავე წესის 45-ე მუხლით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად წარმართავს, რათა უზრუნველყოფილი იყოს პროფესიულ სტუდენტთა საჭიროებების გათვალისწინება. სხვა შემთხვევებში პროფესიულ სტუდენტთა საჭიროებების დადგენასა და მათზე შესაბამისი რეაგირების განხორციელებას უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის სამსახური.

პასუხისმგებელ პირებთან ინტერვიუს შედეგად დადასტურდა აღნიშნული ფუნქციური გამიჯვნა. კერძოდ, სასწავლო პროცესის სამსახური უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მობილობის ან სტატუსის შეჩერების შემთხვევებში ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საჭიროების განსაზღვრას და სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად შესაბამისი პროცედურების განხორციელებას.

როგორც ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, აღნიშნულ პროცესებში, კოლეჯის მიერ განსაზღვრული რეგულაციის შესაბამისად, ჩართული არიან სასწავლო პროცესის მენეჯერი და თავად პროფესიული სტუდენტი, ხოლო არასრულწლოვანი სტუდენტის შემთხვევაში - მისი კანონიერი წარმომადგენელი.

სტატუსის აღდგენის შემთხვევაში პროფესიული სტუდენტი სწავლას აგრძელებს იმ ეტაპიდან, რომელზეც მას პროფესიული სტუდენტის სტატუსი შეუჩერდა. აღნიშნული მიზნით, სასწავლო პროცესის მენეჯერი ამოწმებს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებულ უკვე ათვისებულ სწავლის შედეგებს და, სასწავლო პროცესის მიმდინარეობისა და პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, შეიმუშავებს სასწავლო განრიგს. იმ შემთხვევაში, თუ პროფესიულ სტუდენტს არ აქვს დადასტურებული ყველა სწავლის შედეგი, მუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის პროექტი, რომელიც დასამტკიცებლად წარედგინება კოლეჯის დირექტორს.
ინდივიდუალური სასწავლო გეგმის განხორციელების პრაქტიკის მაგალითად კოლეჯმა წარმოადგინა სსიპ კოლეჯ „კოლეჯ ახალი“ ტალღის დირექტორის 2024 წლის 26 სექტემბრის N01-04/161 ბრძანებით დამტკიცებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. აღნიშნული გეგმის საფუძველზე სტუდენტმა შეძლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების დაძლევა და დადასტურება გეგმით განსაზღვრულ ვადაში.

ამასთან, კოლეჯი, საჭიროების შემთხვევაში, გამოვლენილ გარემოებებზე მოქნილად რეაგირებს და პროფესიულ სტუდენტებს სთავაზობს მათ ინტერესებსა და საჭიროებებზე მორგებულ შესაძლებლობას, სასწავლო პროცესში ელექტრონულად ჩაერთონ. აღნიშნული შესაძლებლობით პროფესიული სტუდენტები სარგებლობენ პერსონალიზებული და მოქნილი - დროისა და ადგილის გათვალისწინებით - სწავლების მეთოდებით. ამასთანავე, მათ აქვთ შესაძლებლობა, სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყონ ონლაინ ინფორმაციის წყაროების, აგრეთვე ვიდეო და აუდიო არხების გამოყენებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულებაში დისტანციური ან ჰიბრიდული სწავლების განხორციელება, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია კანონმდებლობით დადგენილი შესაძლებლობების ფარგლებში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2.4.1.2. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;

დაწესებულებაში სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის და დამტკიცებული პროგრამის და მოდულების მოთხოვნის შესაბამისად ხორციელდება სწავლება, რა დროსაც გამოყენებულია სწავლების სხვადასხვა მეთოდი: ინტერაქციული ლექცია, სამუშაო ჯგუფში მეცადინეობა, პრაქტიკული მეცადინეობა, დისკუსია, როლური თამაში, სწავლებისას გათვალისწინებულია კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენება. საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს, როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ სწავლებას - ლაბორატორიულ და პროექტულ აქტივობებს. აღნიშნული ხორციელდება პროგრამისთვის გათვალისწინებულ C გარემოში. C ტიპის სასწავლო ლაბორატორიაში უზრუნველყოფილია დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენება. ამის შედეგად კი პროფესიულ სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა პრაქტიკულ საქმიანობაში აითვისონ თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟითვის საჭირო თანამედროვე ხელსაწყოები და შემდგომ გამოიყენონ პრაქტიკულ საქმიანობაში. სწავლის პროცესში გამოყენებული მეთოდები ხელს უწყობს სტუდენტების აქტიურ ჩართულობას, პრობლემებზე ორიენტირებულ სწავლებასა და პრაქტიკული უნარების განვითარებას.

ამასთანავე დაწესებულება უზრუნველყოფს და არეგულირებს დისტანციურ სწავლებას. კოლეჯის მიერ დამტკიცებული საგანმანათლებლო პროგრამის- თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი, 4 მოდული (ორი ზოგადი და ორი პროფესიული) ითვალისწინებს დისტანციური სწავლების შესაძლებლობას. სასწავლო პროცესის დისტანციურად წარმართვას კი არეგულირებს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მუხლი 16. ამ წესის შესაბამისად, დისტანციური სწავლება კოლეჯში შესაძლებელია განხორციელდეს სრულად ელექტრონული სინქრონული, სრულად ელექტრონული ასინქრონული ან ჰიბრიდული მოდელით.

დისტანციური სწავლების დროს გაკვეთილის ხანგრძლივობა შეადგენს 50 წუთს, ხოლო შესვენება 10 წუთს. სასწავლო რესურსად გამოიყენება კოლეჯის ვებ-გვერდზე განთავსებული ელექტრონული სახელმძღვანელოები და დამხმარე მასალები, რომლებსაც მასწავლებელი განათავსებს ვირტუალურ სასწავლო სივრცეში (Microsoft Teams-ის ლიცენზირებული პლატფორმა). კოლეჯი აღრიცხავს სტუდენტთა დასწრებას და გაცდენის შემთხვევაში პროგრამის ხელმძღვანელი ადგენს მიზეზს - ტექნიკური/წვდომის პრობლემის დროს კოლეჯი განსაზღვრავს ალტერნატიულ ღონისძიებას; სსსმ სტუდენტებისთვის დისტანციური სწავლება ორგანიზდება ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით, პროგრამის ხელმძღვანელის, მასწავლებლისა და საჭიროებისამებრ ინკლუზიური განათლების სპეციალისტის ჩართულობით.

ვიზიტის ფარგლებში, ზოგადი მოდულების მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად დადასტურდა სწავლების მრავალფეროვანი მეთოდების (მათ შორის ანალოგიებით სწავლება) გამოყენება, ხოლო აუდიტორიების დათვალიერებამ გამოავლინა, რომ A-C კორპუსის აუდიტორიები აღჭურვილია პროექტორითა და კომპიუტერით, რაც უზრუნველყოფს თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებას სასწავლო პროცესში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2.4.1.3. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;

სსიპ კოლეჯ ახალ ტალღაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას უზრუნველყოფილია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინება. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი ითვალისწინებს ინკლუზიური განათლების შესაძლებლობას. ამ წესის მუხლი 45-ის მიხედვით უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტებზე მორგებული სასწავლო პროცესის ორგანიზებას მათი ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით. რეგულაციის მიხედვით, საჭიროების შემთხვევაში, კოლეჯში სსსმ/შშმ სტუდენტებისთვის, უზრუნველყოფილია შესაბამისი სპეციალური საგანმანათლებლო მომსახურება, დამატებითი მატერიალური და ადამიანური რესურსის მმობილიზება და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება. გარდა ამისა, კოლეჯი ითვალისწინებს სტუდენტთა სოციალური ადაპტაციისა და სასწავლო პროცესში სრულყოფილად ჩართულობის ხელშეწყობას. კოლეჯში მოქმედი მექანიზმები ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა საჭიროებების გამოვლენასა და შესაბამისი მხარდაჭერის ღონისძიებების განხორციელებას.

ადგილზე ვიზიტის დროს, ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინკლუზიური განათლების სპეციალისტთან ინტერვიუს შედეგად სსსმ და შშმ სტუდენტების შემთხვევაში ინდ. გეგმით სწავლების უზრუნველყოფის არაერთი მაგალითი გამოვლინდა. სსსმ სტუდენტთა შემთხვევაში, მათმა ნაწილმა შეძლო შედეგების დადასტურება და მიენიჭათ კვალიფიკაცია. ნაწილის შემთხვევაში კი გაიცა ცნობა. ინკლუზიური განათლების სპეციალისტის მიერ აღინიშნა, რომ წინა წლის მიხედვით კოლეჯს ყავს 8 სსსმ და 2 შშმ სტუდენტი. ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთ, რომ კოლეჯს აქვს დიდი გამოცდილება ამ მიმართულებით. კოლეჯში ჩარიცხული სტუდენტის შესახებ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მულტიდისციპლინური გუნდის შეფასებას სტატუსის დადასტურების შესახებ შეფასებას, იწყებს შემდგომი პროცესების განხორციელებას. ჯგუფში სასწავლო პროცესის დაწყებისას, ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი ესწრება სასწავლო პროცესს, ახორციელებს დაკვირვებას და დაკვირვების შედეგების საფუძველზე, პროფესიული სტუდენტის მიერ სასწავლო მოდულების დაძლევის შესაძლებლობის შესახებ დირექტორს წარუდგენს დასკვნას. ინკლუზიური განათლების სპეციალისტმა ინტერვიუს დროს ნიმუშად განიხილა 2024 წლის შემოდგომის მიღებაზე ჩარიცხული სსსმ პროფესიული სტუდენტის შემთხვევა. დასახელებულ სტუდენტს გააჩნდა ფიზიკურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული სირთულეები: მაღალი ხარისხის მიოპათია, რთული მიოპიური ასტიგმატიზმი და ამბლიოპია. ინკლუზიური განათლების სპეციალისტის მიერ დაკვირვების ანალიზის შედეგად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ სტუდენტს ესაჭიროებოდა ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მეშვეობით მოდულების ადაპტაციამ აკომოდაციის სახით სსსმ პროფესიულ სტუდენტს მისცა შესაძლებლობა , რომ მიეღწია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაღვრული სწავლის შედეგებისთვის, გადაეცა დიპლომი და მიიღო კვალიფიკაცია. ინტერვიუს შედეგად ასევე გამოიკვეთა, რომ საჭიროების შემთხვევაში კოლეჯიში სსსმ და შშმ სტუდენტისთვის უზრუნველყოფილია ინდივიდუალური ასისტენტის მხარდაჭერა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2.4.1.4. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი, არ ითვალისწინებს პრაქტიკის ობიექტზე სწავლებას რადგან სწავლების ფორმა არის იმიტირებული.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2.4.1.5. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

დაწესებულებაში დირექტორის 14/05/2026 წლის N01-04/133 ბრძანებით დამტკიცებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი - სასწავლო ლაბორატორიის უსაფრთხოების წესები.

უსაფრთხოების ნორმების დაცვა სავალდებულია პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისთვის. უსაფრთხოების წესი მოიცავს დარგისთვის დამახასიათებელი რისკების გათვალისწინებით განსაზღვრულ ნორმებს.

დოკუმენტით განსაზღვრულია: ლაბორატორიაში დაშვების წესები, ინდივიდუალური დაცვის საშუალებები, ინსტრუმენტებისა და მოწყობილობების უსაფრთხო გამოყენება, ჭრისა და მონტაჟის უსაფრთხოება, სიმაღლეზე მუშაობის უსაფრთხოება, სამუშო ადგილის ორგანიზება, მტვრისა და მასალების უსაფრთხოება, საგანგებო სიტუაციები, აკრძალვები, გარემოს დაცვის მოთხოვნები და პასუხისმგებლობები. ლაბორატორიაში დაშვების წესების შესაბამისად, ლაბორატორიაში მუშაობა მხოლოდ მასწავლებლის ზედამხედველობით არის დასაშვები, აკრძალულია სამუშაოს თვითნებურად დაწყება, აუცილებელია ლაბორატორიაში სამუშაო ფორმის ტარება. გარდა ამისა განსაზღვრულია ინდივიდუალური დაცვის საშუალებები, რომლებიც სტუდენტებმა უნდა გამოიყენონ ლაბორატორიაში სასწავლო პროცესის დროს. ეს ინდივიდუალური საშუალებებია: სპეციალური ტანსაცმელი, დამცავი სათვალე, დამცავი ხელთათმანები, მტვრისგან დამცავი ნიღაბი/რესპირატორი, უსაფრთხოების ფეხსაცმელი.

აქედან გამომდინარე, დაწესებულებაში უზრუნველყოფილია პროგრამის გარგლებში გასათვალისწინებელი უსაფრთხოების ნორმების დაცვა, რომელთა შესახებ ინფორმაცია სტუდენტებს მიეწოდებათ წინასწარ, სასწავლო პროცესის დაწყებამდე.

აღნიშნულთან ერთად, ექსპერტთა ვიზიტის დროს მოხდა თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გარემოს დათვალიერება. პროგრამა ითვალისწინებს სწავლების განხორციელებას A, B და C გარემოებში. პროგრამისთვის განსაზღვრული აუდიტორიები და სასწავლო ლაბორატორია მდებარეობს კოლეჯ ახალი ტალღის I და III კორპუსებში. ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს, ადგილზე დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ სასწავლო ლაბორატორიაში თვალსაჩინო ადგილას არის გამოკრული შრომის უსაფრთხოების წესები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ვიზიტის დროს ასევე შესწავლილ იქნა პსდ-ს მიერ შემუშავებული დირექტორის 2026 წლის 28 ივლისის N 001-04/214 ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესში შექმნილი პროდუქტებისა და წარმოქმნილი ნარჩენების მართვის მექანიზმი. დოკუმენტში გაწერილია წარმოქმნილი ნარჩენების შეგროვების, დახარისხების, დროებითი შენახვის, აღრიცხვის, გადაცემისა და მონიტორინგის პროცედურები. უტილიზაციის წესი განსაზღვრავს სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების მართვას. დოკუმენტის შესაბამისად ამ წესის დაცვა სავალდებულია კოლეჯის ადმინისტრაციული პერსონალისთვის, პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის, ინსტრუქტორებისთვის, მოწვეული სპეციალისტებისთვის და სტუდენტებისთვის. კოლეჯში წარმოქმნილი ნარჩენების მოძრაობა და მართვა ექვემდებარება აღრიცხვას, რომელიც აღირიცხება შესაბამის ჟურნალებში.

ადგილზე მოხდა ნარჩენებისთვის გამოყოფილი სივრცის დათვალიერება. სივრცე არის იზოლირებული სტუდენტებისგან და მასში განთავსებულია 2 კონტეინერი - სახიფათო და არასახიფათო ნარჩენებისთვის. კონტეინერებზე გამოკრულია შესაბამისი მითითება ნარჩენის ტიპის მიხედვით.

ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს, კოლეჯმა წარმოადგინა ქობულეთის მერიასთან დადებული ხელშეკრულება N03-08/56. ხელშეკრულების საგანს კი წარმოადგენს კოლეჯის სახსრებით სასწავლო პროცესში წარმოქმნილი სამშენებლო ნარჩენების ნაგავსაყრელზე გატანა. შესაბამისად, კოლეჯი შესაბამის კონტეინერში დახარისხებულ, შეგროვებულ და აღრიცხულ ნარჩენებს განკარგავს ქალაქ ქობულეთის მერიასთან თანამშრომლობით, რომელიც კოლეჯს უწევს ნარჩენების გატანის მომსახურებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2.4.1.6. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი. დირექტორის 24/03/2026 წლის N01-04/74 ბრძანება
- პროგრამის (თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი) -სასწავლო ლაბორატორიის უსაფრთხოების წესები. დირექტორის 14/05/2026 წლის N01-04/133 ბრძანება
- დამტკიცებული პროგრამის სასწავლო გეგმა და მოდულები, დირექტორის 11/05/2026 ბრძანებით N01-04/128, ბოლო ცვლილება 2026 წლის 30 ივლისის N 01-04/216
- სასწავლო პროცესში შექმნილი პროდუქტებისა და წარმოქმნილი ნარჩენების მართვის მექანიზმი დამტკიცებული დირექტორის 2026 წლის 28 ივლისის N01-04/214 ბრძანებით.
- ნარჩენების გატანის მომსახურება - ქ.ქობულეთის მერიასთან ხელშეკრულება - 27.03.2025. N03-08/56.
- ინტერვიუს შედეგები პასუხისმგებელ პირებთან

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;**

პროგრამის - თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟის სწავლის შედეგების დასადასტურებლად მოქმედებს შეფასების სისტემა, რომელიც განსაზღვრულია დირექტორის 24/03/2026 წლის N01-04/74 ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით. მუხლი 21 აწესრიგებს შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების, შეფასების/განმეორებითი შეფასების პროცედურებს, შეფასების ინსტრუმენტის და მტკიცებულებების მიმართ არსებული მოთხოვნებსა და შეფასების პროცესის ორგანიზების საკითხებს.
სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი მოიცავს შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციის წესებს და ამ პროცესში ჩართულები არიან სასწავლო პროცესის კოორდინატორი და პროგრამის ხელმძღვანელი. შეფასების წესი განსაზღვრავს რა ინფრმაციას უნდა მოიცავდეს შეფასების ინსტრუმენტი, ითვალისწინებს სტუდენტთა ინფორმირებასთან დაკავშირებული საკითხებს, სტუდენტთათვის განმეორებითი შეფასებითა და შეფასების შედეგების გასაჩივრებით სარგებლობის შესაძლებლობას.

მარეგულირებელი წესით განსაზღვრულია განმეორებითი შეფასების ვადები და პროფესიულ სტუდენტთათვის დამატებითი კონსულტაციების შესაძლებლობა. დოკუმენტი ასევე აწესრიგებს პორტფოლიოს წარმოების, მტკიცებულებების მოპოვების, შენახვისა და განადგურების წესებს.
დაწესებულებაში მოქმედი შეფასების სისტემა დაფუძნებულია ვალიდურობის, სანდოობის, გამჭირვალობის, სამართლიანობის და ობიექტურობის პრინციპებზე.

ვალიდურობა: დაწესებულებაში შეფასების პროცესები იწყება შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციით. ვალიდაციის მექანიზმის შესაბამისად, შეფასების პროცესამდე მინიმუმ ორი კვირით ადრე, პროფესიული მასწავლებელი შეფასების ინსტრუმენტს შემოწმების მიზნით წარუდგენს სასწავლო პროცესის კოორდინატორს, რომელიც ამოწმებს შეფასების ინსტრუმენტის ტექნიკური მხარეს. ინსტრუმენტის შინაარსობრივ მხარეს ამოწმებს პროგრამის ხელმძღვანელი. შეფასების ინსტრუმენტი ხარვეზის არსებობის შემთხვევაში, შესაბამისი რეკომენდაციებით უბრუნდება პროფესიულ მასწავლებელს, რომელიც შესწორებული სახით ხელახლა წარუდგენს სასწავლო პროცესის კოორდინატორს. შემოწმების შემდეგ შეფასებს ინსტრუმენტს ენიჭება სტატუსი: „ვალიდურია“.დაწესებულების მიერ გამოყენებულია სპეციალურად შემქნილი ბეჭედი, რომელიც გამოიყენება ვიზუალური დადასტურებისთვის ვალიდირებული ინსტრუმენტებისთვის. შეფასების პროცესში მხოლოდ ვალიდური შეფასებიბს ინსტრუმენტი გამოიყენება.

სანდოობა: პროფესიულ სტუდენტთა შეფასების პროცესში გამოიყენება შესაბამისი მოდულით განსაზღვრულ სწავლის შედეგებსა და შეფასების მიმართულებების მიხედვით შემუშავებული და წინასწარ შეთანხმებული შეფასების ინსტრუმენტი. შეფასება ითვალისწინებს პროცესზე დაკვირვებას,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შედეგის/პროდუქტის შეფასებას და გამოკითხვას. შეგროვებული შეფასების მტკიცებულებები იდენტიფიცირებადია და რეგულაციით დადგენილი ვადით ინახება პროფესიული სტუდენტის პორტფოლიოში. აღნიშნული შეფასების შედეგების მტკიცებულებებებით დადასტურების შესაძლებლობას იძლევა.

გამჭირვალობა: დაწესებულებაში შეფასების სისტემა ითვალიწინებს პროფესიულ სტუდენტთა წინასწარი ინფორმირებას შეფასების ჩატარების თარიღის, ადგილის, დროისა და ფორმის შესახებ. ინფორმაცია სტუდენტებს მიეწოდებათ ზეპირი ან ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით, შეფასების პროცესამდე 5 დღით ადრე. ხოლო შეფასების შედეგები სტუდენტებს ეცნობებათ ინდივიდუალურად. საჭიროების შემთხვავაში კი უზრუნველყოფილია ინდივიდუალური კონსულტაციით სარგებლობის შესაძლებლობა.

სამართლიანობა: შეფასების წესი ითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთათვის თანაბარი პირობების შექმნას შეფასების პროცესში და უზრუნველყოფს დამატებითი შეფასებით სარგებლობის შესაძლებლობას. სტუდენტს, უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში, უფლება აქვს მოითხოვოს დამატებითი შეფასება დადგენილ ვადებში. შეფასების პროცესზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში, საპატიო მიიზეზის დადასტურებნის შემთხვევაში, სტუდენტს ეძლევა განმეორებით შეფასებაზე გასვლის შესაძლებლობა. სსსმ/შშმ პირებისთვის კი გათვალისწინებულია შესაბამისი მხარდაჭერის მექანიზმები.

ობიექტურობა: შეფასების პროცესი ხორციელდება წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად. შეფასების პროცესის განხორციელების შემდეგ გროვდება შეფასების მტკიცებულებების შეგროვება და ინახება წესების დაცვით. ყველა სწავლის შედეგეის დადასტურების შემდეგ სტუდენტს ენიჭება მოდულით განსაზღვრული კრედიტები.

ამრიგად, კოლეჯში მოქმედებს შეფასების სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს შეფსების პროცესის თანმიმდევრულ, მტკიცებულებებზე დაფუძნებულ და სტუდენტებზე ორიენტირებულ პროცესების განხორციელებას.

ვიზიტის პროცესში ექსპერტთა ჯგუფს ჰქოდა შესაძლებლობა ნიმუშის სახით ენახა პროგრამის წინა სტანდარტის დროს შექმნილი ვალიდირებული ინსტრუმენტები და სტუდენტის შეფასების მტკიცებულებები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2.4.2.1. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;

კოლეჯში მოქმედებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელიც ასახულია დირექტორის 2026 წლის 28 მაისის, №0104/147 ბრძანებით, ცვლილება 2026 წლის 30 ივლისი, №01-04/215 დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებში“. დაწესებულებაში ვერიფიკაციის პროცესის განხორციელებაზე პასუხისმგებელია ხარისხის მართვის სამსახური. ვერიფიკაციის პროცესი ხორციელდება სამი მიმართულებით: შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, შეფასების პროცესის ვერიფიკაცია და მტკიცებულებების ვერიფიკაცია, ვერიფიკაციის მიზანია დადგინდეს ამ პროცესებში ვალიდურობის, სანდოობის, გამჭირვალობის, სამართლიანობისა და ობიექტურობის პრინციპების დაცვა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მექანიზმი ითვალისწინებს ვერიფიკაციის პროცესებზე პასუხისმგებელ პირებსა და მათ ფუნქციებს. ვერიფიკაციის პროცესში ჩართულები არიან: ხარისხის მართვის მენეჯერი, ხარისხის მართვის კოორდინატორი, და დარგის სპეციალისტები (იმ მოდულების მიხედვით, რომელიც მოცემული აქვთ კონკრეტული წლის ვერიფიკაციის გეგმაში). დოკუმენტის მიხედვით, ის დარგის სპეციალისტი, არ მონაწილეობს იმავე შეფასების ინსტრუმენტის შემოწმებაში, რომლის შეფასების შემუშავებაშიც მიიღო მონაწილეობა. იმ სემთხვევაში, თუ კოლეჯს არ ჰყავს შესაბამისი ან მონათესავე დარგის სპეციალისტი, შეიძლება მოწვეულ იქნეს სხვა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამისი დარგის სპეციალისტი ან დარგის წარმომადგენელი. აღნიშნული უზრუნველყოფს ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვას, რათა ვერიფიკაციის პროცესში ჩართული დარგის სპეციალსტი არ იყოს შეფასების ინსტრუმენტის შემდგენელი.

ხარისხის მართვის სამსახური ადგენს ვერიფიკაციის გეგმას, გეგმის სედგენისას კი მოდულების შერჩევას ახორციელებს რისკების სისტემიდან. ვერიფიკაციის შედეგები აისახება შესაბამის დასკვნებში და საჭიროების შემთხვევაში (ხარვეზის არსებობის და სახეობის მიხედვით) გათვალისწინებულია სამოქმედო გეგმის შედგენა. ხარისხის მართვის სამსახური ვერიფიკაციის დასკვნების საფუძველზე დირექტორს წარუდგენს რეკომენდაციებს.

ექსპერტთა ჯგუფს, ადგილზე ვიზიტის ფარგლებში ვერიფიკაციაზე პასუხისმგებელ პირებთან ინტერვიუს დროს მიეცათ შესაძლებლობა ნიმუშის სახის ენახათ პროგრამის წინა სტანდარტით სწავლების დროს, განხორციელებული ვერიფიკაციის სრული პროცესი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2.4.2.2. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;

კოლეჯში შეფასების მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვის პროცედურებს განსაზღვრავს დირექტორის 24/03/2026 წლის N01-04/74 ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი. ამ წესის შესაბამისად, მოდულის განმახორციელებელი, მოდულის დასრულების შემდეგ, შეგროვებულ მტკიცებულებებს გადასცემს სასწავლო პროცესის სპეციალისტს/კოორდინატორს, რომელიც უზრუნველყოფს მტკიცებულებათა შენახვასა და ელექტონულ აღრიცხვას. შეგროვებული მტკიცებულებები უნდა იძლეოდეს შეფასებული პირის იდენტიფიცირების საშუალებას. შეფასების მტკიცებულებები ინახება სტუდენტის პორტფოლიოში, რომელიც დაცულია შეფასების უწყისის გაფორმებიდან სამი წლის ვადით. უწყისები სწავლის შედეგების მიღწევის შესახებ კი ინახება მუდმივად. სამი წლის ვადის გასვლის შემდეგ, მტკიცებულებები ნადგურდება ერთთვიან ვადაში, ან პროფესიულ სტუდენტს მისი მოთხოვნის შემთხვევაში გადაეცემა მას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2.4.2.3. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული სტუდენტის შეფასების მიზანია არამარტო სწავლის შედეგების დადასტურებას, არამედ მისი შემდგომ განვითარება. ამისთვის კი პროფესიული განათლების მასწავლებელი განმავითარებელი შეფასებისთვის პროფესიულ სტუდენტს სისტემატურად აძლევს უკუკავშირს, რეკომენდაციებს და უზრუნველყოფს მის მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებისთვის. კოლეჯის დირექტორის 24/03/2026 წლის N01-04/74 ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მუხლი 10 ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტის შეფასების შედეგების გაცნობას ინდივიდუალურად, რა დროსაც დაცულია კონფიდენციალურობის პრინციპები. სტუდენტს უფლება აქვს მოითხოვოს დამატებითი კონსულტაცია. კონსულტაციის ფორმა და ვადები განისაზღვრება სასწავლო პროცესის კოორდინატორი/სპეციალისტის მიერ. საჭიროების შემთხვევაში, შეფასების შედეგების საფუძველზე, შესაძლებელია სტუდენტისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებაც, რომლის მიზანია ხელის შეუწყოს სტუდენტის საგანმანათლებლო საჭიროებების გათვალისწინებასა და სწავლის შედეგების მიღწევას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2.4.2.4. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები“ დირექტორის 2026 წლის მაისის N01-04/147, ცვლილება 2026 წლის 30 ივლისის №01-04/215
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი დირექტორის 24/03/2026 წლის N01-04/74 ბრძანება
- ინტერვიუს შედეგები პასუხისმგებელ პირებთან.

შეფასება:
☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი II. სტანდარტთან შესაბამისობა და რეკომენდაციები <u>პროგრამა - სამშენებლო სამღებრო სამუშაოები</u>

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ექსპერტთა ჯგუფის მიერ არ გამოვლენილა ხარვეზი

III. სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

2.2.1.1 - რეკომენდებულია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული მატერიალური რესურსის შეძენა განხორციელდეს ამავე დოკუმენტით განსაზღვრულ ვადაში, 2026 წლის 30 ნოემბერს

.

IV. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

ექსპერტთა ჯგუფის მიერ არ გაცემულა რეკომენდაცია

V. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

დაწესებულება იზიარებს დასკვნის პროექტში მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებს .

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი III. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

III. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	სამშენებლო სამღებრო სამუშაოები/Construction Painting Works
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე დონე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სამშენებლო სამღებრო სამუშაოებში/Secondary Vocational Qualification in Construction Painting Works
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0732
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	11/05/2026 N 01-04/128
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, ქობულეთი, რუსთაველის №154
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	15
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	85
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	115

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

ნაწილი IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;

სსიპ კოლეჯ „ახალი ტალღას" მიერ საგანმანათლებლო პროგრამა „სამშენებლო სამღებრო სამუშაოები"-ს დამატების ინიცირება და შემდგომი განხორციელების შესახებ გადაწყვეტილება მიღებულია კოლეჯში მოქმედი „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგიის" (დამტკიცებული დირექტორის 2023 წლის 06 ივნისის N01-04/112 ბრძანებით, ცვლილებებით) შესაბამისად დადგენილი პროცედურით. დირექტორის 2026 წლის 27 თებერვლის №01-04/48 ბრძანებით, ცვლილებული 23 მარტის №01-04/72 ბრძანებით, შეიქმნა შესაბამისი სამუშაო ჯგუფი; ჯგუფის №1-4 ოქმების მიხედვით (04.03.2026-30.04.2026) განხილულ და დამტკიცებულ იქნა პროგრამის მიზანშეწონილობა, კოლეჯის მისიასთან და სტრატეგიულ გეგმასთან შესაბამისობა, საჭირო მატერიალური და ადამიანური რესურსები. კოლეჯის მიერ წარმოდგენილი დასაბუთება არა მხოლოდ ფორმალურად აკმაყოფილებს მეთოდოლოგიით დადგენილ მოთხოვნებს, არამედ შინაარსობრივადაც არის რელევანტური, სწორი და მიზნობრივი კონკრეტულად ამ პროგრამისთვის.

მნიშვნელოვანია, რომ დასაბუთება არ არის ზოგადი ხასიათის, არამედ პირდაპირ უკავშირდება სწორედ ამ პროფესიის სპეციფიკას:

- **რეგიონული საჭიროების ანალიზი** ეყრდნობა იმ გარემოებას, რომ სამღებრო სამუშაოები წარმოადგენს მშენებლობის ციკლის დამასრულებელ ეტაპს, რაც აუცილებელია როგორც ახალ, ისე სარემონტო-სარეკონსტრუქციო პროექტებში. დასაბუთებაში ცალკეა გამოყოფილი აჭარის რეგიონის ტურისტული ინფრასტრუქტურის ზრდის ტემპი, რაც პირდაპირ ზრდის მოთხოვნას ესთეტიკურად მაღალხარისხოვან სამღებრო სამუშაოებზე;
- **ეროვნული სტატისტიკური მონაცემები** გამოყენებულია არა ილუსტრაციულად, არამედ პროგრამის საჭიროების დასადასტურებლად - მითითებულია, რომ სამშენებლო სექტორში დასაქმებულთა ძირითადი ნაწილი მცირე და საშუალო ზომის საწარმოებზეა განაწილებული, რაც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სწორედ იმ ტიპის ეკონომიკურ გარემოს ქმნის, სადაც მოქნილი, პრაქტიკული უნარების მქონე კურსდამთავრებული ადვილად ინტეგრირდება, მათ შორის თვითდასაქმების გზით;

- **საერთაშორისო ბაზრის მონაცემები** სპეციფიკურადაა შერჩეული სამღებრო პროფესიისთვის დამახასიათებელი მიმართულებებით - აღნიშნულია მოთხოვნა ისეთ ქვეყნებში, სადაც აქტიურია ურბანიზაცია და მწვანე მშენებლობის სტანდარტების დანერგვა, ასევე ჩამოთვლილია კონკრეტული საერთაშორისო ორგანიზაციები (ILO, OECD, CEDEFOP), რომელთა მონაცემებიც ადასტურებენ პროფესიის მრავალფუნქციურ და სტრატეგიულ ხასიათს;
- **დამსაქმებელთა უკუკავშირი** ორიენტირებულია კონკრეტულ პრობლემაზე - კადრების ხშირი ცვლაზე და დაბალკვალიფიციური მუშახელის დაქირავების იძულებით საჭიროებაზე, რაც პირდაპირ მიუთითებს პროფესიულად მომზადებული სპეციალისტების დეფიციტზე და ამყარებს პროგრამის აქტუალურობას;
- **დასაქმების პლატფორმების ანალიზი** გამოკვეთს არა ზოგადად სამშენებლო, არამედ კონკრეტულად სამღებრო მიმართულების პოზიციებს (ხელოსანი/ტექნიკოსი, ტექსტურული შეღებვის ოსტატი, ანტიკოროზიული საფარების ტექნოლოგი), რაც აჩვენებს, რომ დასაბუთება საგანგებოდ არის მორგებული სწორედ ამ პროფესიის ბაზრის მოთხოვნებზე;
- **კოლეჯის საკუთარი გამოცდილება** ეყრდნობა 2018 წლიდან მოქმედ „მშენებლობის წარმოება - სამღებრო სამუშაოები“ პროგრამას, რომლის ჩარიცხვის სტატისტიკა (2022-2025 წლებში სტაბილურად სრული და ხშირად გადაჭარბებული დაკომპლექტება) და 90%-იანი დასაქმების მაჩვენებელი ცხადყოფს არა ჰიპოთეტურ, არამედ პრაქტიკულად დადასტურებულ მოთხოვნას.

ცალკე აღსანიშნავია, რომ დასაბუთებაში მოცემულია კონკრეტული მონაცემი - მხოლოდ აჭარის რეგიონში სამუშაოს მაძიებელთა პლატფორმებზე რეგისტრირებული 40-ზე მეტი ვაკანსია სამღებრო მიმართულებით, რომელთა 70% მოითხოვს პროფესიულ განათლებას ან პრაქტიკულ გამოცდილებას, რაც პროგრამის რელევანტურობის ერთ-ერთი ყველაზე პირდაპირი დასტურია. აღნიშნული დასაბუთება, ასევე, განხილულ და გაზიარებულ იქნა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის მიერ, რომელმაც 2025 წლის 8 ოქტომბერი №1311041 წერილით დაწესებულებას მისცა თანხმობა, საავტორიზაციო განაცხადი წარედგინა პროგრამაზე „სამშენებლო სამღებრო სამუშაოები".

პროგრამა შეესაბამება კოლეჯის მისიით განსაზღვრულ პრიორიტეტებს - კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებას შრომის ბაზრის საჭიროებების გათვალისწინებით, სოციალურ ინკლუზიასა და პროფესიული განვითარების ხელშეწყობას. სამღებრო სამუშაოების პროფესია, როგორც მრავალფუნქციური და პრაქტიკულ უნარებზე დაფუძნებული მიმართულება, უზრუნველყოფს ისეთი კომპეტენციების გამომუშავებას, რომლებზეც ერთდროულად არსებობს მოთხოვნა ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე, ხოლო პროგრამის ხელმისაწვდომობა სხვადასხვა სოციალური ჯგუფისთვის პასუხობს მისიის ინკლუზიურ განზომილებას.

პროგრამის დამატება თანხვედრაშია კოლეჯის 2026-2032 წლების სტრატეგიულ განვითარების გეგმასთან შემდეგნაირად:

- სტრატეგიული მიზანი N1-ის ფარგლებში პროგრამა წარმოადგენს შრომის ბაზრის საჭიროებებზე დაფუძნებული პროგრამული სპექტრის გაფართოების ერთ-ერთ კონკრეტულ გამოვლინებას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სტრატეგიული მიზანი N2-თან კავშირი ვლინდება პრაქტიკული სწავლების კომპონენტისა და დამსაქმებელთან პირდაპირი თანამშრომლობის მეშვეობით;
- სტრატეგიული მიზანი N4-ის შესაბამისად, პროგრამა ხელს უწყობს კურსდამთავრებულთა დასაქმებას და კოლეჯის რეგიონული როლის განმტკიცებას;

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2.1.1.1. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „სამშენებლო სამღებრო სამუშაოები" დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება, რაც შეესაბამება პროგრამის NQF-ის მე-4 დონეს.

პროგრამის სწავლის შედეგები მოიცავს არა მხოლოდ პრაქტიკულ-ტექნიკურ უნარებს (ზედაპირების შეფითხვნა, დეკორატიული მობათქაშება, საღებავი მასალების გამოყენება, თერმო/ჰიდროსაიზოლაცია), არამედ უფრო კომპლექსურ, ორგანიზაციულ-ზედამხედველობით კომპონენტს — კურსდამთავრებულმა უნდა შეძლოს „სამუშაო პროცესის ორგანიზება" და „ზედამხედველობის გაწევა სამშენებლო სამღებრო სამუშაოების შემსრულებელ მუშათა რგოლზე". ეს მოითხოვს უფრო მაღალ დონეზე განვითარებულ ანალიტიკურ, კომუნიკაციურ და პასუხისმგებლობის უნარებს, რასაც სრული ზოგადი განათლება (ვიდრე მხოლოდ საბაზო) უკეთ უზრუნველყოფს.

სრული ზოგადი განათლება უზრუნველყოფს: ტექნოლოგიური პროცესის შეფასებისთვის საჭირო ანალიტიკური აზროვნების საბაზისო დონეს; წერილობითი და ზეპირი კომუნიკაციის იმ დონეს, რაც აუცილებელია სამუშაო ჯგუფის კოორდინაციისა და ზედამხედველობისთვის; ზოგადი განათლების სრული საფეხურისთვის დამახასიათებელ დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღების უნარს. შესაბამისად, დაშვების წინაპირობა ადეკვატურად შეესაბამება პროგრამის სირთულის დონესა და სწავლის შედეგებს.

დაწესებულებას დამტკიცებული აქვს პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის წესი და პირობები (ბრძ.№01-04/107, 26.06.2024 , რომლის მიზანია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე აპლიკანტთა შერჩევისა და ჩარიცხვის პროცესის რეგულირება ობიექტურობის, გამჭვირვალობისა და ინკლუზიურობის პრინციპებზე დაყრდნობით. კოლეჯი ვალდებულია დაინტერესებულ პირს მიაწოდოს ინფორმაცია კონკრეტულ პროგრამაზე დაშვების წინაპირობებისა და შერჩევის თავისებურებების შესახებ, ასევე დაეხმაროს რეგისტრაციის პროცედურებში. პროგრამაზე ჩარიცხვის პროცესი მოიცავს ეტაპობრივ სისტემას ანკეტა-კითხვარის შევსება, აპლიკანტთა რეგისტრაცია, შერჩევა, რეიტინგული სიის შედგენა და შედეგების გამოცხადება რაც უზრუნველყოფს პროცედურის გამჭვირვალობასა და თანმიმდევრულობას. აღნიშნული წესით დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიულ პროგრამის მოთხოვნის შესაბამისი აპლიკანტის შერჩევას, წინაპირობების გათვალისწინებით რათა ჩარიცხულმა პირმა შეძლოს პროგრამის განხორციელების ვადაში სწავლის შედეგების მიღწევა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2.1.1.2. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „სამშენებლო სამღებრო სამუშაოები" პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განსაზღვრულია სსიპ კოლეჯის „ახალი ტალღა" 2022 წლის 14 იანვრის №01-04/06 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის" შესაბამისად.

პროგრამის დანართში (№13) მითითებულია:

- განხორციელების მიდგომა: იმიტირებული სამუშაო გარემოში, სწავლება ერთ ცვლაში;
- A გარემო: ერთი A გარემო, 15 პროფესიული სტუდენტისთვის გათვლილი რესურსი;
- C გარემო: ერთი C გარემო, 15 პროფესიული სტუდენტისთვის გათვლილი რესურსი;
- ადამიანური რესურსის რაოდენობა: 12;
- მოთხოვნილი კვოტა: 15 პროფესიული სტუდენტი.

ერთცვლიანი სწავლების პირობებში, A/C გარემოების თანაბარი რესურსი და ადამიანური რესურსი (12) საფუძვლად დაედო პროგრამის ზღვრული რაოდენობის განსაზღვრას 15 პროფესიულ სტუდენტზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2.1.1.3. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;

განსახორციელებელ პროგრამაში გათვალისწინებული რესურსული ბაზა საგანმანათლებლო სტანდარტთან შესატყვისობაშია და პროგრამით დასახული სწავლის შედეგების მისაღწევად აქტუალურია. კოლეჯი პროგრამის განხორციელებას შესაბამისი სასწავლო სივრცით (A და C გარემოები) ემსახურება.

პროგრამის დოკუმენტაცია მოიცავს იმ ტექნიკურ-მატერიალურ საშუალებათა სიას, რომელთაც მოდულების სწავლების პროცესში მიმართავენ. ეს სია თითოეული მოდულის ჭრილში საგანმანათლებლო სტანდარტში დაფიქსირებულ სავალდებულო თუ სარეკომენდაციო აღჭურვილობასთან სრულ თანხმობაშია. პროგრამაში აღწერილი საგანმანათლებლო რესურსები მოდულების არსს ესადაგება, ხოლო მათი რაოდენობა სწავლის შედეგების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სრულყოფილად რეალიზებას უზრუნველყოფს. საგანმანათლებლო რესურსების შენახვა ხდება კოლეჯის ბიბლიოთეკაში, დამუშავება - საბიბლიოთეკო რეგულაციების შესაბამისად, ხოლო წვდომა სტუდენტებისთვის თავისუფალია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2.1.1.4. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;

პროგრამა არ ითვალისწინებს არჩევით მოდულებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2.1.1.5. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;

კოლეჯის დირექტორის 2023 წლის 6 ივნისის N01-04/112 ბრძანებით (ცვლილება შეტანილია 2025 წლის 27 მაისის N01-04/106 ბრძანებით) დამტკიცდა „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია“. აღნიშნული მეთოდოლოგიის მე-5 მუხლის მიხედვით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა კოლეჯის დირექტორს დასამტკიცებლად წარედგინება ხარისხის მენეჯერის დადებითი დასკვნის საფუძველზე, რის შემდეგაც პროგრამას კოლეჯის დირექტორი ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით ამტკიცებს.

საგანმანათლებლო პროგრამა „სამშენებლო სამღებრო სამუშაოები“ დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის, კოლეჯის დირექტორის, 2026 წლის 11 მაისის N01-04/128 ბრძანებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2.1.1.6. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;

პროგრამის სახელწოდება - „სამშენებლო სამღებრო სამუშაოები“ (Construction Painting Works) - რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 2026 წლის 11 მაისის N01-04/128 ბრძანებით სრულად შეესაბამება პროგრამის შინაარსს, რომელიც სამშენებლო ობიექტებზე საღებავ-სამღებრო სამუშაოების შესრულების პრაქტიკულ და თეორიულ კომპეტენციებზეა ორიენტირებული. სახელწოდება იდენტურია პროგრამის საფუძვლად არსებული სტანდარტის დასახელებისა (სარეგისტრაციო ნომერი 07.22.1) და ცალსახად უკავშირდება მისანიჭებელ საშუალო პროფესიულ კვალიფიკაციასა და სწავლის შედეგებს. ფორმულირება არ იძლევა ორაზროვნების ან შეცდომაში შეყვანის საფუძველს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2.1.1.7. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კოლეჯმა პროგრამა შეიმუშავა იმ შიდა რეგულაციების საფუძველზე, რომლებიც განსაზღვრავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესს. აღნიშნული მეთოდოლოგია დამტკიცებულია დირექტორის 2023 წლის 06 ივნისის №01-04/112 ბრძანებით, ხოლო მისი მოქმედი რედაქცია – 2025 წლის 27 მაისის №01-04/106 ბრძანებით. პროგრამა ემყარება და სრულ შესაბამისობაშია პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტს „სამშენებლო სამღებრო სამუშაოები“.

პროგრამის პაკეტი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ინფორმაციის სრულ წარმოდგენას. მასში ასახულია პროგრამის მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, ჩარიცხვის პირობები, სწავლის შედეგები, შეფასების პრინციპები, პროგრამის მოცულობა, სწავლების ვადა, სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და პრაქტიკის განხორციელების მიდგომები. დოკუმენტაციას ერთვის სასწავლო გეგმა, პროგრამის მოდულები, მათ შორის არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის განსაზღვრული „ქართული ენა A2“ და „ქართული ენა B1“, ასევე ინფორმაცია პროგრამის ადამიანურ და მატერიალურ უზრუნველყოფაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2.1.1.8. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კოლეჯის მისია, ხედვა, ღირებულებები;
- კოლეჯის 2026-2032 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- პროგრამის დამატების განაცხადის დანართი 4 - მიზანშეწონილობის დასაბუთება;
- დირექტორის 2026 წლის 27 თებერვლის №01-04/48 ბრძანება სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ, ცვლილება - №01-04/72, 23.03.2026;
- სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმები №1-4 (04.03.2026-30.04.2026);
- „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია" - დამტკიცებული დირექტორის ბრძანებით №01-04/112, 06.06.2023, ბოლო ცვლილება - №01-04/106, 27.05.2025;
- პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის წესი და პირობები - დამტკიცებული ბრძანებით №01-04/107, 26.06.2024;
- პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია - დამტკიცებული ბრძანებით №01-04/06, 14.01.2022;
- დანართი 13: პროგრამის ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის დოკუმენტაცია (A და C გარემოებისა და ადამიანური რესურსის გაანგარიშება);
- საგანმანათლებლო პროგრამა სამშენებლო სამღებრო სამუშაოები (მატერიალური და საგანმანათლებლო რესურსის ნუსხა, არჩევითი მოდული, მოდულები, სასწავლო გეგმა) - დამტკიცებული დირექტორის ბრძანებით №01-04/128, 11.05.2026;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- დანართი 7 - საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს პროფესიული განათლების დეპარტამენტის თანხმობის წერილი - 08.10.2025 ,N1311041
- ინტერვიუს შედეგები ადმინისტრაციასთან და პროგრამის შემუშავების ჯგუფთან.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „სამშენებლო სამღებრო სამუშაოები“ სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია ორი ტიპის: A - C სასწავლო გარემოთი. ორივე სასწავლო გარემო სრულად შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

A ტიპის სასწავლო გარემო - II 203 თეორიული და ჯგუფური მუშაობისთვისაა გათვალისწინებული და აღჭურვილია საკლასო სტანდარტული ინვენტარით. განკუთნილია 15 სტუდენტისთვის, დაფითა და ინტერნეტში ჩართული კომპიუტერით, საჭიროებისამებრ დემონსტრირების საშუალებით (პროექტორი).

C გარემო კი სპეციალურად მოწყობილი პრაქტიკული სივრცეა - III – 203 რომელიც სრულად უზრუნველყოფს პროგრამის ფარგლებში სასწავლო პროცესის ეფექტიან და უსაფრთხო წარმართვას, სრულად შეესაბამება შრომის უსაფრთხოების სტანდარტებს და იძლევა როგორც ინდივიდუალური, ისე ჯგუფური პრაქტიკული სწავლების შესაძლებლობას. თითოეული გარემო გათვლილია 15 პროფესიულ სტუდენტზე, სწავლება მიმდინარეობს ერთ ცვლაში.

მატერიალური რესურსის თვალსაზრისით, C გარემო აღჭურვილია პროგრამის თორმეტივე პრაქტიკული მოდულისთვის (სამუშაო ობიექტის შეფასება, ზედაპირების შეფითხვნა, დეკორატიული ელემენტების შექმნა, დეკორატიული დანაფარები, ზედაპირების შეღებვა, შპალერის გაკვრა, თერმო- და ჰიდროსაიზოლაცია, იატაკების დამუშავება, შრომის უსაფრთხოება) საჭირო ინსტრუმენტებით - ჩაქუჩი, გელა-ლურსმნის ამოსაღები, ელ. პერფორატორი, უსაფრთხოების ქამარი, ხელის ტომბო პულივიზატორი, ხრახნმომჭერი სჭვალსახრახნისი, მტვერსასრუტი სამრეწველო, მიქსერები, ხარაჩო, ჩაფხუტი, თარაზოები, საფხეკები, და სხვა პროფესიული აღჭურვილობა.
კოლეჯს გამოვლენილი აქვს დანაკლისი რესურსი და მის შეძენასთან დაკავშირებით წარმოდგენილი აქვს დამტკიცებული შესაბამისობის გეგმა (ბრძანება №01-04/193, 27.05.2026), რომლის ფარგლებშიც, ვაუჩერული დაფინანსების ფარგლებში (მოდულის ვაუჩერული დაფინანსებიდან წინა წლების განმავლობაში დაგროვილი ეკონომიით), 2026 წლის 1 ივნისიდან 30 ნოემბრამდე პერიოდში ხორციელდება C გარემოსთვის აუცილებელი რესურის ინსტრუმენტების/აღჭურვილობის შესყიდვა, კერძოდ: სიგრძის საზომი რულეტი, სათლი, ალუმინის ორმხრივი კიბე, მიქსერი, ხარაჩო (გორგოლაჭით), ქაფჩა, კელმა, ჩაქუჩი (დურგლის), თარაზო, გონიო, საბურისი (გელა), საფხეკი მღებავის, საფითხი (შპატელი), საგლუვი (კელმა), ალუმინის ზედაპირის სასწორებელი, სავარცხელი (კელმა), საღებავის მისაფრქვევი დანადგარი პულივიზატორით, საფითხი (შპატელი), მაკრატელი, ელექტრო სახეხელა, პულვილიზატორი, იატაკის მოსახვეწი აპარატი და სხვ.
დამატებითად აღსანიშნავია, C სასწავლო გარემოში განსახორციელებელი მოდულები, ისე არის დალაგებული სასწავლო გეგმის მიხედვით, რომ შესაბამისობის გეგმით შესაძენი რესურსების გამო სასწავლო პროცესი არ შეფერხდება. ექსპერტთა მიერ მოცემული ინდიკატორი შეფასდა მეტწილად და გაიწერა განმავითარებელი რეკომენდაცია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2.2.1.1. ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია

2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სამშენებლო სამღებრო სამუშაოები" განხორციელებისთვის განსაზღვრულია მასწავლებელთა ისეთი რაოდენობა და ორგანიზება, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. დანართი N2-ის მიხედვით, პროგრამის ყველა მოდულზე (როგორც ზოგად, ისე დარგობრივ) იდენტიფიცირებულია მინიმუმ ორი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განმახორციელებელი, ხოლო პროგრამაში სულ ჩართულია 13 პროფესიული განათლების მასწავლებელი/განმახორციელებელი, რაც ემთხვევა დანართი N13-ში მითითებულ ადამიანური რესურსის რაოდენობასაც. მათგან 3 არის დარგობრივი მოდულების განმახორციელებელი, რომელთაგან ორი ჩართულია პროგრამის 13 დარგობრივ მოდულზე (მშენებლობის საფუძვლები, სამშენებლო ნახაზების კითხვა, სამუშაო ობიექტის ტექნოლოგიური შეფასება და პირველადი დამუშავება, ჭერისა და კედლის მინერალური ზედაპირების შეფითხვნა, დეკორატიული ელემენტების შექმნა და გამოყენება, დეკორატიული დანაფარები და მხატვრული მობათქაშება, მინერალური ზედაპირების შეღებვა, ინტერიერში შპალერის გაკვრა, თერმოსაიზოლაციო და ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოები, არამინერალური ზედაპირების დამუშავება-შეღებვა, საწარმოო და სამოქალაქო დანიშნულების იატაკების დამუშავება-შეღებვა, უსაფრთხოების წესების, ჰიგიენის ნორმების დაცვა და სამუშაოს ორგანიზება, მუშათა რგოლის ზედამხედველობა), ხოლო მესამე დარგის მასწავებელი არის კონკრეტულ მოდულებზე (უსაფრთხოების წესების, ჰიგიენის ნორმების დაცვა და სამუშაოს ორგანიზება, მუშათა რგოლის ზედამხედველობა), რაც შეეხება ზოგადი მოდულების განმახორციელებელი სულ არის 10 მასწავლებელი (მეწარმეობა, რაოდენობრივი წიგნიერება, უცხოური ენა, ქართული ენა A2, ქართული ენა B1);

ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის დოკუმენტით (დანართი N13) დადასტურებულია, რომ სასწავლო გეგმა ისეა ორგანიზებული, რომ შესაძლებელი იყოს A/C გარემოების ბაზაზე 15 პროფესიული სტუდენტის შეუფერხებელი სწავლება ერთ ცვლაში (მოთხოვნილი კვოტა - 15 სტუდენტი). შესაბამისად, მასწავლებელთა რაოდენობა, თითოეულ მოდულზე მინიმუმ ორი განმახორციელებლის არსებობა და პროგრამის ორგანიზაციული დაგეგმვა ქმნის პროგრამის განხორციელების მდგრადობის საკმარის საფუძველს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2.2.1.2. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

სსიპ კოლეჯ „ახალი ტალღის" დირექტორის 2025 წლის 17 თებერვლის №01-04/28 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო აღწერილობის" (დანართი №2) თანახმად, მასწავლებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნებია მინიმუმ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხი დარგში ან/და პროფესიული განათლება დარგში და შესაბამისი სამუშაოს მინიმუმ 3-წლიანი გამოცდილება, კომპიუტერული პროგრამების ცოდნა, თანამდებობის შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის ცოდნა, ასევე შესაბამისი კომუნიკაციური და ანალიტიკური უნარები.

პროგრამის განმახორციელებელ პერსონალში წარმოდგენილია ორი კატეგორიის მასწავლებელი. პროგრამის ზოგადი მოდულების 10 მასწავლებელი (მეწარმეობა, რაოდენობრივი წიგნიერება, უცხოური და ქართული ენები) წლების განმავლობაში ასწავლის კოლეჯში სხვადასხვა პროგრამაზე; პირადი საქმეების შესწავლისა და მათთან ინტერვიუს შედეგად დადასტურდა, რომ მათ გააჩნიათ პროფესიული განათლების მასწავლებლად მუშაობის პრაქტიკული გამოცდილება და, შესაბამისად, სტუდენტთათვის სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასების დადასტურებული კომპეტენცია. დარგობრივი (სპეციალიზებული) მოდულების მასწავლებლები (დავით რომანაძე, სულხან მამულაიშვილი და ბაჩუკი თხილაიშვილი) ფლობენ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შესაბამის დარგობრივ კვალიფიკაციასა და სამშენებლო/სამღებრო სფეროში მუშაობის გამოცდილებას, თუმცა ისინი ახალი დასაქმებულები არიან და სწავლების და შეფასების პრაქტიკული გამოცდილება ჯერ ფორმირების პროცესშია. ამის გათვალისწინებით კოლეჯის ადმინისტრაციამ ვიზიტის დროს წარმოადგინა მასწავლებელთა განვითარების გეგმა, რომელიც ითვალისწინებს ტრენინგების ციკლს სწავლა-სწავლების მეთოდოლოგიის, კალენდარული გეგმის შედგენისა და სტუდენტთა შეფასების ინსტრუმენტის შემუშავება-ვალიდაციის მიმართულებით (2026 წლის სექტემბერი-ოქტომბერი).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2.2.1.3. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;

სსიპ კოლეჯ „ახალი ტალღის" დირექტორის 2025 წლის 17 თებერვლის №01-04/28 ბრძანებით დამტკიცებული „პროგრამის ხელმძღვანელის სამუშაო აღწერილობის" (დანართი №1) თანახმად, პროგრამის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნებია მინიმუმ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხი ან პროფესიული განათლება შესაბამის დარგში ან/და დარგში მუშაობის გამოცდილება, კომპიუტერული პროგრამების და საკანონმდებლო ბაზის ცოდნა, ასევე კარგი წერილობითი და სიტყვიერი კომუნიკაციის უნარები.

პროგრამის ხელმძღვანელია დავით რომანაძე, რომელსაც აქვს ინჟინერ-მშენებლის კვალიფიკაცია და 2015 წლიდან დღემდე მუშაობს შპს „ჯეო ბილდერში" ინჟინრის პოზიციაზე, რაც მისი დარგობრივი კომპეტენციის საფუძველს წარმოადგენს. კომპიუტერული პროგრამების (Word, Excel, PowerPoint) ცოდნა შეესაბამება სამუშაო აღწერილობით დადგენილ მოთხოვნებს. მასწავლებელთა განვითარების გეგმა ითვალისწინებს პროგრამის ხელმძღვანელისთვისაც შესაბამის ტრენინგებს (მათ შორის სწავლა-სწავლების მეთოდოლოგია, პროგრამის განვითარებისა და ცვლილებების ინიცირების პროცესი), რაც უზრუნველყოფს მისი დარგობრივი და ხელმძღვანელობითი კომპეტენციის გაძლიერებას.

ვიზიტის ფარლგებში პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრების დროს მის მიერ აღინიშნა, რომ ის როგორც პროგრამის ხელმძღვანელი დარგობრივი კომპეტენციის ფარგლებში ჩართული იყო პროგრამის შემუშავების პროცესში, სასწავლო გეგმის დალაგების და ფორმისებისთვის, და მას უკვე ჰქონდა სამუშაო შეხვედრები და ტრენინგები ჩატარებული რა დროსაც გაეცნო პროგრამას, კრედიტებს, მოდულებს და მათ სწავლის შედეგებს რომ ტრენინგების ციკლის გავლის შემდეგ როგორც მასწავლებლემა და როგორც პროგრამის ხელმძღვანელმა შეძლოს სასწალო და ადმინისტრაციული პროცესების განხორციელება ვალდებულებების შესაბამისად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2.2.1.4. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კოლეჯის ბიბლიოთეკის დებულების თანახმად, ბიბლიოთეკაში განთავსებულია საგანმანათლებლო ერთეულების სახელმძღვანელო, დამხმარე და მეთოდური ლიტერატურა, ბეჭდვითი გამოცემები და ელექტრონული რესურსები. ბიბლიოთეკა უზრუნველყოფს მკითხველთა სრულ დაკმაყოფილებას მათთვის საჭირო ლიტერატურითა და საბიბლიოთეკო დოკუმენტებით, მათ შორის ბეჭდური, ხელნაწერი, ელექტრონული და ინფორმაციის შემცველი სხვა მასალებით. საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებში განსაზღვრული სასწავლო რესურსების არსებობა და სტუდენტთათვის მათი ხელმისაწვდომობა დადასტურდა ექსპერტთა ადგილზე ვიზიტის ფარგლებში. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი რესურსები სრულ თანხვედრაშია პროგრამის მოდულებით დადგენილ მოთხოვნებთან. პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუებისა და საბიბლიოთეკო ფონდის ვიზუალური დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ მოდულებით გათვალისწინებული სასწავლო მასალები სრული მოცულობითაა განთავსებული და ხელმისაწვდომი კოლეჯის ბიბლიოთეკაში.

დაწესებულებას ბეჭდური სახით აქვს შემდეგი სასწავლო რესურსი - პროფესია „მღებავი“, მღებავი, საბათქაშე სამუშაოები, შრომის უსაფრთხოება სამშენებლო სექტორში.

ხოლო, ელექტრული სახით აქვს შემდეგი სასწავლო რესურსი - რკინაბეტონის სამუშაოთა შემსრულებელი (მეყალიბე, მებეტონე, მეარმატურე), საშენი მასალების შერჩევა, შენობა ნაგებობების აგება მონოლითური რკინაბეტონით, მღებავი, ნახაზის კითხვის უნარ-ჩვევები, ეკოლოგიის მოკლე კურსი, შრომის უსაფრთხოება სამშენებლო სექტორში, მოდულებში მითითებული ყველა ტექნიკური რეგლამენტი, სამშენებლო პროცესების ტექნოლოგია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2.2.1.5. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

სსსმ პირების სასწავლო რესურსებზე ხელმისაწვდომობის საკითხი კოლეჯ „ახალ ტალღაში" რეგულირდება 2026 წლის 24 მარტის №01-04/74 ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით, კონკრეტულად კი მისი ინკლუზიური განათლების შესახებ თავით. დოკუმენტის თანახმად, კოლეჯი ვალდებულია შექმნას ინდივიდუალური გეგმა სასწავლო გარემო სსსმ და შშმ სტუდენტებისთვის. ეს გულისხმობს როგორც სპეციალურ საგანმანათლებლო მომსახურებას, ისე ზოგადად ადაპტირებულ სასწავლო მასალებზე წვდომას. საჭიროებისამებრ, კოლეჯი მოიზიდავს დამატებით ადამიანურ თუ მატერიალურ რესურსებს, რათა ეს სტუდენტები ჩაერთონ სასწავლო პროცესში სათანადო პირობებში ანუ ადაპტაცია არ არის ერთჯერადი აქტი, არამედ მუდმივად ცვალებადი, კონკრეტულ საჭიროებებზე მორგებული პროცესია.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, რომ საჭიროების შემთხვევაში სსსმ სტუდენტისთვის შემუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. და, სწორედ ინდ.გეგმა უზრუნველყოფს რესურსის მორგებას ინდივიდის საჭიროებაზე, ზოგადი სასწავლო ჩარჩოს ფარგლებში დარჩენით.

ხელმისაწვდომობის საკითხი ფიზიკურ სივრცეზეც ვრცელდება: შშმ პირებს აქვთ თავისუფალი წვდომა აუდიტორიებზე, პერსონალის ოთახებზე, ბიბლიოთეკაზე (როგორც სასწავლო რესურსის ერთ-ერთ მთავარ წყაროზე), ადაპტირებულ სანიტარულ სივრცეებსა და კოლეჯის სხვა ტერიტორიებზე. ეს აუცილებელია საგანმანათლებლო, ადმინისტრაციული და დამატებითი მომსახურებების სრულყოფილად მისაღებად.

დაბოლოს, პროგრამაზე მიღებულ სტუდენტთა ჯამური ლიმიტიდან 15%-მდე ადგილი ეთმობა სსსმ პირებს. ეს კი ინსტიტუციურ დონეზე უზრუნველყოფს ინკლუზიის სისტემურ მხარდაჭერას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ვიზიტის ფარგლებში პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ მათ აქვთ გამოცილება ინდ. გეგმებით სწავლების წარმართვის და მყისიერად რეაგირებენ საჭიროებებზე და უზრუნველყოფენ პროგრამით/ინდ.გეგმით განსაზღვრულ რესურსებზე ხელმისაწვდომობას და მათ ადაპტირებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2.2.1.6. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

პროგრამის ბიუჯეტი ფორმირდება სახელმწიფო ვაუჩერული დაფინანსების წყაროდან, ხოლო რენტაბელობის ზღვარი (10 სტუდენტი) რაც ამცირებს ჯგუფის 15 სტუდენტის ვერ დაკომპლექტების შემთხვეევაში გამოწვეულ ფინანსურ რისკებს. ხარჯვითი ნაწილი მოიცავს შრომის ანაზღაურებას (ბიუჯეტის უდიდესი წილი), ნედლეულ-მასალების, გაუთვალისწინებელ და აღჭურვილობის ამორტიზაციის ხარჯებს, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის შეუფერხებელ მიმდინარეობასა და მოულოდნელი ხარჯების დაფარვის შესაძლებლობას. საერთო შემოსავლისა და ხარჯების დაბალანსება ადასტურებს პროგრამის ფინანსურ მდგრადობას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2.2.1.7. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- საგანმანათლებლო პროგრამა „სამშენებლო სამღებრო სამუშაოები" (მატერიალური რესურსის ნუსხა, განმახორციელებლები, არჩევითი მოდული, მოდულები, სასწავლო გეგმა) - დამტკიცებული დირექტორის ბრძანებით №01-04/128, 11.05.2026;
- A, B და C გარემოების ფიზიკური დათვალიერების შედეგები და რესურსის საკუთრებაში ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- შესაბამისობის გეგმა (C გარემოსთვის საჭირო აღჭურვილობის შესყიდვის თაობაზე) - დამტკიცებული ბრძანებით №01-04/193, 27.05.2026;
- დანართი 13. პროგრამის ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის დოკუმენტაცია
- „პროფესიული განათლების მასწავლებლის და პროგრამის ხელმძღვანელის სამუშაო აღწერილობა" - დამტკიცებული ბრძანებით №01-04/28, 17.02.2025;
- პირადი საქმეები
- მასწავლებლის განვითარების გეგმა
- პროგრამის ხელმძღვანელის განვითარების გეგმა
- კოლეჯის ბიბლიოთეკის დებულება - დამტკიცებული 2023 წლის 06 ივნისის N01-04/115 ბრძანებით
- ბიბლიოთეკის კატალოგი და მასალები;
- პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი.
- „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი" - დამტკიცებული ბრძანებით №01-04/74, 24.03.2026;
- გასაუბრებების შედეგები პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან, პასუხისმგებელ პირებთან სსსმ პირთა მხარდაჭერის საკითხებზე;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ **მეტწილად შეესაბამება**
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;

2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;**

პროგრამის შეფასების მიზნით კოლეჯ ახალ ტალღაში არსებობს მექანიზმი, რომლის შესაბამისადაც ზედამხედველობს პროგრამის განხორციელებას, საჭიროების შემთხვევაში კი ითვალისწინებს პროგრამაში ცვლილებების განხორციელებას. პროგრამის შეფასების მიზნით, პსდ-ში მოქმედებს დირექტორის 2023 წლის 06 ივნისის N01-04/112 (ცვლილება: 27/05/2025 N 0104/106 ბრძანება) ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგიით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და განვითარების პროცესებს არეგულირებს მეთოდოლოგიის მუხლი 7, რომელიც ითვალისწინებს: პროგრამების შინაარსობრივი ასპექტების შეფასებას; სწავლა-სწავლების პროცესის მიმდინარეობის ადეკვატურობის დადგენას; მოდულის განმახორციელებელი პირების საქმიანობის შეფასებას; მატერიალურ-ტექნიკური რესურსის, მასალა-ნედლეულის საკმარისობის, ავთენტურობის შეფასებას; ვერიფიკაციას.

შედეგების შეფასების საფუძველზე, კოლეჯი იყენებს უკუკავშირის მექანიზმს, უკუკავშირის საფუძველზე გათვალისწინებულია პროგრამაში ცვლილების შეტანა, რომელიც უზრუნველყოფს გაუმჯობესება/განვითარებას. კოლეჯმა პროგრამაში ცვლილებები შესაძლოა განახორციელოს იმ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რეკომენდაციების საფუძველზე, რომელსაც პროგრამის შეფასების შედეგების მიხედვით ხარისხის მართვის მენეჯერი წარუდგენს კოლეჯის დირექტორს. რეკომენდაციების საფუძველზე, კოლეჯს შეუძლია ცვლილება განახორციელოს ერთის მხრივ, საკუთარი შესაძლებლობის ფარგლებში და ასევე წარადგინოს ინიცირების წინადადება სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების უზრუნველსაყოფად მოქმედებს ხარისხის შიდა მექანიზმი, რომლით განსაზღვრული პროცესებიც არის ციკლურია. მექანიზმით გათვალისწინებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება-განვითარების პროცესი მოიცავს: პროგრამების დაგეგმვას, ახალი პროგრამის დამატებას, პროგრამაში ცვლილებების შეტანას, ვერიფიკაციას, მონიტორინგის მექანიზმების განსაზღვრას.
დამატებით აღსანისნავია, რომ პროგრამის შეფასების პროცესი ითვალიწინებს პროფესიულ სტუდენტთა, პროფესიულ მასწავლებელთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა მოსაზრებების დადგენას, რისთვისაც კოლეჯს შემუშავებული აქვს კვლევის კითხვარები:

- პროფესიული სტუდენტის კითხვარი ავტორიზაციის II სტანდარტის შეფასების მიზნით;
- პროფესიული განათლების მასწავლებლის კითხვარი ავტორიზაციის II სტანდარტის შეფასების მიზნით
- კითხვარი კურსდამთავრებულებისათვის
- პარტნიორი ორგანიზაციის კითხვარი ავტორიზაციის II სტანდარტის შეფასების მიზნით

ხოლო კვლევების სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს კოლეჯის შიდა (პროგრამის ხელმძღვანელები, პროფესიული მასწავლებლები, პროფესიული სტუდენტები, კურსდამთავრებულები) და გარე (დამსაქმებლები, პრაქტიკის ობიექტები) დაინტერესებული მხარეები, რაც უზრუნველყოფს დაინტერესებული პირების უკუკავშირის გათვალისწინებას პროგრამის შეფასების პროცესში. პროგრაის შეფასების პროცესებში კოლეჯის გარე დაინტერესებული მხარეების ჩართვა უზრუნველყოფს პროგრამის შინაარსობრივი მხარისა და კურსდამთავრებულთა კომპეტენციების შეფასებას შრომის ბაზრის მოთხოვნებთან მიმართებით. გარე დაინტერესებულ პირთა - დამსაქმებელთა კვლევის მიზანია საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებისა და სრულყოფის მიზნით პროფესიული სტუდენტებისა და კურსამთავრებულების დასაქმების ან სტაჟირების მიმართ დამსაქმებელთა დამოკიდებულებების შესწავლა. კვლევის მეთოდი კი არის რაოდენობრივი კვლევა, შემუშავებულია წინასწარ სტრუქტურირებული კვლევის კითხვარი, რომელიც მოიცავს ღია და დახურულ შეკითხვებს.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ, ადგილზე ვიზიტის ფარგლებში, პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ პროგრამის შეფასების მიზნით ხორციელდება სპეციალური შეფასების ფორმის წარმოება. დაწესებულების წარმომადგენელთა განცხადებით, ფორმის მოთხოვნის შესაბამისი მონაცემების ასახვის გარდა, ისინი ამუშავებენ სხვადასხვა ტიპის მონაცემებს, რომლებიც პროგრამის შეფასების ფორმის EQAVET ინდიკატორების ნაწილში აქვთ გაანალიზებული და შემდგომში პროგრამის შეფასებისა და განვითარებისთვის იყენებენ. ინტერვიუს დროს მოწოდებული ინფორმაციით, დასახელებული პრაქტიკა გამოყენებული იყო პროგრამის წინა სტანდარტის ფარგლებში განხორციელებული სწავლების პერიოდშიც.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2.3.1.1. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კოლეჯში პროგრამების განხორციელების ხარისხის მონიტორინგისა და განვითარების პროცესის ეფექტიანი დანერგვის უზრუნველყოფის მიზნით, კოლეჯში ფუნქციონირებს ხარისხის მართვის სამსახური. პროგრამის შეფასების შედეგად მიღებული მონაცემები გამოიყენება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების გაუმჯობესებისა და სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლების მიზნით.

კოლეჯ ახალი ტალღის დირექტორის 2023 წლის 06 ივნისის N01-04/112 (ცვლილება: 27/05/2025 N 0104/106 ბრძანება) ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგიის მუხლი 6 არეგულირებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების შეტანას.

წესის მიხედვით, პროგრამაში ცვლილების შეტანა შესაძლებელია კოლეჯში მეთოდოლოგიით განსაზღვრული პროგრამის შეფასების შედეგების ანალიზის, სსსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის დოკუმენტში ცვლილების განხორციელების, შრომის ბაზრის მოთხოვნის ან სხვა გარემოების საფუძველზე. მეთოდოლოგიის მიხედვით პროგრამაში ცვლილების ინიცირება შეუძლია კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერს, საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებისა და მართვის მენეჯერს, პროგრამის ხელმძღვანელს, მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებელს, კოლეჯის პარტნიორ ორგანიზაციას და სხვა დაინტერესებულ პირებს.
ცვლილებების შემთხვევაში, მოდიფიცირებული საგანმანათლებლო პროგრამა საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებისა და მართვის მენეჯერის მიერ დასამტკიცებლად წარედგინება დირექტორს. მეთოდოლოგისს შესაბამისად, კოლეჯი უზრუნველყოფს ითვალისწინებს საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების შესახებ ინფორმაციის გავრცელებას. ცვლილების შესახებ ინფორმაცია კოლეჯის ადმინისტრაციასა და პროფესიული განათლების მასწავლებლებს ეცნობებათ ეფლოუს საშუალებით, დამტკიცებული პროგრამა კი განთავსდება კოლეჯის ვებ-გვერდზე.

შესაბამისად, კოლეჯი ახალი ტალღის მიერ გაანალიზებულია პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგები და საჭიროების შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში ცვლილებების განხცორციელება დაწესებულების მიერ განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2.3.1.2. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია“ 2023 წლის 06 ივნისის N01-04/112 (ბოლო ცვლილება: 27/05/2025 N0104/106 ბრძანება) ბრძანება
- ინტერვიუს შედეგები პასუხისმგებელ პირებთან

შეფასება:
☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად

კოლეჯში პროფესიული პროგრამა სამშენებლო-სამღებრო სამუშაოები ხორციელდება დირექტორის 24/03/2026 წლის N01-04/74 ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარგეგულირებელი წესის შესაბამისად. კოლეჯს შედგემილი აქვს სასწავლო გეგმა, რომელიც უზრუნველყოფს ზოგადი და პროფესიული მოდულების თანმიმდევრულ სწავლებას. მოდულების განხორციელების თანმიმდევრობა განსაზღვრულია მათივე შინაარსის და სწავლის შედეგების გათვალიწინებით, სასწავლო გეგმით გაწერილი მოდულები ლოგიკურ ბმაშია ერთმანეთთან. სასწავლო გეგმა ისეა შედგენილი, რომ დაცულია პროფესიულ სტუდენტთა კვირეული საათობრივი დატვირთვა, დატვირთვის მიხედვით კვირეული საათობრივი დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. სასწავლო გეგმა მოიცავს 3 ზოგად და 13 პროფესიულ მოდულს, რომლისთვისაც ჯამურად დათმობილია 60 სასწავლო კვირა. სასწავლო გეგმაში ასახულია საკონტაქტო, დამოუკიდებელი და შეფასების საათების ოდენობა. სასწავლო გეგმებში დაცულია დროის შუალედი განმეორებითი შეფასებისათვის;

სასწავლო გეგმა შედგენილია ქართული ენის მოდულების განხორციელებისთვისაც, იმ სტუდენტებისთვის, რომელთაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია. ასეთი სტუდენტები პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაწყებამდე გადიან ქართული ენის A2 და B1 მოდულებს.

სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით განსაზღვრულია, რომ სწავლის დაწყების წინ სასწავლო გეგმიდან გამომდინარე კოლეჯი ადგენს სალექციო განრიგს, რომელიც მოიცავს შემდეგ მონაცემებს: მოდულის დასახელება, მოდულის განმახორციელებლის სახელი და გვარი, ლექციის დაწყებისა და დასრულების დრო.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა მიერ ადგილზე ვიზიტის ფარგლებში ინტერვიუსა და დოკუმენტების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ მოდულის განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებლები შემუშავებული სასწავლო გეგმის გათვალისწინებით ადგენენ კალენდარულ გეგმებს, რომლებიც მოიცავს თარიღს, თემატიკას, სწავლის და შეფასების მეთოდებს, რესურსს. შედგენილი კალენდარული გეგმების შესაბამისად მოდულის განმახორციელებლები ახორციელებენ სწავლებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2.4.1.1. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;

კოლეჯის დირექტორის 24/03/2026 წლის N01-04/74 ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი ითვალისწინებს სტუდენტთა ინტერსების დადგენასა და საჭიროებებზე რეაგირებას. კერძოდ, წესი არეგულირებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით. სასწავლო გეგმის შემუშავება გათვალისწინებულია: სსსმ/შშმ პირებისთვის, მობილობის, სტატუსის აღდგენის, მოდიფიცირებულ/ოპტიმიზირებულ პროგრამაზე გადაყვანის ან ფორსმაჟორული ვითარების შემთხვევებში. ინდ.გეგმის შემუშავებაში მონაწილეობენ სასწავლო პროცესის მენეჯერი, შესაბამისი მასწავლებელი და საჭიროებისამებრ ინკლუზიური განათლების სპეციალისტი, ამასთანავე ამ პროცესებში ჩართვის უფლება აქვს პროფესიულ სტუდენტს (არასრულწლოვნის შემთხვევაში მის კანონიერ წარმომადგენელს). დასახელებული მექანიზმი შესაძლებლობას აძლევს კოლეჯს მოქნილად უპასუხოს სასწავლო პროცესში წარმოქმნილ ინდივიდუალურ საჭიროებებს, აღნიშნულს უზრუნველყოფს სწავლების მეთოდების, საათების განაწილების, სასწავლო გარემოსა და რესურსების ადაპტირებით. თუ სტუდენტი არსი სსსმ ან შშმ პირი, პროცესში ერთვება ინკლუზიური განათლების სპეციალისტი და ამავე წესის 45 -ე მუხლის შესაბამისად წარმართავს პროცესებს, რათა უზრუნველყოფილი იყოს ყველა სტუდენტის საჭიროებები. ხოლო ყველა დანარჩენ შემთხვევაში სტუდენტის საჭიროებებს ადგენს და შემხვედრ რეაგირებას ახდენს სასწავლო პროცესის სამსახური.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ პასუხისმგებელ პირებთან ინტერვიუს დროს მათ მიერ დასახელდა ფუნქციური გამიჯვნა, კერძოდ: სტუდენტის მობილობის ან სტატუსის შეჩერების შემთხვევებში ინდ. გეგმის საჭიროების დადგენას და შესაბამისი პროცესების განხორციელებას სასწავლო პროცესის სამსახური უზრუნველოფს სასწავლო პროცესის სამსახური სასწავლო პროცესის წესის შესაბამისად. მაგალითად: როგორც ინტერვიუს დროს გამოვლინდა, მათივე რეგულაციის შესაბამისად ამ პროცესებში ჩართულია სასწავლო პროცესის მენეჯერი და თავად სტუდენტი (არასრულწლოვნის შემთხვევაში, მისი კანონიერი წარმომადგენელი). სტატუსის აღდგენის შემთხვევაში პროფესიული სტუდენტი სწავლას აგრძელებს პროგრამის იმ ეტაპიდან, სადაც მას შეუჩერდა პროფესიული სტუდენტის სტატუსი. ამისთვის კი სასწავლო პროცესის მენეჯერი, ამოწმებს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებულ, უკვე ათვისებულ სწავლის შედეგებს და სასწავლო პროცესის მიმდინარეობისა და პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით შეიმუშავებს სასწავლო განრიგს. ხოლო თუ, პროფესიული სტუდენტის მიერ არ არის დადასტურებული ყველა სწავლის შედეგი, მუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის პროექტი და დასამტკიცებლად წარედგინება კოლეჯის დირექტორს.

კოლეჯმა ნიმუშად წარმოადგინა სსიპ კოლეჯ „კოლეჯ ახალი“ ტალღის დირექტორის 2024 წლის 26 სექტემბრის N01-04/161 ბრძანებით დამტკიცებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომლის დახმარებითაც სტუდენტმა შეძლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების დაძლევა და დადასტურება გეგმით დადგენილ ვადაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ამასთანავე, კოლეჯი საჭიროების შემთხვევაში მოქნილად რეაგირებს გამოვლენილ გარემოებებზე და სტუდენტებს უქმნის მათ ინტერესებზე მორგებულ შესაძლებლობას სასწავლო პროცესში ჩაერთონ ელექტრინულად. ამ გზით პროფესიული სტუდენტები სარგებლობენ პერსონალიზებული და მოქნილი (დროისა და ადგილის მიხედვით) მეთოდებით, გარდა ამისა შესაძლებლობა აქვთ სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყონ ონლაინ ინფორმაციის წყაროების, ასევე ვიდეო და აუდიო არხების გამოყენების გზით.

დაწესებულებაში დისტანციური ან ჰიბრიდული სწავლება, საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია წარიმართოს კანონმდებლობით დადგენილი შესაძლებლობის ფარგლებში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2.4.1.2. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;

კოლეჯში სწავლება ხორციელდება სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის, დამტკიცებული პროგრამისა და მოდულების მოთხოვნის შესაბამისად. სწავლების პროცესში გათვალისწინებულია სწავლების სხვადასხვა მეთოდის გამოყენება: ინტერაქციული ლექცია, სამუშაო ჯგუფში მეცადინეობა, პრაქტიკული მეცადინეობა, დისკუსია, როლური თამაში, ამასთანავე გათვალისწინებულია კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენება. საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს, როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ სწავლებას - ლაბორატორიულ და პროექტულ აქტივობებს, რომლებიც ხორციელდება პროგრამისთვის გათვალისწინებულ C გარემოში. დასახელებულ სასწავლო გარემოში უზრუნველყოფილია დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენება, რაც სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობას პრაქტიკულ საქმიანობაში აითვისონ გათბობის, ჰაერის კონდიცირებისა და სამაცივრო სისტემების მომსახურების განხორციელებისთვის საჭირო თანამედროვე ხელსაწყოები. სწავლის პროცესში გამოყენებული მეთოდები ხელს უწყობს სტუდენტების აქტიურ ჩართულობას, პრობლემებზე ორიენტირებულ სწავლებასა და პრაქტიკული უნარების განვითარებას.

ამასთანავე, დაწესებულება არეგულირებს და უზრუნველყოფს დისტანციურ სწავლებას. კერძოდ: საგანმანათლებლო პროგრამის - სამშენებლო-სამღებრო სამუშაოების 3 მოდული (2 ზოგადი და 1 პროფესიული) ითვალისწინებს დისტანციური სწავლების შესაძლებლობას. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მუხლი 16-ის მიხედვით, დისტანციური სწავლება კოლეჯში შესაძლებელია განხორციელდეს სრულად ელექტრონული სინქრონული, სრულად ელექტრონული ასინქრონული ან ჰიბრიდული მოდელით. შესაბამისი სწავლების მოდელის შერჩევა ხდება სასწავლო პროცესის საჭიროებების, საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკის, სწავლის შედეგების, სტუდენტთა ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით.

გაკვეთილის ხანგრძლივობა დისტანციური სწავლების დროს შეადგენს 50 წუთს, 10-წუთიანი შესვენებით, სასწავლო რესურსად კი გამოიყენება კოლეჯის ვებ-გვერდზე განთავსებული ელექტრონული სახელმძღვანელოები და დამხმარე მასალები. დასახელებულ სასწავლო რესურსს მასწავლებელი განათავსებს ვირტუალურ სასწავლო სივრცეში (Microsoft Teams-ის ლიცენზირებული პლატფორმა). სტუდენტთა დასწრება აღირიცხება და გაცდენის შემთხვევაში პროგრამის ხელმძღვანელი ადგენს მიზეზს - ტექნიკური/წვდომის პრობლემის დროს კი კოლეჯი განსაზღვრავს ალტერნატიულ ღონისძიებას; დისტანციური სწავლება სსსმ სტუდენტებისთვის ორგანიზდება ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით დ ამ პროცესებში ჩართულია პროგრამის ხელმძღვანელი, მასწავლებელი და საჭიროებისამებრ ინკლუზიური განათლების სპეციალისტი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ვიზიტის ფარგლებში ზოგადი მოდულების მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს დადასტურდა მათ მიერ სწავლების მრავალფეროვანი მეთოდების (მათ შორის ანალოგიებით სწავლება) გამოყენება, აუდიტორიების დათვალიერებების შედეგად კი გამოვლინდა, რომ A აუდიტორიები აღჭურვილია პროექტორითა და კომპიუტერით, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2.4.1.3. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. **პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;**

კოლეჯში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას უზრუნველყოფილია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების გავალისწინება. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი მოიცავს ინკლუზიური განათლების შესაძლებლობას და ამ წესის მუხლი 45-ის შესაბამისად უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტებზე მორგებული სასწავლო პროცესის ორგანიზებას მათ ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებით. რეგულაციის მიხედვით, კოლეჯში, საჭიროების შემთხვევაში, სსსმ/შშმ სტუდენტებისთვის, უზრუნველყოფილია შესაბამისი სპეციალური საგანმანათლებლო მომსახურება, დამატებითი მატერიალური და ადამიანური რესურსის მობილიზება და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება. ამასთან ერთად, კოლეჯი უზრუნველყოფს სტუდენტთა სოციალური ადაპტაციისა და სასწავლო პროცესში სრულყოფილად ჩართულობის ხელშეწყობას. დასახელებულ პროცესებთან დაკავშირებული მექანიზმები უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა საჭიროებების გამოვლენასა და შესაბამისი მხარდაჭერის ღონისძიებების განხორციელებას.

ადგილზე ვიზიტის დროს, ექსპერტთა ჯგუფის მიერ განცორციელდა ინტერვიუ ინკლუზიური განათლების სპეციალისტთან. ინტერვიუს დროს სპეციალისტის მიერ დასახელდა სსსმ და შშმ სტუდენტების შემთხვევაში ინდ. გეგმით სწავლების უზრუნველყოფის არაერთი მაგალითი. ინდივიდუალური გეგმით სარგებლობის შედეგად, სსსმ სტუდენტთა ნაწილის შემთხვევაში, მათმა ნაწილმა შეძლო შედეგების დადასტურება და მიენიჭათ კვალიფიკაცია, დანარჩენის შემთხვევაში კი გაიცა ცნობა. წინა წლის მიხედვით კოლეჯს ყავს 8 სსსმ და 2 შშმ სტუდენტი. ინტერვიუს შედეგებმა გამოკვეთა, რომ დაწესებულებას ამ მიმართულებით დიდი გამოცდილება აქვს. სსსმ და შშმ სტუდენტეთნ ინდივიდუალური გეგმების შემშავების პროცესი ასეთია: კოლეჯში ჩარიცხული სტუდენტის შესახებ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მულტიდისციპლინური გუნდის მიერ სტატუსის დადასტურების შემდეგ, ინკლუზიური განათლების სპეციალისტი იწყებს შემდგომ პროცედურებს: ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი სასწავლო პროცესის დაწყებისას ჯგუფში ესწრება სასწავლო პროცესს, ახორციელებს დაკვირვებას, რომლის შედეგების საფუძველზეც, პროფესიული სტუდენტის მიერ სასწავლო მოდულების დაძლევის შესაძლებლობის შესახებ კოლეჯის დირექტორს წარუდგენს დასკვნას. ინტერვიუს დროს, ინკლუზიური განათლების სპეციალისტმა ნიმუშად განიხილა 2024 წლის შემოდგომის მიღებაზე ჩარიცხული სსსმ პროფესიული სტუდენტის შემთხვევა, რომელსაც გააჩნდა ფიზიკურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული სირთულეები: მაღალი ხარისხის მიოპათია, რთული მიოპიური ასტიგმატიზმი და ამბლიოპია. ინკლუზიური განათლების სპეციალისტის დაკვირვების ანალიზის შედეგად გადაწყდა, რომ სტუდენტს ესაჭიროებოდა ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომლის მეშვეობით მოდულების ადაპტაციამ აკომოდაციის სახით სსსმ პროფესიულ სტუდენტს შესაძლებლობა მისცა მიეღწია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაღვრული სწავლის შედეგებისთვის. შედეგად სტუდენტმა დაადასტურა სწავლის შედეგები, გადაეცა დიპლომი და მიენიჭა კვალიფიკაცია. ამასთანავე, ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ საჭიროების შემთხვევაში კოლეჯი სსსმ და შშმ სტუდენტისთვის უზრუნველყოფს ინდივიდუალური ასისტენტის მხარდაჭერას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2.4.1.4. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - სამშენებლო-სამღებრო სამუშაოები არ ითვალისწინებს პრაქტიკის ობიექტზე სწავლებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2.4.1.5. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კოლეჯში დირექტორის 14/05/2026 წლის N01-04/133 ბრძანებით დამტკიცებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „სამშენებლო-სამღებრო სამუშაოები“ - სასწავლო ლაბორატორიის უსაფრთხოების წესები. ამ წესის მიხედვით უსაფრთხოების ნორმების დაცვა სავალდებულია, როგორც სტუდენტებისთვის, ასევე პერსონალისთვის. უსაფრთხოების წესი მოიცავს დარგისთვის დამახასიათებელი რისკების გათვალისწინებით განსაზღვრულ ნორმებს. დოკუმენტით განსაზღვრულია: ლაბორატორიაში დაშვების წესები, ინდივიდუალური დაცვის საშუალებები, საღებავისა და ქიმიური ნივთიერებების უსაფრთხო გამოყენება, ინსტრუმენტებისა და მოწყობილობების უსაფრთხო გამოყენება, სიმაღლეზე მუშაობის უსაფრთხოება, სამუშო ადგილის ორგანიზება, ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოება, საგანგებო სიტუაციები, აკრძალვები, გარემოს დაცვის მოთხოვნები და პასუხისმგებლობები.

შესაბამისად, კოლეჯში უზრუნველყოფილია შესაბამისი უსაფრთხოების ნორმევის დაცვა, რომელთა შესახებ ინფორმაცია სტუდენტებს აქვთ წინასწარ, სასწავლო პროცესის დაწყებამდე.

აღნიშნულთან ერთად, ექსპერტთა ვიზიტის დროს მოხდა სამშენებლო სამღებრო სამუშაოების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გარემოს დათვალიერება. პროგრამა ითვალისწინებს სწავლების განხორციელებას A, და C გარემოებში. პროგრამისთვის განსაზღვრული აუდიტორიები და სასწავლო ლაბორატორია მდებარეობს კოლეჯ ახალი ტალღის II და III კორპუსებში. ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს, ადგილზე დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ სასწავლო ლაბორატორიაში თვალსაჩინო ადგილას არის გამოკრული შრომის უსაფრთხოების წესები.

ვიზიტის დროს ასევე შესწავლილ იქნა პსდ-ს მიერ შემუშავებული დირექტორის 2026 წლის 28 ივლისის N 001-04/214 ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესში შექმნილი პროდუქტებისა და წარმოქმნილი ნარჩენების მართვის მექანიზმი. დოკუმენტში გაწერილია წარმოქმნილი ნარჩენების შეგროვების, დახარისხების, დროებითი შენახვის, აღრიცხვის, გადაცემისა და მონიტორინგის პროცედურები. უტილიზაციის წესი განსაზღვრავს სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების მართვას. დოკუმენტის შესაბამისად ამ წესის დაცვა სავალდებულია კოლეჯის ადმინისტრაციული პერსონალისთვის, პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის, ინსტრუქტორებისთვის, მოწვეული სპეციალისტებისთვის და სტუდენტებისთვის. კოლეჯში წარმოქმნილი ნარჩენების მოძრაობა და მართვა ექვემდებარება აღრიცხვას, რომელიც აღირიცხება შესაბამის ჟურნალებში.

ადგილზე მოხდა ნარჩენებისთვის გამოყოფილი სივრცის დათვალიერება. სივრცე არის იზოლირებული სტუდენტებისგან და მასში განთავსებულია 2 კონტეინერი - სახიფათო და არასახიფათო ნარჩენებისთვის. კონტეინერებზე გაოკრულია შესაბამისი მითითება ნარჩენის ტიპის მიხედვით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს, კოლეჯმა წარმოადგინა ქობულეთის მერიასთან დადებული ხელშეკრულება N03-08/56. ხელშეკრულების საგანს კი წარმოადგენს კოლეჯის სახსრებით სასწავლო პროცესში წარმოქმნილი სამშენებლო ნარჩენების ნაგავსაყრელზე გატანა. შესაბამისად, კოლეჯი შესაბამის კონტეინერში დახარისხებულ, შეგროვებულ და აღრიცხულ ნარჩენებს განკარგავს ქალაქ ქობულეთის მერიასთან თანამშრომლობით, რომელიც კოლეჯს უწევს ნარჩენების გატანის მომსახურებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2.4.1.6. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია“ დამტკიცებულია დირექტორის 2023 წლის 06 ივნისის N01-04/112 (ბოლო ცვლილება: 27/05/2025 N0104/106 ბრძანება)ბრძანებით
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი დამტკიცებულია დირექტორის 24/03/2026 წლის N01-04/74 ბრძანებით
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (სამშენებლო-სამღებრო სამუშაოები) სასწავლო ლაბორატორიის უსაფრთხოების წესები. დამტკიცებულია დირექტორის 14/05/2026 წლის N01-04/133 ბრძანებაით
- ნარჩენების გატანის მომსახურება - ქ.ქობულეთის მერიასთან ხელშეკრულება - 27.03.2025. N03-08/56.
- დამტკიცებული პროგრამა, მოდულები, სასწავლო გეგმა დამტკიცებულია 11/05/2026 N 01-04/128 ბრძანება, ბოლო ცვლილება 2026 წლის 23 ივლისის N 01-04/210
- სასწავლო პროცესში შექმნილი პროდუქტებისა და წარმოქმნილი ნარჩენების მართვის მექანიზმი დირექტორის 2026 წლის 28 ივლისის N01-04/214 ბრძანება
- ინტერვიუს შედეგები პასუხისმგებელ პირებთან

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;**

კოლეჯში შეფასების სისტემა რეგულირდება 24/03/2026 წლის N01-04/74 ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით. ამავე წესის მუხლი 21 განსაზღვრავს შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების, შეფასების/განმეორებითი შეფასების პროცედურებს. დოკუმენტში მკაფიოდ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

არის განსაზღვრული შეფასების ინსტრუმენტის და მტკიცებულებების მიმართ არსებული მოთხოვნები და შეფასების პროცესის ორგანიზების საკითხები. შეფასების პროცესში გამოიყენება ვალიდური შეფასების ინსტრუმენტი. ვალიდაციის პროცესში ჩართულია სასწავლო პროცესის კოორდინატორი და პროგრამის ხელმძღვანელი. განსაზღვრულია თუ რა ინფრმაციას უნდა მოიცავდეს შეფასების ინსტრუმენტი, ამასთანავე დოკუმენტი განსაზღვრავს სტუდენტთა ინფორმირებასთან დაკავშირებული საკითხებს. სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა ისარგებლონ განმეორებითი შეფასებით და შეფასების შედეგების გასაჩივრებით. განმეორებითი შეფასების შემთხვევაში განსაზღვრულია შესაბამისი ვადები, თუ რა ვადაში ეძლევა სტუდენტს განმეორებით გამოცდაზე გასვლის შესაძლებლობა. ამასთანავე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი ითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთათვის დამატებითი კონსულტაციების შესაძლებლობას, დოკუმენტი მოიცავს პორტფოლიოს წარმოების, მტკიცებულებების მოპოვების, შენახვისა და განადგურების წესს.

კოლეჯში მოქმედი შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვალიდურობის, სანდოობის, გამჭირვალობის, სამართლიანობის და ობიექტურობის პრინციპებს:

ვალიდურობა: დაწესებულებაში მოქმედებს შეფასების სისტემის ვალიდაციის მექანნიზმი. შეფასების ინსტრუმენტი, შეფასების პროცესამდე მინიმუმ ორი კვირით ადრე წარედგინება სასწავლო პროცესის კოორდინატორს, რის შემდეგაც თავად სასწავლო პროცესის კოორდინატორი ახორციელებს შეფასების ინსტრუმენტის ტექნიკური მხარის შემოწმებას, ხოლო ინსტრუმენტის შინაარსობრივ მხარეს ამოწმებს პროგრამის ხელმძღვანელი. ხარვეზის არსებობის შემთხვევაში, შეფასების ინსტრუმენტი შესაბამისი რეკომენდაციებით უბრუნდება პროფესიულ მასწავლებელს და შესწორებული სახით, ხელახლა წარდგენის შემდეგ, ენიჭება სტატუსი: „ვალიდურია“ პროცესში დაწესებულების მიერ გამოყენებულია სპეციალურად შემქნილი ბეჭედი, რომელიც გამოიყენება ვიზუალური დადასტურებისთვის ვალიდირებული ინსტრუმენტებისთვის. შეფასების პროცესში გამოიყენება მხოლოდ ვალიდური შეფასებიბს ინსტრუმენტი.

სანდოობა: შეფასების პროცესში გამოიყენება მხოლოდ წინასწარ შეთანხმებული შეფასების ინსტრუმენტი, რომელიც ეფუძნება შესაბამისი მოდულით განსაზღვრულ სწავლის შედეგებსა და შეფასების მიმართულებებს. შეფასება მოიცავს პროცესზე დაკვირვებას, შედეგის/პროდუქტის შეფასებას და გამოკითხვას. შეფასების მტკიცებულებები არის იდენტიფიცირებადი და ინახება პროფესიული სტუდენტის პორტფოლიოში რეგულაციით დადგენილი ვადით, რაც უზრუნველყოფს შეფასების შედეგების მტკიცებულებბებით დადასტურებას.

გამჭირვალობა: კოლეჯში უზრუნველყოფილია პროფესიულ სტუდენტთა წინასწარი ინფორმირების მექანიზმი შეფასების ჩატარების თარიღის, ადგილის, დროისა და ფორმის შესახებ. სტუდენტებს აღნიშნული ინფორმაცია მიეწოდებათ შეფასების პროცესამდე 5 დღით ადრე, ზეპირი ან ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით. შეფასების შედეგების შესახებ სტუდენტებს ინფორმაცია მიეწოდებათ ინდივიდუალურად და საჭიროების შემთხვავაში შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ ინდივიდუალური კონსულტაციით.

სამართლიანობა: შეფასების პროცესში უზრუნველყოფილია პროფესიულ სტუდენტთათვის ტანაბარი პირობების შექმნა და დამატებითი შეფასების შესაძლებლობა. შეფასების უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფლება აქვს მოითხოვოს დამატებითი შეფასება დადგენილი ვადების შესაბამისად. ასევე საპატიო მიიზეზით, შეფასების პროცესზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში, სტუდენტს ეძლევა განმეორებით შეფასებაზე გასვლის შესაძლებლობა. სსსმ/შშმ პირებისთვის გათვალისწინებულია შესაბამისი მხარდაჭერის მექანიზმები.

ობიექტურობა: პროფესიულ სტუდენტთა შეფასება ხორციელდება წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით. შეფასების შემდგომ უზრუნველყოფილია სეფასების მტკიცებულებების შეგროვება და შენახვა, შეფასების პროცესი ეფუძნება პროფესიული სტუდენტის მიერ შესაბამისი მოდულის სწავლის შედეგების დადასტურებას. მოდულით განსაზღვრული კრედიტები სტუდენტს ენიჭება ყველა სწავლის შედეგეის დადასტურების შემდეგ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შესაბამისად, კოლეჯში მოქმედი შეფასების სისტემა უზრუნველყოფს შეფსების პროცესის თანმიმდევრულ, მტკიცებულებებზე დაფუძნებულ და სტუდენტებზე ორიენტირებულ შეფასების პროცესების განხორციელებას.

ექსპერტთა ჯგუფს ვიზიტის პროცესში შესაძლებლობა ჰქოდა ნიმუშის სახით ენახა პროგრამის წინა სტანდარტის დროს შექმნილი ვალიდირებული შეფასების ინსტრუმენტები და სტუდენტის შეფასების მტკიცებულებები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2.4.2.1. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;

კოლეჯში მოქმედებს დირექტორის 2026 წლის მაისის N01-04/147 ბრძანებით, ბოლო ცვლილება 2026 წლის 30 ივლისის №01-04/215 დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები“, რომელიც მოიცავს ვერიფიკაციის პროცესებს. მექანიზმის მიხედვით, კოლეჯში ვერიფიკაციის პროცესის განხორციელებაზე პასუხისმგებელია ხარისხის მართვის სამსახური. ვერიფიკაციის პროცესი ხორციელდება სამი მიმართულებით: შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, შეფასების პროცესის ვერიფიკაცია და მტკიცებულებების ვერიფიკაცია. ვერიფიკაციის მიზანია დადგინდეს ამ პროცესებში ვალიდურობის, სანდოობის, გამჭირვალობის, სამართლიანობისა და ობიექტურობის პრინციპების დაცვა.

მექანიზმი მოიცავს ვერიფიკაციის პროცესებზე პასუხისმგებელ პირებსა და მათ ფუნქციებს. ვერიფიკაციის პროცესში ჩართულები არიან: ხარისხის მართვის მენეჯერი, ხარისხის მართვის კოორდინატორი, და დარგის სპეციალისტები (იმ მოდულების მიხედვით, რომელიც განსაზღვრული აქვთ კონკრეტული წლის ვერიფიკაციის გეგმით). დოკუმენტი განსაზღვრავს, რომ შეფასების ინსტრუმენტის შემუშავებაში მონაწილე დაეგის სპეციალისტი არ იღებდეს მონაწილეობას იმავე ინსტრუმენტის შემოწმებაში. იმ შემთხვევაში, კი, თუ კოლეჯს არ ჰყავს შესაბამისი ან მონათესავე დარგის სპეციალისტი, შეიძლება მოწვეულ იქნეს სხვა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამისი დარგის სპეციალისტი ან დარგის წარმომადგენელი. აღნიშნული გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს, რომ შეფასების ინსტრუმენტის შემდგენელი დარგის სპეციალიტი არ იყოს ვერიფიკაციის პროცესში.

ვერიფიკაციის გეგმას ადგენს ხარისხის მართვის სამსახური, მოდულების შერჩევას კი ახორციელებს რისკების სისტემიდან. ვერიფიკაციის შედეგები აისახება შესაბამის დასკვნებში და საჭიროების შემთხვევაში (ხარვეზის არსებობის და სახეობის მიხედვით) გათვალისწინებულია სამოქმედო გეგმის შედგენა. ხარისხის მართვის სამსახური დასკვნების საფუძველზე დირექტორს წარუდგენს რეკომენდაციებს.

ექსპერტთა ჯგუფს ვერიფიკაციაზე პასუხისმგებელ პირებთან ინტერვიუს დროს მიეცათ შესაძლებლობა ნიმუშის სახის ენახათ პროგრამის წინა სტანდარტით სწავლების დროს, განხორციელებული ვერიფიკაციის სრული პროცესი.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2.4.2.2. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კოლეჯის დირექტორის 24/03/2026 წლის N01-04/74 ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი ითვალისწინებს შეფასების მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვის პროცედურებს. დოკუმენტის მიხედვით, მოდულის დასრულების შემდეგ, მოდულის განმახორციელებელი შეგროვებულ მტკიცებულებებს შენახვისა და ელექტონული აღრიცხვის მიზნით გადასცემს სასწავლო პროცესის სპეციალისტს/კოორდინატორს, აუცილებელია, რომ შეგროვებული მტკიცებულებები იძლეოდეს შეფასებული პირის იდენტიფიცირების საშუალებას. მტკიცებულებები ინახება სტუდენტის პორტფოლიოში. პორტფოლიოები დაცულია შეფასების უწყისის გაფორმებიდან სამი წლის ვადით, ხოლო უწყისები სწავლის შედეგების მიღწევის შესახებ - ინახება მუდმივად. შენახული მტკიცებულებები, სამი წლის ვადის გასვლის შემდეგ, ნადგურდება ერთთვიან ვადაში, ან გადაეცემა პროფესიულ სტუდენტს მისი მოთხოვნის შემთხვევაში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2.4.2.3. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კოლეჯში პროფესიული სტუდენტის შეფასება ემსახურება არა მხოლოდ სწავლის შედეგების დადასტურებას, არამედ პროფესიული სტუდენტის შემდგომ განვითარებას. განმავითარებელი შეფასების პროცესში პროფესიული განათლების მასწავლებელი პროფესიულ სტუდენტს სისტემატურად აწვდის უკუკავშირს, აძლევს რეკომენდაციებს და უზრუნველყოფს მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების მიზნით. კოლეჯის დირექტორის 24/03/2026 წლის N01-04/74 ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მუხლი 10 ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტის შეფასების შედეგების გაცნობას ინდივიდუალურად, კონფიდენციალურობის პრინციპის დაცვით. შეფასების შედეგების გაცნობის შემდეგ პროფესიული განათლების მასწავლებელი განმავითარებელი შეფასების ფარგლებში სტუდენტს აწვდის უკუკავშირს, აძლევს რეკომენდაციებს სწავლის შედეგების გაუმჯობესების მიზნით და, საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფს დამატებით კონსულტაციას. სტუდენტს ასევე უფლება აქვს საკუთარი ინიციატივით მოითხოვოს დამატებითი კონსულტაცია, რომლის ფორმასა და ვადებს განსაზღვრავს სასწავლო პროცესის კოორდინატორი/სპეციალისტი. შეფასების შედეგების საფუძველზე, საჭიროების შემთხვევაში, სტუდენტისთვის შესაძლებელია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებაც, რაც ხელს უწყობს მისი საგანმანათლებლო საჭიროებების გათვალისწინებასა და სწავლის შედეგების მიღწევას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2.4.2.4. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები“ დამტკიცებულია დირექტორის 2026 წლის მაისის N01-04/147 ბრძანებით, ბოლო ცვლილება 2026 წლის 30 ივლისის №01-04/215
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი დირექტორის 24/03/2026 წლის N01-04/74 ბრძანება
- ინტერვიუს შედეგები პასუხისმგებელ პირებთან.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი II. სტანდარტთან შესაბამისობა და რეკომენდაციები

IV. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი <u>სანტექნიკური სამუშაოების შესრულება</u>

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ექსპერტთა ჯგუფის მიერ არ გამოვლენილა ხარვეზი

III. სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

2.2.1.1 - რეკომენდებულია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული მატერიალური რესურსის შეძენა განხორციელდეს ამავე დოკუმენტით განსაზღვრულ ვადაში, 2026 წლის 30 ნოემბერს.

IV. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

ექსპერტთა ჯგუფის მიერ არ გაცემულა რეკომენდაცია

V. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

დაწესებულება იზიარებს დასკვნის პროექტში მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებს .

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი III. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

IV. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	სანტექნიკური სამუშაოების შესრულება/Plumbing Works
პროფესიული განათლების დონე	მესამე დონე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია სანტექნიკური სამუშაოების შესრულებაში/Basic Vocational Qualification in Plumbing Works
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0732
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	11/05/2026 N 01-04/128
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, ქობულეთი, რუსთაველის №154
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	30
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	67
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	82

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

ნაწილი IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;

სსიპ კოლეჯ „ახალი ტალღაში“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი რეგულირდება დირექტორის მიერ დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგიით“ (დამტკიცებულია დირექტორის 2023 წლის 06 ივნისის №01-04/112 ბრძანებით, ცვლილებები: 2025 წლის 12 თებერვლისა და 27 მაისის ბრძანებებით). მეთოდოლოგიის მე-2 მუხლის თანახმად, პროგრამის დამატების ინიცირება ხდება წერილობითი ფორმით, რის საფუძველზეც საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებისა და მართვის მენეჯერი ამზადებს „პროგრამების განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთებას“, რომელიც, მეთოდოლოგიის თანახმად, უნდა ეყრდნობოდეს არსებულ ან პროგნოზირებულ მოთხოვნას შესაბამის უნარებზე/სამუშაო პოზიციებზე, რაც დასტურდება როგორც პირველადი წყაროებით (კოლეჯის მიერ ჩატარებული მოკვლევა, შეხვედრები დამსაქმებლებთან), ისე მეორადი წყაროებით (სხვა ორგანიზაციების კვლევები, საქსტატის მონაცემები). საბოლოო გადაწყვეტილებას პროგრამის დამატებისა და განხორციელების შესახებ იღებს კოლეჯის დირექტორი დასაბუთების, კოლეჯის მისიისა და სტრატეგიული განვითარების გეგმის საფუძველზე. დირექტორის 2026 წლის 17 მარტის №01-04/65 ბრძანებით შეიქმნა შესაბამისი სამუშაო ჯგუფი; ჯგუფის №1-3 ოქმების მიხედვით (18.03.2026-30.04.2026) განხილულ და დამტკიცებულ იქნა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის „სანტექნიკური სამუშაოების შესრულების" მიზანშეწონილობა, კოლეჯის მისიასთან და სტრატეგიულ გეგმასთან შესაბამისობა, საჭირო მატერიალური და ადამიანური რესურსები. კოლეჯის მიერ წარმოდგენილი დასაბუთება არა მხოლოდ ფორმალურად აკმაყოფილებს მეთოდოლოგიით დადგენილ მოთხოვნებს, არამედ შინაარსობრივადაც არის რელევანტური, სწორი და მიზნობრივი კონკრეტულად ამ პროგრამისთვის.

კოლეჯის მიერ წარმოდგენილი მიზანშეწონილობის არგუმენტირების ცხრილი (დანართი 4) მოცავს 13 პუნქტს და თითოეული მათგანი დამოუკიდებლად, კონკრეტული წყაროებით არის გამყარებული, რაც მეთოდოლოგიის მოთხოვნებთან სრულ თანხვედრაშია:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- **რეგიონული (აჭარის) შრომის ბაზრის მოთხოვნა (პუნქტი 2):** არგუმენტაცია ეფუძნება აჭარის 2023-2026 წლების სტრატეგიულ განვითარების გეგმას, სადაც მუნიციპალური და საინჟინრო ინფრასტრუქტურის განვითარება (მათ შორის წყალმომარაგება-წყალარინება) რეგიონული პრიორიტეტია. მოყვანილია კონკრეტული მონაცემები: LMIS-ის, „უნარებზე საწარმოთა მოთხოვნის კვლევის“ (2022, 2023, 2025) და დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს პლატფორმის (Worknet.gov.ge) მონაცემები, რომლებზეც დაყრდნობით დასტურდება ხელოსანთა და მონათესავე პროფესიების, მათ შორის სანტექნიკოსების, მოთხოვნადობა როგორც მიმდინარე, ისე საშუალოვადიან პერსპექტივაში.
- **ეროვნული შრომის ბაზრის მოთხოვნა (პუნქტი 3):** გამოყენებულია საქსტატის ბიზნეს სექტორის სტატისტიკის მონაცემები, სამშენებლო სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა 2022 წელს 69,956-დან 2024 წელს 81,373-მდე გაიზარდა (ზრდა 10.3%), რაც პირდაპირ უკავშირდება ტექნიკური კადრების, მათ შორის სანტექნიკოსების, მოთხოვნის ზრდას. ასევე მოხმობილია ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საწარმოთა უნარებზე მოთხოვნის კვლევის შედეგები.
- **საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნა (პუნქტი 4):** დასაბუთებაში გამოყენებულია ILO, CEDEFOP და EU Skills Panorama-ს მონაცემები, ასევე პროფესიათა საერთაშორისო კლასიფიკატორის (ISCO-08) მითითება (კოდი 7126 - Plumbers and Pipe Fitters), რაც ადასტურებს, რომ პროგრამის ფარგლებში მისაღწევი კომპეტენციები საერთაშორისო დონეზეც მოთხოვნადია.
- **დამსაქმებელთა უკუკავშირი (პუნქტი 5):** ცხრილში დეტალურადაა ჩამოთვლილი დამსაქმებელთა მიერ დასახელებული კონკრეტული ტექნიკური და საკვანძო კომპეტენციები (წყალმომარაგება-წყალარინების სისტემების მონტაჟი, ტექნიკური ნახაზების წაკითხვის უნარი, უსაფრთხოების წესების დაცვა და ა.შ.), რაც აჩვენებს, რომ პროგრამის სწავლის შედეგები დამსაქმებელთა რეალურ მოთხოვნებზეა მორგებული.
- **დასაქმების პლატფორმების ანალიზი (პუნქტი 6):** შესწავლილია საქართველოში მოქმედი ძირითადი პლატფორმები (HR.GE, JOBS.GE, WORK.GE, CV.GE, STAFF.GE, LinkedIn, Worknet.gov.ge) და დადგენილია, რომ სისტემატურად ქვეყნდება ვაკანსიები სანტექნიკოსის და მონათესავე პროფესიების მიმართულებით.
- **ადგილობრივი შრომის ბაზრის კვლევა და დამსაქმებელთა კონსულტაციები (პუნქტი 7):** კოლეჯს დამოუკიდებლად ჩატარებული აქვს ადგილობრივი კვლევა და კონსულტაციები დაინტერესებულ მხარეებთან, რის შედეგადაც დადასტურდა, რომ რეგიონში მოთხოვნა კვალიფიციურ სანტექნიკოსებზე აღემატება მათ ხელმისაწვდომობას.
- **კონკურენტული გარემოს ანალიზი (პუნქტები 10-11):** დასაბუთებულია, რომ პროგრამა აჭარის რეგიონში არც ერთი სხვა კოლეჯის მიერ არ ხორციელდება, რაც პროგრამას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს რეგიონული კადრების დეფიციტის დაფარვის თვალსაზრისით. ასევე მითითებულია კონკრეტული პარტნიორობა - შპს „სიდოსთან“ გაფორმებული მემორანდუმი, რომლის ფარგლებშიც მოეწყო სანტექნიკური ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ლაბორატორია.
- **დაწესებულების მზაობა (პუნქტები 12-13):** დასტურდება საკადრო რესურსის (12 პროფესიული განათლების მასწავლებელი შესაბამისი კვალიფიკაციით), ორგანიზაციული სტრუქტურისა (62 ადმინისტრაციული პერსონალი) და ხარისხის შიდა მართვის მექანიზმის (დირექტორის 2026 წლის 28 მაისის №01-04/147 ბრძანებით დამტკიცებული) არსებობა, რაც უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად და ხარისხიან განხორციელებას.

აღნიშნული დასაბუთება, ასევე, განხილულ და გაზიარებულ იქნა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის მიერ, რომელმაც 2026 წლის 13 მარტი №307904 წერილით დაწესებულებას მისცა თანხმობა, საავტორიზაციო განაცხადი წარედგინა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „სანტექნიკური სამუშაოების შესრულება".

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასაბუთებაში წარმოდგენილი არგუმენტაცია პირდაპირ უკავშირდება მისიის თითოეულ კომპონენტს ფორმალური მითითების ნაცვლად: (ა) კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება ადგილობრივი და საერთაშორისო ბაზრისთვის დასტურდება ზემოთ აღწერილი ოთხდონიანი (რეგიონული, ეროვნული, საერთაშორისო და დამსაქმებელთა უკუკავშირის) ანალიზით; (ბ) სოციალური ინკლუზია - პროგრამის ხელმისაწვდომობა სხვადასხვა სოციალური ჯგუფისთვის, მათ შორის მოწყვლადებისთვის; (გ) მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლისა და პიროვნული განვითარების ხელშეწყობა - კურსდამთავრებულთა დასაქმების პერსპექტივები როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სექტორსა და თვითდასაქმებაში. დასაბუთების დოკუმენტი პირდაპირ მიუთითებს კავშირს სტრატეგიული გეგმის I მიმართულებასთან - „შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის უწყვეტი განვითარება“, კონკრეტულად ამოცანასთან „შრომის ბაზრის კვლევებზე დაყრდნობით განახლებული/დამატებული პროგრამები“. ამასთან, პროგრამა თანხვედრაშია: სტრატეგიულ მიზან N4-თან (პარტნიორული ურთიერთობები, კურსდამთავრებულთა დასაქმება და რეგიონული როლის გაძლიერება), რასაც ადასტურებს შპს „სიდოსთან“ თანამშრომლობა და დამსაქმებლებთან კონსულტაციების პრაქტიკა; და სტრატეგიულ მიზან N6-თან (რეგიონული განვითარება და ხელმისაწვდომი განათლების გაფართოება), რომელთანაც შეესაბამება დასაბუთებაში ასახული აჭარის რეგიონის ინფრასტრუქტურული ზრდისა და ტექნიკური კადრების დეფიციტის ანალიზი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2.1.1.1. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „სანტექნიკური სამუშაოების შესრულება" დაშვების წინაპირობაა საბაზო ზოგადი განათლება. ეს მოთხოვნა შეესაბამება პროგრამის NQF-ის მე-3 დონეს და მისი სწავლის შედეგების ხასიათს.

პროგრამის სწავლის შედეგები (გარემოსა და შრომის უსაფრთხოების დაცვა, ნახაზის/ესკიზის მიხედვით სამუშაოს შესრულება, სანტექნიკურ-საზეინკლო სამუშაოები, წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების მონტაჟი) წარმოადგენს პრაქტიკული ხასიათის, შესრულებაზე ორიენტირებულ კომპეტენციებს, რომელთა ათვისებაც არ საჭიროებს ღრმა თეორიულ ან აბსტრაქტულ წინარე ცოდნას ისინი ისწავლება პროგრამის მოდულების ფარგლებში ეტაპობრივად, პრაქტიკული სწავლების მაღალი წილით.

საბაზო ზოგადი განათლება უზრუნველყოფს: საბაზისო წიგნიერებასა და მათემატიკურ კომპეტენციას, რაც საკმარისია ნახაზის წაკითხვის, ზომვისა და გამოთვლების შესასრულებლად; ინსტრუქციების გაგებისა და მიმდევრობითი, პრაქტიკული სამუშაოს შესრულების უნარს, რაც შეესაბამება NQF-ის მე-3 დონის მოთხოვნებსშესაბამისად, დაშვების წინაპირობა ლოგიკურად და დასაბუთებულად უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას პროგრამის ხანგრძლივობის ფარგლებში.
დაწესებულებას დამტკიცებული აქვს პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის წესი და პირობები (ბრძ.№01-04/107, 26.06.2024 , რომლის მიზანია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე აპლიკანტთა შერჩევისა და ჩარიცხვის პროცესის რეგულირება ობიექტურობის, გამჭვირვალობისა და ინკლუზიურობის პრინციპებზე დაყრდნობით. კოლეჯი ვალდებულია დაინტერესებულ პირს მიაწოდოს ინფორმაცია კონკრეტულ პროგრამაზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაშვების წინაპირობებისა და შერჩევის თავისებურებების შესახებ, ასევე დაეხმაროს რეგისტრაციის პროცედურებში. პროგრამაზე ჩარიცხვის პროცესი მოიცავს ეტაპობრივ სისტემას ანკეტა-კითხვარის შევსება, აპლიკანტთა რეგისტრაცია, შერჩევა, რეიტინგული სიის შედგენა და შედეგების გამოცხადება რაც უზრუნველყოფს პროცედურის გამჭვირვალობასა და თანმიმდევრულობას. აღნიშნული წესით დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიულ პროგრამის მოთხოვნის შესაბამისი აპლიკანტის შერჩევას, წინაპირობების გათვალისწინებით რათა ჩარიცხულმა პირმა შეძლოს პროგრამის განხორციელების ვადაში სწავლის შედეგების მიღწევა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2.1.1.2. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „სანტექნიკური სამუშაოების შესრულება" პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განსაზღვრულია სსიპ კოლეჯის „ახალი ტალღა" 2022 წლის 14 იანვრის №01-04/06 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის" შესაბამისად. პროგრამის დანართში (№13) მითითებულია: განხორციელების მიდგომა-იმიტირებული, სწავლა ორ ცვლაში, შეჭრილი გრაფიკით;

- A გარემო: 15 პროფესიული სტუდენტისთვის გათვლილი რესურსი;
- B გარემო: 15 პროფესიული სტუდენტისთვის გათვლილი რესურსი;
- C გარემო: 15 პროფესიული სტუდენტისთვის გათვლილი რესურსი;
- ადამიანური რესურსის რაოდენობა: 16;
- მოთხოვნილი კვოტა: 30 პროფესიული სტუდენტი.

მეთოდოლოგია ითვალისწინებს, რომ კოლეჯი მუშაობს რამდენიმე ცვლაში და შეჭრილი გრაფიკით, რაც ზრდის სასწავლო გარემოს გამტარიანობას. შესაბამისად, ორცვლიანი სწავლების პირობებში, A/B/C გარემოების საბაზისო რესურსი და ადამიანური რესურსი იძლევა საფუძველს, პროგრამის ზღვრული რაოდენობა განისაზღვროს 30 პროფესიულ სტუდენტად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2.1.1.3. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი მატერიალურ-ტექნიკური და საინფორმაციო რესურსები სრულ თანხვედრაშია საგანმანათლებლო სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან და არსებით მნიშვნელობას იძენს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების რეალიზებისთვის. კოლეჯში პროგრამის ეფექტიანად განხორციელების უზრუნველსაყოფად შექმნილია სათანადოდ აღჭურვილი სასწავლო სივრცეები, კერძოდ A, B და C ტიპის გარემოები, რომლებიც პროგრამის საჭიროებებზეა მორგებული.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ასახულია ის ტექნიკური საშუალებები და მატერიალური ბაზა, რომელიც მოდულების პრაქტიკული და თეორიული სწავლების პროცესში გამოიყენება. მნიშვნელოვანია, რომ წარმოდგენილი ჩამონათვალი თითოეული ინდივიდუალური მოდულის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მიხედვით სრულად ეხმაურება საგანმანათლებლო სტანდარტში მითითებულ როგორც აუცილებელ, ისე დამატებით (სარეკომენდაციო) აღჭურვილობასა და რესურსებს.

ამავდროულად, პროგრამით განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსები თავისი შინაარსით შესაბამისობაშია მოდულების მიზნებთან და თემატიკასთან, ხოლო მათი რაოდენობრივი მოცულობა იძლევა საკმარის საფუძველს იმისთვის, რომ პროფესიულმა სტუდენტებმა სრულყოფილად მიაღწიონ დასახულ სწავლის შედეგებს.

დამატებით, აღსანიშნავია, რომ ყველა საგანმანათლებლო რესურსი ფიზიკურად განთავსებულია კოლეჯის ბიბლიოთეკაში, სადაც მისი დამუშავება ხდება მოქმედი საბიბლიოთეკო სტანდარტებისა და წესების სრული დაცვით, ხოლო სტუდენტებს შეუზღუდავი წვდომა აქვთ აღნიშნულ რესურსებთან სასწავლო პროცესის ნებისმიერ ეტაპზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2.1.1.4. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;

პროგრამა არ ითვალისწინებს არჩევით მოდულებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2.1.1.5. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;

„პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია“ დამტკიცდა კოლეჯის დირექტორის 2023 წლის 6 ივნისის N01-04/112 ბრძანებით, რომელშიც ცვლილება 2025 წლის 27 მაისის N01-04/106 ბრძანებით შევიდა. ამ მეთოდოლოგიის მე-5 მუხლი ადგენს, რომ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას დასამტკიცებლად კოლეჯის დირექტორთან წარადგენენ მხოლოდ ხარისხის მენეჯერის დადებითი დასკვნის არსებობის შემთხვევაში, რის საფუძველზეც დირექტორი გამოსცემს ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტს პროგრამის დასამტკიცებლად.

ამ წესის შესაბამისად, „სანტექნიკური სამუშაოების შესრულების“ საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცდა დაწესებულების უფლებამოსილი პირის - კოლეჯის დირექტორის - 2026 წლის 11 მაისის N01-04/128 ბრძანებით

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2.1.1.6. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამის სახელწოდება - „სანტექნიკური სამუშაოების შესრულება“ (Plumbing Works) - დირექტორის მიერ დამტკიცებული პროგრამის (2026 წლის 11 მაისის N01-04/128) მიხედვით ცალსახად და სრულყოფილად ასახავს პროგრამის შინაარსს, რომელიც წყალმომარაგებისა და კანალიზაციის სისტემების მონტაჟის, ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის კომპეტენციების განვითარებას ემსახურება. სახელწოდება იდენტურია საფუძვლად არსებული სტანდარტის დასახელებისა (სარეგისტრაციო ნომერი 07.23.1) და შეესაბამება მისანიჭებელ საბაზო პროფესიულ კვალიფიკაციასა და დასახულ სწავლის შედეგებს, შეცდომაში შემყვანი ფორმულირებების გარეშე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2.1.1.7. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

პროგრამის დაგეგმვისა და შემუშავებისას კოლეჯმა იხელმძღვანელა პროფესიული პროგრამების განვითარების მარეგულირებელი შიდა მეთოდოლოგიით, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 2023 წლის 06 ივნისის №01-04/112 ბრძანებით და რომლის მოქმედ რედაქციაში ცვლილება შეტანილია 2025 წლის 27 მაისის №01-04/106 ბრძანებით. პროგრამა დაფუძნებულია და სრულ შესაბამისობაშია პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტზე „სანტექნიკური სამუშაოების შესრულება“.

პროგრამის დოკუმენტაცია აღწერს პროგრამის მიზნობრივ დანიშნულებას, მისანიჭებელ კვალიფიკაციას, დაშვების პირობებს, სწავლის შედეგებს, შეფასების მექანიზმს, პროგრამის მოცულობასა და ხანგრძლივობას, სწავლებისა და პრაქტიკული სწავლების ორგანიზების წესს. პროგრამის პაკეტში დამატებით წარმოდგენილია სასწავლო გეგმა, მოდულები, მათ შორის „ქართული ენა A2“ არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის, აგრეთვე ინფორმაცია ადამიანური და მატერიალური რესურსების შესახებ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2.1.1.8. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კოლეჯის მისია, ხედვა, ღირებულებები;
- კოლეჯის 2026-2032 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- პროგრამის დამატების განაცხადის დანართი 4 - მიზანშეწონილობის დასაბუთება;
- დირექტორის 2026 წლის 27 თებერვლის №01-04/48 ბრძანება სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ, ცვლილება - №01-04/72, 23.03.2026;
- სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმები №1-3 ((18.03.2026-30.04.2026)
- „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია" - დამტკიცებული დირექტორის ბრძანებით №01-04/112, 06.06.2023, ბოლო ცვლილება - №01-04/106, 27.05.2025;
- პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის წესი და პირობები - დამტკიცებული ბრძანებით №01-04/107, 26.06.2024;
- პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია - დამტკიცებული ბრძანებით №01-04/06, 14.01.2022;
- დანართი 13: პროგრამის ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის დოკუმენტაცია (A და C გარემოებისა და ადამიანური რესურსის გაანგარიშება);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- საგანმანათლებლო პროგრამის „სანტექნიკური სამუშაოების შესრულება“ (მატერიალური და საგანმანათლებლო რესურსის ნუსხა, არჩევითი მოდული, მოდულები, სასწავლო გეგმა) - დამტკიცებული დირექტორის ბრძანებით №01-04/128, 11.05.2026;
- დანართი 7 - საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს პროფესიული განათლების დეპარტამენტის თანხმობის წერილი - 13.03.2026 , N307904
- ინტერვიუს შედეგები ადმინისტრაციასთან და პროგრამის შემუშავების ჯგუფთან.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. **პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;**

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „სანტექნიკური სამუშაოების შესრულება“ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული სამივე ტიპის სასწავლო გარემოთი - A, B და C.

A ტიპის სასწავლო გარემო - II – 302 აუდიტორია, წარმოადგენს შენობის შიგნით მოწყობილ თეორიული და ჯგუფური მუშაობის სივრცეს, რომელიც არ საჭიროებს განსაკუთრებულ ტექნიკურ უზრუნველყოფას და აღჭურვილია სტუდენტისა და პედაგოგის სამუშაო ადგილებით, დაფითა და ინტერნეტში ჩართული კომპიუტერით, საჭიროებისამებრ დემონსტრირების ციფრული საშუალებით.

B ტიპის გარემო - I – 103 კომპიუტერული ლაბორატორია, სადაც თითოეულ პროფესიულ სტუდენტს გააჩნია ინდივიდუალური სამუშაო ადგილი, პროგრამის მოთხოვნის შესაბამისი კომპიუტერული ტექნიკით, ხოლო გარემო აღჭურვილია აგრეთვე ქსელური პრინტერითა და დემონსტრირების საშუალებით.

C ტიპის გარემო წარმოადგენს - II - 102 ლაბორატორია, სპეციალურად აღჭურვილ სივრცეს, რომელიც სრულად შეესაბამება შრომის უსაფრთხოების სტანდარტებს და უზრუნველყოფს როგორც ინდივიდუალური, ისე ჯგუფური პრაქტიკული სწავლების შესაძლებლობას.

თითოეული გარემო გათვლილია 15 პროფესიულ სტუდენტზე, ხოლო C გარემო ორცვლიანი სწავლების პირობებში უზრუნველყოფს ჯამში 30 პროფესიული სტუდენტის მომსახურებას. სწავლება ხორციელდება ორ ცვლაში, შეჭრილი გრაფიკით.

მატერიალური რესურსის თვალსაზრისით - პროგრამა მოიცავს 10 მოდულს (შრომის უსაფრთხოება და საწარმოო სანიტარია; სამშენებლო ნახაზების კითხვა; საზეინკლო სამუშაოები; ეზოს წყალარინების ქსელები და სანიაღვრე სისტემები; შიდაწყალარინება; ეზოს წყალმომარაგების ქსელები; შენობის შიდაწყალსადენი სისტემების მონტაჟი; გათბობისა და ცხელი წყლის მომარაგების სისტემები; ინფორმაციული წიგნიერება; უცხოური ენა/მეწარმეობა/რაოდენობრივი წიგნიერება).

A გარემო ყველა მოდულში სრულად აღჭურვილია სტანდარტული საკლასო ინვენტარით.

C გარემო აღჭურვილია სანტექნიკური საქმიანობისთვის აუცილებელი ფართო სპექტრის სპეციალიზებული ინსტრუმენტებითა და აპარატურით - საზეინკლო ხელსაწყოები, მილსაღუნები, შემდუღებელი აპარატები, მილგაყვანილობის სატესტო ხელსაწყოები, წყლის გაჟონვის აღმომჩენი აპარატები, ცენტრალური გათბობის ქვაბი, საცირკულაციო ტუმბო, რადიატორები, საშხაპე კაბინა, უნიტაზი, პისუარი, ხელსაბანი, ლითონის ბწკალა კიბე, თვითსწორებადი ლაზერი, კუთხვილსაჭრელი მანქანა, ქანჩის გასაღების ნაკრები და სხვა რეალური სანტექნიკური მოწყობილობები. აღსანიშნავია, რომ შპს „სიდომ“ დაწესებულებას საჩუქრად გადასცა სანტექნიკური ინვენტარისა და მოწყობილობების ნაკრები. დაწესებულებამ წარმოადგინა მიღება-ჩაბარების აქტი (12/09/2024). კომპანიამ კოლეჯს უსასყიდლოდ გადასცა 58 დასახელების ინვენტარი და მოწყობილობა, მათ შორის-ჩასაშენებელი ავზი, ხელსაბანის შემრევი, საშხაპე გარნიტური, შხაპის შემრევი, დასაკიდი უნიტაზი, სიფონი, უნიტაზი, მრავალფუნქციური ჩასაშენებელი შემრევი თერმოსტატით, აბაზანის შემრევი თერმოსტატით, ხელსაბანის ჩასაშენებელი კარკასი და სხვ.

B გარემო (ინფორმაციული წიგნიერების მოდული) აღჭურვილია სტუდენტისა და მასწავლებლის სამუშაო ადგილებით, კომპიუტერებით, კომბაინ-პრინტერითა და დემონსტრირების საშუალებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კოლეჯს ამ პროგრამისთვისაც წარმოდგენილი აქვს დამტკიცებული შესაბამისობის გეგმა (ბრძანება №01-04/193, 27.05.2026), რომლის ფარგლებშიც, ვაუჩერული დაფინანსებით (მოდულის ვაუჩერული დაფინანსებიდან წინა წლების განმავლობაში დაგროვილი ეკონომია), 2026 წლის 1 ივნისიდან 30 ნოემბრამდე პერიოდში განხორციელდა/ხორციელდება C გარემოსთვის ინსტრუმენტისა და აღჭურვილობის შესყიდვა.
დაწესებულებას შესაძენი აქვს შემდეგი ინვენტარი: - საწერტელი, საკაწრელა, ქლიბები (საქლეში, საპირე, ხავერდა, ბრტყელი, ნახევრად მრგვალი, მრგვალი, კვადრატული და სამწახნაგა), რკინის მასშტაბიანი სახაზავი, შტანგენფარგალი, საზეინკლო ჩაქუჩი, მილდამჭერი, ტარკუთხვილა, ჭრიალა ტარკუთხვილა, ხელის ორტარა, სარჩილავი მოწყობილობა, მილგაყვანილობის ქსელის სატესტო ხელსაწყო-აპარატი, წყლის გაჟონვის აღმომჩენი აპარატი, საზომი ლენტი, ლაზერული მანზილმზომი, სახრახნისების ნაკრები, ქანჩის გასაღებების ნაკრები, სატეხის პირების ნაკრები, მილის ქანჩგასაღები, სჭვალსახრახნი (შურუპების მოსაჭერი), კიბე, ბეტონის საბურღი აპარატი, რეზინის ჩაქუჩი, უნივერსალური ბრტყელტუჩა, ლითონის ბურღი სათადარიგო პირებით და სხვ. ჯამში 91 დასახელება. ექსპერტთა მიერ მოცემული ინდიკატორი შეფასდა მეტწილად და გაიწერა განმავითარებელი რეკომენდაცია.
დამატებითად აღსანიშნავია, C სასწავლო გარემოში განსახორციელებელი მოდულები, ისე არის დალაგებული სასწავლო გეგმის მიხედვით, რომ შესაბამისობის გეგმით შესაძენი რესურსების გამო სასწავლო პროცესი არ შეფერხდება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2.2.1.1. ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია

2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სანტექნიკური სამუშაოების შესრულება" განხორციელებისთვის განსაზღვრულია მასწავლებელთა ისეთი რაოდენობა და ორგანიზება, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. დანართი N2-ის მიხედვით, პროგრამის ყველა მოდულზე (როგორც ზოგად, ისე დარგობრივ) იდენტიფიცირებულია მინიმუმ ორი განმახორციელებელი, ხოლო პროგრამაში სულ ჩართულია 16 პროფესიული განათლების მასწავლებელი/განმახორციელებელი, რაც ემთხვევა დანართი N13-ში მითითებულ ადამიანური რესურსის რაოდენობასაც. მათგან 2 არის დარგობრივი მოდულების განმახორციელებელი ორივე ჩართულია პროგრამის ყველა 8 დარგობრივ მოდულზე (შრომის უსაფრთხოება და საწარმოო სანიტარია სამშენებლო მოედანზე, სამშენებლო ნახაზების კითხვა და სამშენებლო-სანტექნიკური ესკიზების შედგენა, საზეინკლო სამუშაოები სანტექნიკოსის საქმიანობაში, ეზოს წყალარინების ქსელებისა და სანიაღვრე სისტემების მოწყობა, შიდაწყალარინება, ეზოს წყალმომარაგების ქსელების მოწყობა, შენობის შიდაწყალსადენი სისტემების მონტაჟი, გათბობისა და ცხელი წყლის მომარაგების სისტემების მონტაჟი), ხოლო 14 - ზოგადი მოდულების განმახორციელებელი (ინფორმაციული წიგნიერება, რაოდენობრივი წიგნიერება, უცხოური ენა, მეწარმეობა, პიროვნული უნარები და ინტერპერსონალური კომუნიკაციები, ქართული ენა A2); ორივე კატეგორიაზე ერთდროულად მომუშავე პირი პროგრამაში არ ფიქსირდება.

ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის დოკუმენტით (დანართი N13) დადასტურებულია, რომ სასწავლო გეგმა ისეა ორგანიზებული, რომ შესაძლებელი იყოს ორი 15-კაციანი ჯგუფის (ჯამში 30 სტუდენტი) შეუფერხებელი სწავლება ორცვლიან, შეჭრილი გრაფიკის რეჟიმში, ხოლო ერთ პროგრამაზე პროფესიული მასწავლებლის საკონტაქტო დატვირთვა არ აღემატება კვირაში 32 საათს. შესაბამისად, მასწავლებელთა რაოდენობა, თითოეულ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოდულზე მინიმუმ ორი განმახორციელებლის არსებობა და პროგრამის ორგანიზაციული დაგეგმვა ქმნის პროგრამის განხორციელების მდგრადობის საკმარის საფუძველს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2.2.1.2. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

სსიპ კოლეჯ „ახალი ტალღის" დირექტორის 2025 წლის 17 თებერვლის №01-04/28 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო აღწერილობის" თანახმად, მასწავლებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნებია მინიმუმ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხი დარგში ან/და პროფესიული განათლება დარგში და შესაბამისი სამუშაოს მინიმუმ 3-წლიანი გამოცდილება, კომპიუტერული პროგრამების ცოდნა, თანამდებობის შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის ცოდნა, ასევე შესაბამისი კომუნიკაციური და ანალიტიკური უნარები.

პროგრამის განმახორციელებელ პერსონალში წარმოდგენილია ორი კატეგორიის მასწავლებელი. პროგრამის ზოგადი მოდულების 14 მასწავლებელი (მეწარმეობა, რაოდენობრივი და ინფორმაციული წიგნიერება, უცხოური და ქართული ენები, პიროვნული უნარები) წლების განმავლობაში ასწავლის კოლეჯში სხვადასხვა პროგრამაზე; პირადი საქმეების შესწავლისა და მათთან ინტერვიუს შედეგად დადასტურდა, რომ მათ გააჩნიათ პროფესიული განათლების მასწავლებლად მუშაობის პრაქტიკული გამოცდილება და, შესაბამისად, სტუდენტთათვის სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასების დადასტურებული კომპეტენცია. დარგობრივი (სპეციალიზებული) მოდულების მასწავლებლები (ნუგზარ ბედინაძე და რუსლან შავაძე) ფლობენ შესაბამის დარგობრივ კვალიფიკაციასა და გამოცდილებას, თუმცა ორივე ახალი დასაქმებულია და სწავლების და შეფასების პრაქტიკული გამოცდილება ჯერ ფორმირების პროცესშია. კოლეჯის ადმინისტრაციამ ვიზიტის დროს წარმოადგინა მასწავლებელთა განვითარების გეგმა შესაბამისი ტრენინგების ციკლით (სწავლა-სწავლების მეთოდოლოგია, კალენდარული გეგმის შედგენა, შეფასების ინსტრუმენტის შემუშავება-ვალიდაცია, 2026 წლის სექტემბერი-ოქტომბერი).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2.2.1.3. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;

სსიპ კოლეჯ „ახალი ტალღის" დირექტორის 2025 წლის 17 თებერვლის №01-04/28 ბრძანებით დამტკიცებული „პროგრამის ხელმძღვანელის სამუშაო აღწერილობის" თანახმად, პროგრამის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნებია მინიმუმ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხი ან პროფესიული განათლება შესაბამის დარგში ან/და დარგში მუშაობის გამოცდილება, კომპიუტერული პროგრამების და საკანონმდებლო ბაზის ცოდნა, ასევე კარგი წერილობითი და სიტყვიერი კომუნიკაციის უნარები.

პროგრამის ხელმძღვანელია ნუგზარ ბედინაძე, რომელსაც გააჩნია კალატოზი-რკინა-ბეტონის კონსტრუქციის მემონტაჟის (მეოთხე თანრიგი), ზეინკალ-სანტექნიკოსისა და მებათქაშის კვალიფიკაცია/გამოცდილება, რაც მისი დარგობრივი კომპეტენციის საფუძველს წარმოადგენს. მასწავლებელთა/ხელმძღვანელთა განვითარების გეგმა ითვალისწინებს მისთვისაც შესაბამის ტრენინგებს, მათ შორის სწავლა-სწავლების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მეთოდოლოგიისა და პროგრამის განვითარების მიმართულებით, რაც უზრუნველყოფს მისი დარგობრივი და ხელმძღვანელობითი კომპეტენციის გაძლიერებას.

ინტერვიუს დროს პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრებისას მის მიერ აღინიშნა, რომ გარკვეული ტრენინგები და სამუშაო შეხვედრები უკვე განხორციელებულია და იგი აქტიურად იყო ჩართული სასწავლო გეგმის შემუშავების პროცესში, რისთვისაც სამუშაო შეხვედრებზე გაეცნო პროგრამის ძირითად დოკუმენტს, კრედიტებსა და მოდულების სახეობებს, ასევე მოდულებს შორის შესაძლო კავშირებს, რომელთა გათვალისწინებაც აუცილებელია დაგეგმვის ეტაპზე.

ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, 2.2.1.4. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

კოლეჯის ბიბლიოთეკის დებულების თანახმად, ბიბლიოთეკაში განთავსებულია საგანმანათლებლო ერთეულების სახელმძღვანელო, დამხმარე და მეთოდური ლიტერატურა, ბეჭდვითი გამოცემები და ელექტრონული რესურსები. ბიბლიოთეკა უზრუნველყოფს მკითხველთა სრულ დაკმაყოფილებას მათთვის საჭირო ლიტერატურითა და საბიბლიოთეკო დოკუმენტებით, მათ შორის ბეჭდური, ხელნაწერი, ელექტრონული და ინფორმაციის შემცველი სხვა მასალებით. საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებში განსაზღვრული სასწავლო რესურსების არსებობა და სტუდენტთათვის მათი ხელმისაწვდომობა დადასტურდა ექსპერტთა ადგილზე ვიზიტის ფარგლებში. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი რესურსები სრულ თანხვედრაშია პროგრამის მოდულებით დადგენილ მოთხოვნებთან. პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუებისა და საბიბლიოთეკო ფონდის ვიზუალური დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ მოდულებით გათვალისწინებული სასწავლო მასალები სრული მოცულობითაა განთავსებული და ხელმისაწვდომი კოლეჯის ბიბლიოთეკაში.

დაწესებულებას ბეჭდური სახით აქვს შემდეგი სასწავლო რესურსი - შრომის უსაფრთხოება სამშენებლო სექტორში, წყალმომარაგება და წყალარინება, ილუსტრირებული სახელმძღვანელო სანტექნიკოსების შეგირდებისთვის და სხვ.

ხოლო, ელექტრული სახით აქვს შემდეგი სასწავლო რესურსი - ნახაზის კითხვის უნარ-ჩვევები, შრომის უსაფრთხოება სამშენებლო სექტორში, სამშენებლო პროცესების ტექნოლოგია და სხვ.

ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, 2.2.1.5. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კოლეჯ „ახალი ტალღა" სსსმ პირთა სასწავლო რესურსებზე წვდომას აწესრიგებს სპეციალური დოკუმენტით დირექტორის 2026 წლის 24 მარტს გამოცემული ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით, კერძოდ მისი ინკლუზიური განათლებისადმი დათმობილი ნაწილით.

ეს დოკუმენტი ავალდებულებს კოლეჯს, უზრუნველყოს სასწავლო პროცესის ინდივიდუალური მორგება სსსმ და შშმ სტუდენტებზე, რაც მოიცავს როგორც სპეციალურ საგანმანათლებლო დახმარებას, ისე ადაპტირებულ სასწავლო მასალებზე ხელმისაწვდომობას. საჭიროებისამებრ, კოლეჯი დამატებით რესურსებს მოიზიდავს, რათა ამ სტუდენტების ჩართვა სასწავლო პროცესში სრულფასოვნად მოხერხდეს. ეს ნიშნავს, რომ რესურსების მორგება ერთჯერადი ღონისძიება კი არა, მუდმივი, საჭიროებაზე დამოკიდებული პროცესია. ცალკე აღსანიშნავია, რომ საჭიროების შემთხვევაში კონკრეტული სსსმ სტუდენტისთვის მუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. სწორედ ეს მექანიზმი უზრუნველყოფს, რომ სასწავლო რესურსები არა მხოლოდ ზოგადი პროგრამის ფარგლებში, არამედ პერსონალურ დონეზეც იყოს ხელმისაწვდომი ინდ. გეგმა ითვალისწინებს კონკრეტული სტუდენტის ინდივიდუალურ საჭიროებებს ზოგადი სასწავლო ჩარჩოს შენარჩუნებით. ამასთან, ხელმისაწვდომობის პრინციპი ვრცელდება ფიზიკურ სივრცეზეც: შშმ სტუდენტებს აქვთ თავისუფალი, შეუზღუდავი წვდომა სასწავლო აუდიტორიებზე, პერსონალის ოთახებზე, ბიბლიოთეკაზე (რომელიც სასწავლო რესურსების ერთ-ერთი ძირითადი წყაროა), სპეციალურად ადაპტირებულ სანიტარულ ჰიგიენურ სივრცეებსა და კოლეჯის სხვა ინფრასტრუქტურაზე, ეს ყველაფერი აუცილებელია საგანმანათლებლო, ადმინისტრაციული და დამატებითი მომსახურებების სრულფასოვნად მისაღებად.

დასასრულს, დოკუმენტი განსაზღვრავს, რომ პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტთა საერთო რაოდენობიდან 15%-მდე ადგილი დაცულია სსსმ პირებისთვის, რაც ინკლუზიის იდეას ინსტიტუციურ, სისტემურ დონეზე ამყარებს.

ვიზიტის ფარგლებში პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ მათ აქვთ გამოცილება ინდ. გეგმებით სწავლების წარმართვის და მყისიერად რეაგირებენ საჭიროებებზე და უზრუნველყოფენ პროგრამით/ინდ.გეგმით განსაზღვრულ რესურსებზე ხელმისაწვდომობას და მათ ადაპტირებას.

ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, 2.2.1.6. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

პროგრამის შემოსავალი ფორმირდება სახელმწიფო ვაუჩერული დაფინანსების წყაროდან, ხოლო რენტაბელობის ზღვარია 11 სტუდენტი. ხარჯვითი ნაწილი მოიცავს შრომის ანაზღაურებას (ბიუჯეტის უდიდესი წილი), ნედლეულ-მასალების, გაუთვალისწინებელ და აღჭურვილობის ამორტიზაციის ხარჯებს, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის შეუფერხებელ მიმდინარეობასა და მოულოდნელი ხარჯების დაფარვის შესაძლებლობას. საერთო შემოსავლისა და ხარჯების დაბალანსება ადასტურებს პროგრამის ფინანსურ მდგრადობას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2.2.1.7. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- საგანმანათლებლო პროგრამა „სანტექნიკური სამუშაოების შესრულება" (მატერიალური რესურსის ნუსხა, განმახორციელებლები, არჩევითი მოდული, მოდულები, სასწავლო გეგმა) - დამტკიცებული დირექტორის ბრძანებით №01-04/128, 11.05.2026;
- A და C გარემოების ფიზიკური დათვალიერების შედეგები და რესურსის საკუთრებაში ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- შესაბამისობის გეგმა (C გარემოსთვის საჭირო აღჭურვილობის შესყიდვის თაობაზე) - დამტკიცებული ბრძანებით №01-04/193, 27.05.2026;
- მიღება-ჩაბარების აქტი შპს სიდო ((12/09/2024).
- დანართი 13. პროგრამის ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის დოკუმენტაცია
- „პროფესიული განათლების მასწავლებლის და პროგრამის ხელმძღვანელის სამუშაო აღწერილობა" - დამტკიცებული ბრძანებით №01-04/28, 17.02.2025;
- პირადი საქმეები
- მასწავლებლის განვითარების გეგმა
- პროგრამის ხელმძღვანელის განვითარების გეგმა
- კოლეჯის ბიბლიოთეკის დებულება - დამტკიცებული 2023 წლის 06 ივნისის N01-04/115 ბრძანებით
- ბიბლიოთეკის კატალოგი და მასალები;
- პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი.
- „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი" - დამტკიცებული ბრძანებით №01-04/74, 24.03.2026;
- გასაუბრებების შედეგები პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან, პასუხისმგებელ პირებთან სსსმ პირთა მხარდაჭერის საკითხებზე;

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ **მეტწილად შეესაბამება**
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;

2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;**

კოლეჯს შემუშავებული აქვს მექანიზმი, რომლის მიხედვითაც ზედამხედველობს პროგრამის განხორციელებას და საჭიროების შემთხვევაში ითვალისწინებს პროგრამაში ცვლილებების შეტანას. ამისთვის, დაწესებულებაში მოქმედებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მექანიზმი. შემუშავებული შეფასების სისტემა განსაზღვრულია დირექტორის 2023 წლის 06 ივნისის N01-04/112 (ცვლილება: 27/05/2025 N 0104/106 ბრძანება) ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგიით.

მეთოდოლოგიის მუხლი 7 არეგულირებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და განვითარების პროცესებს, რაც მოიცავს: პროგრამების შინაარსობრივი ასპექტების შეფასებას; სწავლა-სწავლების პროცესის მიმდინარეობის ადეკვატურობის დადგენას; მოდულის განმახორციელებელი პირების საქმიანობის შეფასებას; მატერიალურ-ტექნიკური რესურსის, მასალა-ნედლეულის საკმარისობის, ავთენტურობის შეფასებას; ვერიფიკაციას. კოლეჯში მოქმედებს უკუკავშირის მექანიზმი და შედეგების შეფასების საფუძველზე, პროგრამის გაუმჯობესება/განვითარების მიზნით გათვალისწინებულია ცვლილებების განხორციელება. პროგრამის შეფასების შედეგების მიხედვით ხარისხის მართვის მენეჯერი კოლეჯის დირექტორს წარუდგენს შესაბამის რეკომენდაციებს, რომლის საფუძველზეც შესაძლოა კოლეჯმა პროგრამაში ცვლილებები განახორციელოს, როგორც საკუთარი შესაძლებლობის ფარგლებში, ასევე სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წინადადების ინიცირების გზით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების უზრუნველსაყოფად კოლეჯში მოქმედებს დემინგის ციკლის გათვალისწინებით შემუშავებული ხარისხის შიდა მექანიზმი. მექანიზმის მიხედვით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება-განვითარების პროცესი ციკლურია და მოიცავს: პროგრამების დაგეგმვას, ახალი პროგრამის დამატებას, პროგრამაში ცვლილებების შეტანას, ვერიფიკაციას, მონიტორინგის მექანიზმების განსაზღვრას.

პროგრამის შეფასების პროცესი ითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა, პროფესიულ მასწავლებელთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა მოსაზრებების დადგენას, რისთვისაც კოლეჯს შემუშავებული აქვს კვლევის კითხვარები:

- პროფესიული სტუდენტის კითხვარი ავტორიზაციის II სტანდარტის შეფასების მიზნით;
- პროფესიული განათლების მასწავლებლის კითხვარი ავტორიზაციის II სტანდარტის შეფასების მიზნით
- კითხვარი კურსდამთავრებულებისათვის
- პარტნიორი ორგანიზაციის კითხვარი ავტორიზაციის II სტანდარტის შეფასების მიზნით

პროგრამის შეფასების მიზნით განხორციელებული კვლევების სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს კოლეჯის შიდა (პროგრამის ხელმძღვანელები, პროფესიული მასწავლებლები, პროფესიული სტუდენტები, კურსდამთავრებულები) და გარე (დამსაქმებლები, პრაქტიკის ობიექტები) დაინტერესებული მხარეები, რაც უზრუნველყოფს დაინტერესებული პირების უკუკავშირის გათვალისწინებას პროგრამის შეფასების პროცესში. აღნიშნულ პროცესებში კოლეჯის გარე დაინტერესებული მხარეების ჩართვა უზრუნველყოფს პროგრამის შინაარსობრივი მხარისა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კურსდამთავრებულთა კომპეტენციების შეფასებას შრომის ბაზრის მოთხოვნებთან მიმართებით. დამსაქმებელთა კვლევის მიზანია საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებისა და სრულყოფის მიზნით პროფესიული სტუდენტებისა და კურსამთავრებულების დასაქმების ან სტაჟირების მიმართ დამსაქმებელთა დამოკიდებულებების შესწავლა. კვლევის მეთოდს წარმოადგენს რაოდენობრივი კვლევა და შემუშავებულია წინასწარ სტრუქტურირებული კვლევის კითხვარი, რომელიც მოიცავს ღია და დახურულ შეკითხვებს.
ექსპერტთა ჯგუფის მიერ ადგილზე ვიზიტის დროს, პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულებაში პროგრამის შეფასების მიზნით ხორციელდება სპეციალური შეფასების ფორმის წარმოება. პასუხისმგებელ პირთა განცხადებით, ფორმის მოთხოვნის შესაბამისი მონაცემების ასახვის გარდა, ისინი ამუშავებენ სხვადასხვა ტიპის მონაცემებს, რომლებიც გაანალიზებული აქვთ პროგრამის შეფასების ფორმის EQAVET ინდიკატორების ნაწილში და იყენებენ პროგრამის შეფასებისა და განვითარებისთვის.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2.3.1.1. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კოლეჯში პროგრამების განხორციელების ხარისხის მონიტორინგისა და განვითარების პროცესის ეფექტიანი დანერგვის უზრუნველყოფის მიზნით, კოლეჯის დოკუმენტაციის მიხედვით, ფუნქციონირებს ხარისხის მართვის მენეჯერისა და ხარისხის მართვის კოორდინატორის საშტატო ერთეულები. პროგრამის შეფასების შედეგად მიღებული მონაცემები გამოიყენება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების გაუმჯობესებისა და სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლების მიზნით.
დირექტორის 2023 წლის 06 ივნისის N01-04/112 (ცვლილება: 27/05/2025 N 0104/106 ბრძანება) ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგიის მუხლი 6 ითვალისწინებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების შეტანას. მეთოდოლოგიის შესაბამისად პროგრამაში ცვლილების შეტანა შესაძლებელია კოლეჯში მეთოდოლოგიით განსაზღვრული პროგრამის შეფასების შედეგების ანალიზის, სსსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის დოკუმენტში ცვლილების განხორციელების, შრომის ბაზრის მოთხოვნის ან სხვა გარემოების საფუძველზე. მეთოდოლოგიით განსაზღვრულია პირები, ვისაც შეუძლია პროგრამაში ცვლილების ინიცირება. ესენია: კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი, საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებისა და მართვის მენეჯერი, პროგრამის ხელმძღვანელი, მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებელი, კოლეჯის პარტნიორი ორგანიზაცია და სხვა დაინტერესებული პირები. პროგრამაში ცვლილებების განხორციელების შემთხვევაში, მოდიფიცირებული საგანმანათლებლო პროგრამას დასამტკიცებლად დირექტორს წარუდგენს საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებისა და მართვის მენეჯერი, ხოლო ცვლილება ხორციელდება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. მეთოდოლოგია ასევე ითვალისწინებს საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების შესახებ ინფორმაციის გავრცელებას. ცვლილების სესახებ ინფორმაცია კოლეჯის ადმინისტრაციასა და პროფესიული განათლების მასწავლებლებს ეცნობებათ ეფლოუს საშუალებით და დამტკიცებული პროგრამა განთავსდება კოლეჯის ვებ-გვერდზე.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2.3.1.2. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია“ დამტკიცებულია დირექტორის 2023 წლის 06 ივნისის N01-04/112 (ბოლო ცვლილება: 27/05/2025 N0104/106 ბრძანება) ბრძანება
- ინტერვიუს შედეგები პასუხისმგებელ პირებთან

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად

კოლეჯში პროფესიული პროგრამა სანტექნიკური სამუშაოების შესრულების ფარგლებში პროგრამის მიხედვით შედგენილია სასწავლო გეგმა. სასწავლო გეგმის მიხედვით სწავლების პროცესის განხორიელებას კი არეგულირებსდირექტორის 24/03/2026 წლის N01-04/74 ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარგეგულირებელი წესი. პროგრამის ფარგლებში სასწავლო გეგმა ისეა შემუშვებული, რომ დაცულია პროფესიულ სტუდენტთა კვირეული საათობრივი დატვირთვა, რომელიც არ აღემატება 40 საათს. გეგმის მიხედვით გაწერილია მოდულების თანმიმდევრობა. სასწავლო გეგმა მოიცავს 5 ზოგად და 8 პროფესიულ მოდულს, რომლისთვისაც ჯამურად დათმობილია 48 სასწავლო კვირა. სასწავლო გეგმაში ასახულია საკონტაქტო, დამოუკიდებელი და შეფასების საათების ოდენობა. სასწავლო გეგმებში დაცულია დროის შუალედი განმეორებითი შეფასებისათვის;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასწავლო გეგმა შედგენილია ქართული ენის მოდულების განხორციელებისთვისაც, იმ სტუდენტებისთვის, რომელთაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია. ასეთი სტუდენტები პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაწყებამდე გადიან ქართული ენის A2 მოდულს.სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით ითვალისწინებს, რომ სწავლის დაწყების წინ სასწავლო გეგმიდან გამომდინარე კოლეჯი ადგენს სალექციო განრიგს, რომელიც მოიცავს შემდეგ მონაცემებს: მოდულის დასახელება, მოდულის განმახორციელებლის სახელი და გვარი, ლექციის დაწყებისა და დასრულების დრო.

ექსპერტთა მიერ ადგილზე ვიზიტის ფარგლებში ინტერვიუს შედეგად დადგინდა, რომ მოდულის განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებლები სასწავლო გეგმის მიხედვით შეიმუშავებენ კალენდარულ გეგმებს, რომლის პრაქტიკაც არსებობს კოლეჯში და რომლის მიხედვითაც განახორციელებენ სწავლების პროცესს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2.4.1.1. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;

კოლეჯის დირექტორის 24/03/2026 წლის N01-04/74 ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი განსაზღვრავს პროფესიულ სტუდენტთა ინტერესებისა და საჭიროებების გამოვლენისა და მათზე შესაბამისი რეაგირების მექანიზმებს. კერძოდ, წესი ითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება შესაძლებელია სსსმ/შშმ პირებისთვის, მობილობის, პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის, მოდიფიცირებულ/ოპტიმიზირებულ პროგრამაზე გადაყვანის ან ფორსმაჟორული ვითარების შემთხვევაში.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცესში მონაწილეობენ სასწავლო პროცესის მენეჯერი, შესაბამისი მასწავლებელი და, საჭიროების შემთხვევაში, ინკლუზიური განათლების სპეციალისტი. ამასთან, პროცესში ჩართვის შესაძლებლობა აქვს თავად პროფესიულ სტუდენტს, ხოლო არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში - მის კანონიერ წარმომადგენელს. აღნიშნული მექანიზმი კოლეჯს აძლევს შესაძლებლობას, მოქნილად უპასუხოს სასწავლო პროცესში წარმოშობილ ინდივიდუალურ საჭიროებებს, მათ შორის, სწავლების მეთოდების, სასწავლო საათების განაწილების, სასწავლო გარემოსა და სასწავლო რესურსების ადაპტირების გზით. იმ შემთხვევაში, თუ პროფესიული სტუდენტი არის სსსმ ან შშმ პირი, პროცესში ერთვება ინკლუზიური განათლების სპეციალისტი, რომელიც ამავე წესის 45-ე მუხლის შესაბამისად წარმართავს შესაბამის პროცესებს, რათა უზრუნველყოფილი იყოს თითოეული სტუდენტის საჭიროებების გათვალისწინება. სხვა შემთხვევებში პროფესიულ სტუდენტთა საჭიროებების გამოვლენასა და მათზე შესაბამის რეაგირებას უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის სამსახური.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ პასუხისმგებელ პირებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა შესაბამისი ფუნქციური გამიჯვნა. კერძოდ, პროფესიული სტუდენტის მობილობის ან სტატუსის შეჩერების შემთხვევაში ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საჭიროების დადგენასა და შესაბამისი პროცესების განხორციელებას სასწავლო პროცესის სამსახური უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად. როგორც ინტერვიუს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დროს გამოიკვეთა, აღნიშნული რეგულაციის ფარგლებში პროცესში მონაწილეობენ სასწავლო პროცესის მენეჯერი და თავად პროფესიული სტუდენტი, ხოლო არასრულწლოვანი სტუდენტის შემთხვევაში - მისი კანონიერი წარმომადგენელი.

პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის შემთხვევაში სტუდენტი სწავლას აგრძელებს პროგრამის იმ ეტაპიდან, რომელზეც მას პროფესიული სტუდენტის სტატუსი შეუჩერდა. აღნიშნულ შემთხვევაში სასწავლო პროცესის მენეჯერი ამოწმებს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებულ, უკვე ათვისებულ სწავლის შედეგებს და, სასწავლო პროცესის მიმდინარეობისა და პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, შეიმუშავებს სასწავლო განრიგს. იმ შემთხვევაში, თუ პროფესიულ სტუდენტს ყველა სწავლის შედეგი დადასტურებული არ აქვს, მზადდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის პროექტი. გეგმის პროექტი დასამტკიცებლად წარედგინება კოლეჯის დირექტორს.

კოლეჯმა მაგალითად წარმოადგინა სსიპ კოლეჯ „კოლეჯ ახალი ტალღის“ დირექტორის 2024 წლის 26 სექტემბრის N01-04/161 ბრძანებით დამტკიცებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომლის საფუძველზეც სტუდენტმა შეძლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების დაძლევა და დადასტურება ინდივიდუალური სასწავლო გეგმით განსაზღვრულ ვადაში.

ამასთან, კოლეჯი საჭიროების შემთხვევაში გამოვლენილ გარემოებებზე მოქნილად რეაგირებს და პროფესიულ სტუდენტებს, მათი ინტერესების გათვალისწინებით, სთავაზობს სასწავლო პროცესში ელექტრონულად ჩართვის შესაძლებლობას. აღნიშნული ფორმა პროფესიულ სტუდენტებს საშუალებას აძლევს, ისარგებლონ პერსონალიზებული და მოქნილი, მათ შორის, დროისა და ადგილის თვალსაზრისით მორგებული სწავლების მეთოდებით. ამასთანავე, მათ აქვთ შესაძლებლობა, სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყონ ონლაინ ინფორმაციის წყაროების, ასევე ვიდეო და აუდიო არხების გამოყენებით. დაწესებულებაში, საჭიროების შემთხვევაში, დისტანციური ან ჰიბრიდული სწავლების განხორციელება შესაძლებელია კანონმდებლობით დადგენილი შესაძლებლობების ფარგლებში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2.4.1.2. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;

კოლეჯში სასწავლო პროცესის განხორწიელების პროცედურებს განსაზღვრავსს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი. სწავლების განხორციელება გათვალისწინებულია დამტკიცებული პროგრამისა და მოდულების მოთხოვნის შესაბამისად. პროგრამაში შემავალი მოდულები სწავლების ითვალისწინებს სწავლების სხვადასხვა მეთოდის გამოყენებას: ინტერაქციული ლექცია, სამუშაო ჯგუფში მეცადინეობა, პრაქტიკული მეცადინეობა, დისკუსია, როლური თამაში, ამასთანავე გათვალისწინებულია კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენება. საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს, როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ სწავლებას - ლაბორატორიულ და პროექტულ აქტივობებს, რომლებიც ხორციელდება პროგრამისთვის გათვალისწინებულ C გარემოში. დასახელებულ სასწავლო გარემოში უზრუნველყოფილია დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენება, რაც სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობას პრაქტიკულ საქმიანობაში აითვისონ გათბობის, ჰაერის კონდიცირებისა და სამაცივრო სისტემების მომსახურების განხორციელებისთვის საჭირო თანამედროვე ხელსაწყოები. სწავლის პროცესში გამოყენებული მეთოდები ხელს უწყობს სტუდენტების აქტიურ ჩართულობას, პრობლემებზე ორიენტირებულ სწავლებასა და პრაქტიკული უნარების განვითარებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ამასთანავე, დაწესებულება არეგულირებს და უზრუნველყოფს დისტანციურ სწავლებას. კერძოდ: საგანმანათლებლო პროგრამის - სანტექნიკური სამუშაოების შესრულების 2 ზოგადი მოდული ითვალისწინებს დისტანციური სწავლების შესაძლებლობას, ხოლო 2 ზოგადი მოდული - შერეული სწავლების შესაძლებლობას. კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მუხლი 16 არეგულირებს სასწავლო პროცესის დისტანციურად წარმართვას. კოლეჯი საჭიროების შემთხვევაში მოქნილად რეაგირებს გამოვლენილ გარემოებებზე და სტუდენტებს უქმნის მათ ინტერესებზე მორგებულ შესაძლებლობას სასწავლო პროცესში ჩაერთონ ელექტრინულად, რითიც პროფესიული სტუდენტები სარგებლობენ პერსონალიზებული და მოქნილი (დროისა და ადგილის მიხედვით) მეთოდებით, ამასთანავე აქვთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სწავლის შედეგების მიღწევა ონლაინ ინფორმაციის წყაროების, ასევე ვიდეო და აუდიო არხების გამოყენების გზით.
სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მუხლი 16-ის მიხედვით, დისტანციური სწავლება კოლეჯში შესაძლებელია განხორციელდეს სრულად ელექტრონული სინქრონული, სრულად ელექტრონული ასინქრონული ან ჰიბრიდული მოდელით. შესაბამისი სწავლების მოდელის შერჩევა ხდება სასწავლო პროცესის საჭიროებების, საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკის, სწავლის შედეგების, სტუდენტთა ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით.

დისტანციური სწავლების დროს გაკვეთილის ხანგრძლივობა შეადგენს 50 წუთს, ხოლო შესვენება - 10 წუთს. სასწავლო რესურსად გამოიყენება კოლეჯის ვებ-გვერდზე განთავსებული ელექტრონული სახელმძღვანელოები და დამხმარე მასალები. დასახელებულ სასწავლო რესურსს მასწავლებელი განათავსებს ვირტუალურ სასწავლო სივრცეში (Microsoft Teams-ის ლიცენზირებული პლატფორმა). კოლეჯი ახდენს სტუდენტთა დასწრების აღრიცხვას, გაცდენის სემთხვევაში, პროგრამის ხელმზღვანელი ადგენს გაცდენის მიზეზს და თუ ეს უკავშირდება ტექნიკური/წვდომის პრობლემას, კოლეჯი განსაზღვრავს ალტერნატიულ ღონისძიებას; დისტანციური სწავლება სსსმ სტუდენტებისთვის ორგანიზდება ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით დ ამ პროცესებში ჩართულია პროგრამის ხელმძღვანელი, მასწავლებელი და საჭიროებისამებრ ინკლუზიური განათლების სპეციალისტი.

ვიზიტის ფარგლებში ზოგადი მოდულების მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს დადასტურდა მათ მიერ სწავლების მრავალფეროვანი მეთოდების (მათ შორის ანალოგიებით სწავლება) გამოყენების გამოცდილება სხვადასხვა პროგრამაზე. აუდიტორიების დათვალიერებების შედეგად კი გამოვლინდა, რომ A-C კორპუსის აუდიტორიები აღჭურვილია პროექტორითა და კომპიუტერით, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებას.

ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, 2.4.1.3. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. **პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;**

კოლეჯში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებაას უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი. წესი მოიცავს ინკლუზიური განათლების შესაძლებლობას და ამ წესის მუხლი 45 განსაზღვრავს პროფესიულ სტუდენტებზე მორგებული სასწავლო პროცესის ორგანიზებას, რა დროსაც ითვალისწინებს მათ ინდივიდუალურ საჭიროებებს. რეგულაციის მიხედვით, საჭიროების შემთხვევაში, კოლეჯში, სსსმ/შშმ სტუდენტებისთვის, უზრუნველყოფილია შესაბამისი სპეციალური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საგანმანათლებლო მომსახურება, დამატებითი მატერიალური და ადამიანური რესურსის მობილიზება და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება. გარდა ამისა, კოლეჯი უზრუნველყოფს სტუდენტთა სოციალური ადაპტაციისა და სასწავლო პროცესში სრულყოფილად ჩართულობის ხელშეწყობას. რეგულაციით გათვალისწინებულ პროცესებთან დაკავშირებული მექანიზმები უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა საჭიროებების გამოვლენასა და შესაბამისი მხარდაჭერის ღონისძიებების განხორციელებას.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ადგილზე ვიზიტის დროს განცორციელდა ინტერვიუ ინკლუზიური განათლების სპეციალისტთან. ინტერვიუს დროს სპეციალისტმა დაასახელა სსსმ და შშმ სტუდენტების შემთხვევაში ინდ. გეგმით სწავლების უზრუნველყოფის არაერთი მაგალითი. ინდივიდუალური გეგმით სარგებლობის შედეგად, სსსმ სტუდენტთა ნაწილის შემთხვევაში, მათ შეძლეს შედეგების დადასტურება და მიენიჭათ კვალიფიკაცია, დანარჩენის შემთხვევაში კი გაიცა ცნობა. როგორც ინკლუზიური განათლების სპეციალისტმა აღნიშნა, წინა წლის მიხედვით კოლეჯს ყავს 8 სსსმ და 2 შშმ სტუდენტი. ინტერვიუს შედეგებმა გამოკვეთა, რომ დაწესებულებას ამ მიმართულებით დიდი გამოცდილება აქვს. სსსმ და შშმ სტუდენტებთან ინდივიდუალური გეგმების შემუშავებისას ინკლუზიური განათლების სპეციალისტი ეყრდნობა კოლეჯში ჩარიცხული სტუდენტის შესახებ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მულტიდისციპლინური გუნდის მიერ სტატუსის დადასტურების შეფასებას, ხოლო შემდეგ, იწყებს პროცედურებს: ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი სასწავლო პროცესის დაწყებისას ჯგუფში ესწრება სასწავლო პროცესს, ახორციელებს დაკვირვებას, რომლის შედეგების საფუძველზეც, პროფესიული სტუდენტის მიერ სასწავლო მოდულების დაძლევის შესაძლებლობის შესახებ კოლეჯის დირექტორს წარუდგენს დასკვნას.

ინკლუზიური განათლების სპეციალისტმა ინტერვიუს დროს ნიმუშად განიხილა 2024 წლის შემოდგომის მიღებაზე ჩარიცხული სსსმ პროფესიული სტუდენტის შემთხვევა, რომელსაც გააჩნდა ფიზიკურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული სირთულეები. ინკლუზიური განათლების სპეციალისტის დაკვირვების ანალიზის შედეგად გადაწყდა, რომ სტუდენტს ესაჭიროებოდა ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომლის მეშვეობით მოდულების ადაპტაციამ აკომოდაციის სახით სსსმ პროფესიულ სტუდენტს შესაძლებლობა მისცა მიეღწია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაღვრული სწავლის შედეგებისთვის. შედეგად სტუდენტმა დაადასტურა სწავლის შედეგები, გადაეცა დიპლომი და მიენიჭა კვალიფიკაცია. ამასთანავე, ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ საჭიროების შემთხვევაში კოლეჯი სსსმ და შშმ სტუდენტისთვის უზრუნველყოფს ინდივიდუალური ასისტენტის მხარდაჭერას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2.4.1.4. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - სანტექნიკური სამუშაოების შესრულება არ ითვალისწინებს პრაქტიკის ობიექტზე სწავლებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2.4.1.5. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კოლეჯში დირექტორის 14/05/2026 წლის N01-04/133 ბრძანებით დამტკიცებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - სანტექნიკური სამუშაოების შესრულებასანტექნიკური სამუშაოების შესრულება სასწავლო ლაბორატორიის უსაფრთხოების წესები. ამ წესის მიხედვით უსაფრთხოების ნორმების დაცვა სავალდებულია, როგორც სტუდენტებისთვის, ასევე პერსონალისთვის. უსაფრთხოების წესი მოიცავს დარგისთვის დამახასიათებელი რისკების გათვალისწინებით განსაზღვრულ ნორმებს. დოკუმენტით განსაზღვრულია: ლაბორატორიაში დაშვების წესები, ინდივიდუალური დაცვის საშუალებები, ინსტრუმენტებისა და მოწყობილობების უსაფრთხო გამოყენება, წყალმომარაგებისა და კანალიზაციის სისტემებთან მუშაობა, სამუშაო ადგილის უსაფრთხოება, ქიმიურ ნივთიერებებთან მუშაობა, საგანგებო სიტუაციები, აკრძალვები, გარემოს დაცვის მოთხოვნები და პასუხისმგებლობები.

შესაბამისად, კოლეჯში უზრუნველყოფილია შესაბამისი უსაფრთხოების ნორმების დაცვა, რომელთა შესახებ ინფორმაცია სტუდენტებს აქვთ წინასწარ, სასწავლო პროცესის დაწყებამდე.
ამასთანავე, ექსპერტთა ვიზიტის დროს მოხდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - სანტექნიკური სამუშაოების შესრულება - სასწავლო გარემოს დათვალიერება. პროგრამა ითვალისწინებს სწავლების განხორციელებას A, B და C გარემოებში. პროგრამისთვის განსაზღვრული აუდიტორიები და სასწავლო ლაბორატორია მდებარეობს კოლეჯ ახალი ტალღის I, II და III კორპუსებში. ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს, ადგილზე დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ სასწავლო ლაბორატორიაში თვალსაჩინო ადგილას არის გამოკრული შრომის უსაფრთხოების წესები.

ვიზიტის დროს ასევე შესწავლილ იქნა პსდ-ს მიერ შემუშავებული დირექტორის 2026 წლის 28 ივლისის N 001-04/214 ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესში შექმნილი პროდუქტებისა და წარმოქმნილი ნარჩენების მართვის მექანიზმი. დოკუმენტში გაწერილია წარმოქმნილი ნარჩენების შეგროვების, დახარისხების, დროებითი შენახვის, აღრიცხვის, გადაცემისა და მონიტორინგის პროცედურები. უტილიზაციის წესი განსაზღვრავს სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების მართვას. დოკუმენტის შესაბამისად ამ წესის დაცვა სავალდებულია კოლეჯის ადმინისტრაციული პერსონალისთვის, პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის, ინსტრუქტორებისთვის, მოწვეული სპეციალისტებისთვის და სტუდენტებისთვის. კოლეჯში წარმოქმნილი ნარჩენების მოძრაობა და მართვა ექვემდებარება აღრიცხვას, რომელიც აღირიცხება შესაბამის ჟურნალებში.

ადგილზე მოხდა ნარჩენებისთვის გამოყოფილი სივრცის დათვალიერება. სივრცე არის იზოლირებული სტუდენტებისგან და მასში განთავსებულია 2 კონტეინერი - სახიფათო და არასახიფათო ნარჩენებისთვის. კონტეინერებზე გაოკრულია შესაბამისი მითითება ნარჩენის ტიპის მიხედვით.

ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს, კოლეჯმა წარმოადგინა ქობულეთის მერიასთან დადებული ხელშეკრულება N03-08/56. ხელშეკრულების საგანს კი წარმოადგენს კოლეჯის სახსრებით სასწავლო პროცესში წარმოქმნილი სამშენებლო ნარჩენების ნაგავსაყრელზე გატანა. შესაბამისად, კოლეჯი შესაბამის კონტეინერში დახარისხებულ, შეგროვებულ და აღრიცხულ ნარჩენებს განკარგავს ქალაქ ქობულეთის მერიასთან თანამშრომლობით, რომელიც კოლეჯს უწევს ნარჩენების გატანის მომსახურებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2.4.1.6. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია“ დამტკიცებულია დირექტორის 2023 წლის 06 ივნისის N01-04/112 (ბოლო ცვლილება: 27/05/2025 N0104/106 ბრძანება)ბრძანებით
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი დამტკიცებულია დირექტორის 24/03/2026 წლის N01-04/74 ბრძანებით
- ნარჩენების გატანის მომსახურება - ქ.ქობულეთის მერიასთან ხელშეკრულება - 27.03.2025. N03-08/56.
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (სანტექნიკური სამუშოების შესრულება) სასწავლო ლაბორატორიის უსაფრთხოების წესები. დამტკიცებულია დირექტორის 14/05/2026 წლის N01-04/133 ბრძანებაით
- დამტკიცებული პროგრამა, მოდულები, სასწავლო გეგმა დამტკიცებულია 11/05/2026 N 01-04/128 ბრძანება, ბოლო ცვლილება 2026 წლის 23 ივლისის N 01-04/210
- სასწავლო პროცესში შექმნილი პროდუქტებისა და წარმოქმნილი ნარჩენების მართვის მექანიზმი დირექტორის 2026 წლის 28 ივლისის N01-04/214 ბრძანება
- ინტერვიუს შედეგები პასუხისმგებელ პირებთან

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;**

კოლეჯში შეფასების სისტემა რეგულირდება 24/03/2026 წლის N01-04/74 ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით. ამავე წესის მუხლი 21 განსაზღვრავს შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების, შეფასების/განმეორებითი შეფასების პროცედურებს. დოკუმენტში მკაფიოდ არის განსაზღვრული შეფასების ინსტრუმენტის და მტკიცებულებების მიმართ არსებული მოთხოვნები და შეფასების პროცესის ორგანიზების საკითხები. შეფასების პროცესში გამოიყენება ვალიდური შეფასების ინსტრუმენტი. ვალიდაციის პროცესში ჩართულია სასწავლო პროცესის კოორდინატორი და პროგრამის ხელმძღვანელი. განსაზღვრულია თუ რა ინფრმაციას უნდა მოიცავდეს შეფასების ინსტრუმენტი, ამასთანავე დოკუმენტი განსაზღვრავს სტუდენტთა ინფორმირებასთან დაკავშირებული საკითხებს. სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა ისარგებლონ განმეორებითი შეფასებით და შეფასების შედეგების გასაჩივრებით. განმეორებითი შეფასების შემთხვევაში განსაზღვრულია შესაბამისი ვადები, თუ რა ვადაში ეძლევა სტუდენტს განმეორებით გამოცდაზე გასვლის შესაძლებლობა. ამასთანავე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი ითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთათვის დამატებითი კონსულტაციების შესაძლებლობას, დოკუმენტი მოიცავს პორტფოლიოს წარმოების, მტკიცებულებების მოპოვების, შენახვისა და განადგურების წესს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კოლეჯში მოქმედი შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვალიდურობის, სანდოობის, გამჭირვალობის, სამართლიანობის და ობიექტურობის პრინციპებს:
ვალიდურობა: დაწესებულებაში მოქმედებს შეფასების სისტემის ვალიდაციის მექანნიზმი. შეფასების ინსტრუმენტი, შეფასების პროცესამდე მინიმუმ ორი კვირით ადრე წარედგინება სასწავლო პროცესის კოორდინატორს, რის შემდეგაც თავად სასწავლო პროცესის კოორდინატორი ახორციელებს შეფასების ინსტრუმენტის ტექნიკური მხარის შემოწმებას, ხოლო ინსტრუმენტის შინაარსობრივ მხარეს ამოწმებს პროგრამის ხელმძღვანელი. ხარვეზის არსებობის შემთხვევაში, შეფასების ინსტრუმენტი შესაბამისი რეკომენდაციებით უბრუნდება პროფესიულ მასწავლებელს და შესწორებული სახით, ხელახლა წარდგენის შემდეგ, ენიჭება სტატუსი: „ვალიდურია“. შეფასების პროცესში კი მხოლოდ ვლიდური შეფასებიბს ინსტრუმენტი გამოიყენება.
სანდოობა: შეფასების პროცესში გამოიყენება მხოლოდ წინასწარ შეთანხმებული შეფასების ინსტრუმენტი, რომელიც ეფუძნება შესაბამისი მოდულით განსაზღვრულ სწავლის შედეგებსა და შეფასების მიმართულებებს. შეფასება მოიცავს პროცესზე დაკვირვებას, შედეგის/პროდუქტის შეფასებას და გამოკითხვას. შეფასების მტკიცებულებები არის იდენტიფიცირებადი და ინახება პროფესიული სტუდენტის პორტფოლიოში რეგულაციით დადგენილი ვადით, რაც უზრუნველყოფს შეფასების შედეგების მტკიცებულებბებით დადასტურებას.
გამჭირვალობა: კოლეჯში უზრუნველყოფილია პროფესიულ სტუდენტთა წინასწარი ინფორმირების მექანიზმი შეფასების ჩატარების თარიღის, ადგილის, დროისა და ფორმის შესახებ. სტუდენტებს აღნიშნული ინფორმაცია მიეწოდებათ შეფასების პროცესამდე 5 დღით ადრე, ზეპირი ან ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით. შეფასების შედეგების შესახებ სტუდენტებს ინფორმაცია მიეწოდებათ ინდივიდუალურად და საჭიროების შემთხვავაში შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ ინდივიდუალური კონსულტაციით.
სამართლიანობა: შეფასების პროცესში უზრუნველყოფილია პროფესიულ სტუდენტთათვის ტანაბარი პირობების შექმნა და დამატებითი შეფასების შესაძლებლობა. შეფასების უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფლება აქვს მოითხოვოს დამატებითი შეფასება დადგენილი ვადების შესაბამისად. ასევე საპატიო მიიზეზით, შეფასების პროცესზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში, სტუდენტს ეძლევა განმეორებით შეფასებაზე გასვლის შესაძლებლობა. სსსმ/შშმ პირებისთვის გათვალისწინებულია შესაბამისი მხარდაჭერის მექანიზმები.
ობიექტურობა: პროფესიულ სტუდენტთა შეფასება ხორციელდება წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით. შეფასების შემდგომ უზრუნველყოფილია სეფასების მტკიცებულებების შეგროვება და შენახვა, შეფასების პროცესი ეფუძნება პროფესიული სტუდენტის მიერ შესაბამისი მოდულის სწავლის შედეგების დადასტურებას. მოდულით განსაზღვრული კრედიტები სტუდენტს ენიჭება ყველა სწავლის შედეგეის დადასტურების შემდეგ.
შესაბამისად, კოლეჯში მოქმედი შეფასების სისტემა უზრუნველყოფს შეფასების პროცესის თანმიმდევრულ, მტკიცებულებებზე დაფუძნებულ და სტუდენტებზე ორიენტირებულ შეფასების პროცესების განხორციელებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2.4.2.1 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;

კოლეჯში მოქმედებს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები, დამტკიცებული დირექტორის 2026 წლის მაისის N01-04/147 ბრძანებით, ბოლო ცვლილება: 2026 წლის 30 ივლისის №01-04/215 ბრძანებით. აღნიშნული დოკუმენტი, სხვა საკითხებთან ერთად, არეგულირებს ვერიფიკაციის პროცესების განხორციელებას. მექანიზმის შესაბამისად, კოლეჯში ვერიფიკაციის პროცესის ორგანიზებასა და განხორციელებაზე პასუხისმგებელია ხარისხის მართვის სამსახური.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კოლეჯში ვერიფიკაციის პროცესი ხორციელდება სამი ძირითადი მიმართულებით: შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, შეფასების პროცესის ვერიფიკაცია და მტკიცებულებების ვერიფიკაცია. აღნიშნული პროცესების მიზანია შეფასდეს და დადგინდეს, რამდენად არის დაცული ვალიდურობის, სანდოობის, გამჭვირვალობის, სამართლიანობისა და ობიექტურობის პრინციპები.

მექანიზმი ასევე განსაზღვრავს ვერიფიკაციის პროცესში ჩართულ პირებსა და მათ ფუნქციებს. პროცესში მონაწილეობენ ხარისხის მართვის მენეჯერი, ხარისხის მართვის კოორდინატორი და დარგის სპეციალისტები იმ მოდულების შესაბამისად, რომლებიც მათ კონკრეტული წლის ვერიფიკაციის გეგმით აქვთ განსაზღვრული.

დოკუმენტით განსაზღვრულია ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მექანიზმიც. კერძოდ, შეფასების ინსტრუმენტის შემუშავებაში მონაწილე დარგის სპეციალისტი არ შეიძლება მონაწილეობდეს იმავე შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაციის პროცესში. იმ შემთხვევაში, თუ კოლეჯს არ ჰყავს შესაბამისი ან მონათესავე დარგის სპეციალისტი, შესაძლებელია მოწვეულ იქნეს სხვა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამისი დარგის სპეციალისტი ან დარგის წარმომადგენელი. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს ვერიფიკაციის პროცესის მიუკერძოებლობას და გამორიცხავს იმავე დარგის სპეციალისტის მიერ მისივე შემუშავებული შეფასების ინსტრუმენტის შემოწმებას.

ვერიფიკაციის გეგმას შეიმუშავებს ხარისხის მართვის სამსახური, ხოლო ვერიფიკაციისთვის მოდულების შერჩევა ხორციელდება რისკების სისტემის საფუძველზე. ვერიფიკაციის პროცესის შედეგები აისახება შესაბამის დასკვნებში. საჭიროების შემთხვევაში, ხარვეზის არსებობისა და მისი სახეობის გათვალისწინებით, შესაძლებელია სამოქმედო გეგმის შემუშავებაც.

ხარისხის მართვის სამსახური ვერიფიკაციის შედეგად მომზადებული დასკვნების საფუძველზე დირექტორს წარუდგენს შესაბამის რეკომენდაციებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2.4.2.2 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;

კოლეჯის დირექტორის 24/03/2026 წლის N01-04/74 ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი ითვალისწინებს შეფასების მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვის პროცედურებს. დოკუმენტის მიხედვით, მოდულის დასრულების შემდეგ, მოდულის განმახორციელებელი შეგროვებულ მტკიცებულებებს შენახვისა და ელექტონული აღრიცხვის მიზნით გადასცემს სასწავლო პროცესის სპეციალისტს/კოორდინატორს, აუცილებელია, რომ შეგროვებული მტკიცებულებები იძლეოდეს შეფასებული პირის იდენტიფიცირების საშუალებას. მტკიცებულებები ინახება სტუდენტის პორტფოლიოში. პორტფოლიოები დაცულია შეფასების უწყისის გაფორმებიდან სამი წლის ვადით, ხოლო უწყისები სწავლის შედეგების მიღწევის შესახებ - ინახება მუდმივად. შენახული მტკიცებულებები, სამი წლის ვადის გასვლის შემდეგ, ნადგურდება ერთთვიან ვადაში, ან გადაეცემა პროფესიულ სტუდენტს მისი მოთხოვნის შემთხვევაში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2.4.2.3 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კოლეჯში პროფესიული სტუდენტის შეფასება ემსახურება არა მხოლოდ სწავლის შედეგების დადასტურებას, არამედ პროფესიული სტუდენტის შემდგომ განვითარებას. განმავითარებელი შეფასების პროცესში პროფესიული განათლების მასწავლებელი პროფესიულ სტუდენტს სისტემატურად აწვდის უკუკავშირს, აძლევს რეკომენდაციებს და უზრუნველყოფს მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების მიზნით. კოლეჯის დირექტორის 24/03/2026 წლის N01-04/74 ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მუხლი 10 ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტის შეფასების შედეგების გაცნობას ინდივიდუალურად, კონფიდენციალურობის პრინციპის დაცვით. შეფასების შედეგების გაცნობის შემდეგ პროფესიული განათლების მასწავლებელი განმავითარებელი შეფასების ფარგლებში სტუდენტს აწვდის უკუკავშირს, აძლევს რეკომენდაციებს სწავლის შედეგების გაუმჯობესების მიზნით და, საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფს დამატებით კონსულტაციას. სტუდენტს ასევე უფლება აქვს საკუთარი ინიციატივით მოითხოვოს დამატებითი კონსულტაცია, რომლის ფორმასა და ვადებს განსაზღვრავს სასწავლო პროცესის კოორდინატორი/სპეციალისტი. შეფასების შედეგების საფუძველზე, საჭიროების შემთხვევაში, სტუდენტისთვის შესაძლებელია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებაც, რაც ხელს უწყობს მისი საგანმანათლებლო საჭიროებების გათვალისწინებასა და სწავლის შედეგების მიღწევას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2.4.2.4 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები“ დამტკიცებულია დირექტორის 2026 წლის მაისის N01-04/147 ბრძანებით, ბოლო ცვლილება 2026 წლის 30 ივლისის №01-04/215
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი დირექტორის 24/03/2026 წლის N01-04/74 ბრძანება
- ინტერვიუს შედეგები პასუხისმგებელ პირებთან.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი II. სტანდარტთან შესაბამისობა და რეკომენდაციები

V. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი ხის მხატვრული დამუშავება

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ექსპერტთა ჯგუფის მიერ არ გამოვლენილა ხარვეზი

III. სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

2.2.1.1 - რეკომენდებულია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული მატერიალური რესურსის შეძენა განხორციელდეს ამავე დოკუმენტით განსაზღვრულ ვადაში, 2026 წლის 30 ნოემბერს.

IV. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

ექსპერტთა ჯგუფის მიერ არ გაცემულა რეკომენდაცია

V. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

დაწესებულება იზიარებს დასკვნის პროექტში მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებს .

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი III. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

V. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	ხის მხატვრული დამუშავება / Wood Artistic Processing
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე დონე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ხის მხატვრულ დამუშავებაში/Secondary Vocational Qualification in Wood Artistic Processing
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0214
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	11/05/2026 N 01-04/128
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, ქობულეთი, რუსთაველის №154
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	15
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	86
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	116

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

ნაწილი IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;

სსიპ კოლეჯ „ახალი ტალღას" მიერ საგანმანათლებლო პროგრამა „ხის მხატვრული დამუშავება"-ს დამატების ინიცირება და შემდგომი განხორციელების შესახებ გადაწყვეტილება მიღებულია კოლეჯში მოქმედი „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგიის" (დამტკიცებული დირექტორის 2023 წლის 06 ივნისის N01-04/112 ბრძანებით, ცვლილებებით) შესაბამისად დადგენილი პროცედურით. დირექტორის 2026 წლის 17 მარტის №01-04/65 ბრძანებით შეიქმნა შესაბამისი სამუშაო ჯგუფი; ჯგუფის №1-3 ოქმების მიხედვით (18.03.2026-30.04.2026) განხილულ და დამტკიცებულ იქნა პროგრამის მიზანშეწონილობა, კოლეჯის მისიასთან და სტრატეგიულ გეგმასთან შესაბამისობა, საჭირო მატერიალური და ადამიანური რესურსები. კოლეჯის მიერ წარმოდგენილი დასაბუთება არა მხოლოდ ფორმალურად აკმაყოფილებს მეთოდოლოგიით დადგენილ მოთხოვნებს, არამედ შინაარსობრივადაც არის რელევანტური, სწორი და მიზნობრივი კონკრეტულად ამ პროგრამისთვის. კოლეჯის მიერ წარმოდგენილი მიზანშეწონილობის არგუმენტირების ცხრილი (დანართი 4) მოიცავს 13 პუნქტს, თითოეული კონკრეტული წყაროთი გამყარებული:

- **რეგიონული (აჭარის) შრომის ბაზრის მოთხოვნა (პუნქტი 2):** არგუმენტაცია ეყრდნობა აჭარის 2023-2026 წლების სტრატეგიულ განვითარების გეგმას, სადაც ტურისტული, საცხოვრებელი და საინვესტიციო ინფრასტრუქტურის ზრდა რეგიონული პრიორიტეტია. განსაკუთრებით საინტერესოა აქ დასახელებული სამი კონკრეტული ნიშა: (ა) ტურისტული სექტორის ზრდასთან დაკავშირებული ინტერიერის დეკორატიული ელემენტების მოთხოვნა; (ბ) აჭარაში აქტუალური კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება და ისტორიული შენობების რესტავრაცია, სადაც სპეციალურად საჭიროა ტრადიციული დეკორის აღდგენის უნარები (აივნები, კიბის დეტალები, კარ-ფანჯრის ჩარჩოები); (გ) ტურიზმის ზრდით განპირობებული სუვენირებისა და მცირე დეკორატიული პროდუქციის წარმოების გააქტიურება. ეს არგუმენტაცია მოწოდებულია LMIS-ის, „უნარებზე საწარმოთა მოთხოვნის კვლევის" (2022, 2023, 2025) და Worknet.gov.ge-ს მონაცემებზე დაყრდნობით.
- **ეროვნული შრომის ბაზრის მოთხოვნა (პუნქტი 3):** გამოყენებულია საქსტატისა და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მონაცემები, რომლებიც აჩვენებს ავეჯის წარმოებისა და ხის დამუშავების ინდუსტრიის მნიშვნელოვან როლს მრეწველობის სექტორში, ასევე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

იმას, რომ დასაქმებულთა დიდი ნაწილი კონცენტრირებულია მცირე და საშუალო საწარმოებში, რაც მიუთითებს ხელოსნური პროფესიების მუდმივ მოთხოვნაზე ადგილობრივ ეკონომიკაში.

- **საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნა (პუნქტი 4):** მოხმობილია ILO, CEDEFOP და EU Skills Panorama-ს მონაცემები, ასევე პროფესიათა საერთაშორისო კლასიფიკატორის (ISCO-08) ორი კოდი - 7317 (ხეზე, მოწნულ ნაწარმსა და მსგავს მასალებზე ხელით მომუშავე ოსტატები) და 7522 (საოფისე ავეჯის დამამზადებლები და მონათესავე პროფესიები), რაც ადასტურებს კომპეტენციათა საერთაშორისო აღიარებადობასა და მოთხოვნადობას.
- **დამსაქმებელთა უკუკავშირი (პუნქტი 5):** ცხრილში დეტალურადაა ჩამოთვლილი დამსაქმებელთა მიერ დასახელებული სპეციფიკური ტექნიკური კომპეტენციები, მხატვრული კვეთა, მოზაიკური ტექნოლოგია, ხის წნული ნაკეთობების დამზადება, CNC და ლაზერული გრავირების დანადგარებით მუშაობა რაც აჩვენებს, რომ პროგრამის სწავლის შედეგები კონკრეტულ საბაზრო მოთხოვნებზეა მორგებული, არა ზოგად ჩამონათვალზე.
- **დასაქმების პლატფორმების ანალიზი (პუნქტი 6):** შესწავლილია საქართველოში მოქმედი პლატფორმები (HR.ge, Jobs.ge, Employ.ge, Work.ge, CV.ge, Staff.ge, LinkedIn, Worknet.gov.ge) და დადასტურებულია ვაკანსიების სისტემატური გამოქვეყნება ხის დამუშავებისა და დეკორატიული ნაკეთობების მიმართულებით.
- **ადგილობრივი შრომის ბაზრის კვლევა (პუნქტი 7):** კოლეჯს დამოუკიდებლად ჩატარებული აქვს ადგილობრივი კვლევა და კონსულტაციები, რომლის შედეგადაც დადგინდა, რომ რეგიონში მოთხოვნა ხის მხატვრული დამუშავების სპეციალისტებზე აღემატება მათ ხელმისაწვდომობას.
- **კურსდამთავრებულთა კვლევა (პუნქტი 8):** განსხვავებით სანტექნიკის პროგრამისგან (რომელსაც კურსდამთავრებულები ჯერ არ ჰყოლია), აქ დასაბუთება ეყრდნობა როგორც პროფესიული უნარების სააგენტოს ეროვნულ კვლევას, ისე კოლეჯის საკუთარ მონიტორინგს, ვინაიდან პროგრამა 2017 წლიდან მოქმედებს, კოლეჯს აქვს რეალური მონაცემები კურსდამთავრებულთა დასაქმებისუნარიანობის შესახებ.
- **კონკურენტული გარემოს ანალიზი (პუნქტები 10-11):** დასტურდება, რომ პროგრამა აჭარის რეგიონში არც ერთი სხვა კოლეჯის მიერ არ ხორციელდება, რაც კოლეჯს რეგიონში ამ მიმართულებით მონოპოლიურ პოზიციაში აყენებს.
- **დაწესებულების მზაობა და ისტორია (პუნქტი 12):** ეს პუნქტი განსაკუთრებით მყარია სწორედ იმის გამო, რომ პროგრამა უკვე 2017 წლიდან ხორციელდება დასაბუთებაში მოცემულია მიღების ოთხწლიანი სტატისტიკა (2022-2025), რომელიც აჩვენებს სტაბილურ და ზოგჯერ გადამეტებულ მოთხოვნას გამოცხადებულ ადგილებზე (მაგ. 2023 წელს 21 ადგილზე 28 აპლიკანტი).

აღნიშნული დასაბუთება, ასევე, განხილულ და გაზიარებულ იქნა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის მიერ, რომელმაც 2026 წლის 13 მარტი №307904 წერილით დაწესებულებას მისცა თანხმობა, საავტორიზაციო განაცხადი წარედგინა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „ხის მხატვრული დამუშავება".

დასაბუთებაში წარმოდგენილი არგუმენტაცია პირდაპირ უკავშირდება მისიის თითოეულ კომპონენტს: (ა) კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება: დასტურდება მრავალდონიანი (რეგიონული, ეროვნული, საერთაშორისო) ბაზრის ანალიზით და კურსდამთავრებულთა რეალური დასაქმების მონაცემებით; (ბ) სოციალური ინკლუზია, პროგრამის ხელმისაწვდომობა მოწყვლადი ჯგუფებისთვის; (გ) მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლისა და პიროვნული განვითარების ხელშეწყობა, დასაქმების არეალის მრავალფეროვნება (დაქირავებული შრომიდან თვითდასაქმებამდე).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასაბუთება პირდაპირ უკავშირდება სტრატეგიული გეგმის I მიმართულებას, ხარისხიანი პროფესიული განათლების უზრუნველყოფასა და ხელმისაწვდომობის გაზრდას, რასაც ადასტურებს დირექტორის 2026 წლის 28 მაისის №01-04/147 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების“ (PDCA) გამოყენება პროგრამის მუდმივი შეფასებისთვის. ასევე თანხვედრაშია სტრატეგიულ მიზან N4-თან (რეგიონულ სამშენებლო/ინფრასტრუქტურულ კომპანიებთან თანამშრომლობა) და სტრატეგიულ მიზან N6-თან (რეგიონული განვითარება და ხელმისაწვდომი განათლების გაფართოება).

მიზანშეწონილობის დასაბუთება ეყრდნობა მრავალწყაროიან (LMIS, საქსტატი, ILO, CEDEFOP, EU Skills Panorama, ISCO-08, Worknet.gov.ge, დამსაქმებელთა უკუკავშირი) და, სანტექნიკის პროგრამისგან განსხვავებით, ასევე რეალურ საოპერაციო გამოცდილებაზე დაყრდნობით მოცემულ არგუმენტაციას, რაც განსაკუთრებით მყარ საფუძველს იძლევა, რადგან პროგნოზული მოთხოვნის ნაცვლად აქ ნაწილობრივ უკვე დადასტურებული შედეგებია წარმოდგენილი.

ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, 2.1.1.1. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „ხის მხატვრული დამუშავება" დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება. ეს მოთხოვნა სრულად შეესაბამება პროგრამის სპეციფიკასა და მისი სწავლის შედეგების ხასიათს.

პროგრამა წარმოადგენს NQF-ის მე-4 დონის საწყის პროფესიულ საფეხურს, სადაც ყველა პროფესიული ცოდნა და უნარი - მასალათმცოდნეობა, ტექნიკური ხაზვა, აკადემიური ხატვა, ძერწვა, კომპიუტერული გრაფიკული პროგრამების გამოყენება, ხეზე მხატვრული კვეთა, CNC დანადგარებით დამუშავება და სხვა, ისწავლება ნულოვანი დონიდან, პროგრამის სასწავლო მოდულების ფარგლებში, თანმიმდევრულად მარტივიდან რთულისკენ. პროგრამა არ ეყრდნობა აბიტურიენტის რაიმე წინარე სპეციალიზებულ ცოდნას ან პრაქტიკულ გამოცდილებას ხის დამუშავების სფეროში.

შესაბამისად, სრული ზოგადი განათლება წარმოადგენს საკმარის და ადეკვატურ წინაპირობას, რადგან ის უზრუნველყოფს: ზოგადი წიგნიერებისა და მათემატიკური კომპეტენციის საბაზისო დონეს, რაც აუცილებელია ტექნიკური ნახაზების, გამოთვლების, ზომვისა და ინსტრუქციების გაგებისთვის; ინფორმაციის აღქმისა და ანალიზის უნარს, რომელიც საჭიროა როგორც თეორიული მოდულების (მაგ. მასალათმცოდნეობა, უსაფრთხოების წესები), ისე პრაქტიკული მოდულების ათვისებისთვის; ასაკობრივ და კოგნიტურ მზაობას პროგრამის ხანგრძლივობის (60 სასწავლო კვირა/15 თვე) განმავლობაში თანმიმდევრული სწავლის პროცესის გავლისთვის.

ამასთან, პროგრამა ითვალისწინებს დამატებით მექანიზმს იმ პირებისთვის, რომელთაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია, მათთვის სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით (A2/B1), რაც უზრუნველყოფს ენობრივ მზაობასაც პროგრამის შინაარსის ათვისებისთვის.

დაწესებულებას დამტკიცებული აქვს პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის წესი და პირობები (ბრძ.№01-04/107, 26.06.2024 , რომლის მიზანია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე აპლიკანტთა შერჩევისა და ჩარიცხვის პროცესის რეგულირება ობიექტურობის, გამჭვირვალობისა და ინკლუზიურობის პრინციპებზე დაყრდნობით. კოლეჯი ვალდებულია დაინტერესებულ პირს მიაწოდოს ინფორმაცია კონკრეტულ პროგრამაზე დაშვების წინაპირობებისა და შერჩევის თავისებურებების შესახებ, ასევე დაეხმაროს რეგისტრაციის პროცედურებში. პროგრამაზე ჩარიცხვის პროცესი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოიცავს ეტაპობრივ სისტემას ანკეტა-კითხვარის შევსება, აპლიკანტთა რეგისტრაცია, შერჩევა, რეიტინგული სიის შედგენა და შედეგების გამოცხადება რაც უზრუნველყოფს პროცედურის გამჭვირვალობასა და თანმიმდევრულობას. აღნიშნული წესით დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიულ პროგრამის მოთხოვნის შესაბამისი აპლიკანტის შერჩევას, წინაპირობების გათვალისწინებით რათა ჩარიცხულმა პირმა შეძლოს პროგრამის განხორციელების ვადაში სწავლის შედეგების მიღწევა.

ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, 2.1.1.2. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „ხის მხატვრული დამუშავება" პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განსაზღვრულია სსიპ კოლეჯის „ახალი ტალღა" 2022 წლის 14 იანვრის №01-04/06 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის" შესაბამისად. მეთოდოლოგიის მიხედვით, კვოტის განსაზღვრისას გათვალისწინებულია სასწავლო გარემოს (A, B, C ტიპები) რესურსი და ადამიანური რესურსი. პროგრამის დანართში (№13) მითითებულია: განხორციელების მიდგომა: იმიტირებული;

- A გარემო: 15 პროფესიული სტუდენტისთვის გათვლილი რესურსი;
- B გარემო: 15 პროფესიული სტუდენტისთვის გათვლილი რესურსი;
- C გარემო: ორი C გარემო, 15 პროფესიული სტუდენტისთვის გათვლილი რესურსი;
- ადამიანური რესურსის რაოდენობა: 15;
- მოთხოვნილი კვოტა: 15 პროფესიული სტუდენტი.

ვინაიდან A, B და C გარემოების რესურსი თანაბარია და შესაბამისობაშია ადამიანურ რესურსთან (15), მეთოდოლოგიის პრინციპის მიხედვით, რომ კვოტა ეყრდნობა სასწავლო გარემოებების რესურსს პროგრამის ზღვრული რაოდენობა განისაზღვრა 15 პროფესიულ სტუდენტად.

ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, 2.1.1.3. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი რესურსის უზრუნველყოფა სრულად ეხმიანება საგანმანათლებლო სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს და თავისი შინაარსით მნიშვნელოვან როლს ასრულებს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის პროცესში. პროგრამის წარმატებით განხორციელების მიზნით კოლეჯს გამოყოფილი აქვს სათანადოდ მოწყობილი სასწავლო სივრცეები - A გარემო, B გარემო და ორი დამოუკიდებელი C გარემო, რომლებიც პროგრამის სპეციფიკურ საჭიროებებს პასუხობს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დოკუმენტაცია დეტალურად აღწერს იმ აღჭურვილობასა და მატერიალურ-ტექნიკურ საშუალებებს, რომელთა გამოყენებაც მოდულების სწავლების პროცესში ხდება. აღსანიშნავია, რომ ეს ჩამონათვალი თითოეული ცალკეული მოდულის მიხედვით სრულ თანხვედრაშია საგანმანათლებლო სტანდარტში მოცემულ როგორც სავალდებულო ხასიათის, ისე სარეკომენდაციო აღჭურვილობისა და რესურსების ჩამონათვალთან, რაც პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობას ადასტურებს.

ამასთანავე, პროგრამით გათვალისწინებული საგანმანათლებლო რესურსები შინაარსობრივად სრულად ესადაგება მოდულების მიზნებს, ხოლო მათი რაოდენობრივი მაჩვენებელი იძლევა გარანტიას, რომ სწავლის შედეგები სრულყოფილად იქნება მიღწეული სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რაც შეეხება რესურსების ხელმისაწვდომობას, ისინი განთავსებულია კოლეჯის ბიბლიოთეკაში, სადაც დამუშავებულია მოქმედი საბიბლიოთეკო წესების სრული დაცვით და ღია გამოსაყენებლად ყველა დაინტერესებული სტუდენტისთვის.

ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, 2.1.1.4. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;

პროგრამა არ ითვალისწინებს არჩევით მოდულებს.

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;

კოლეჯის დირექტორის 2023 წლის 6 ივნისის N01-04/112 ბრძანებით (ცვლილება შეტანილია 2025 წლის 27 მაისის N01-04/106 ბრძანებით) დამტკიცდა „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია“. აღნიშნული მეთოდოლოგიის მე-5 მუხლის მიხედვით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა კოლეჯის დირექტორს დასამტკიცებლად წარედგინება ხარისხის მენეჯერის დადებითი დასკვნის საფუძველზე, რის შემდეგაც პროგრამას კოლეჯის დირექტორი ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით ამტკიცებს.

საგანმანათლებლო პროგრამა „ხის მხატვრული დამუშავება“ დამტკიცებულია კოლეჯის უფლებამოსილი პირის, კოლეჯის დირექტორის, 2026 წლის 11 მაისის N01-04/128 ბრძანებით.

ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, 2.1.1.6. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;

პროგრამის სახელწოდება - „ხის მხატვრული დამუშავება“ (Wood Artistic Processing) - რომელიც დირქტორის მიერ დამტკიცებულ (2026 წლის 11 მაისის N01-04/128) პროგრამას სრულად ეხმიანება პროგრამის შინაარსსა და მოდულებს, რომლებიც ხის მხატვრული კვეთის, ავეჯისა და დეკორატიული ნივთების დამზადებისა და აღდგენის კომპეტენციებზეა ორიენტირებული. სახელწოდება იდენტურია პროგრამის საფუძვლად არსებული სტანდარტის დასახელებისა (სარეგისტრაციო ნომერი 02.9.1) და პირდაპირ უკავშირდება მისანიჭებელ საშუალო პროფესიულ კვალიფიკაციასა და მისაღწევ სწავლის შედეგებს, რაც გამორიცხავს შეცდომაში შეყვანის ალბათობას.

ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, 2.1.1.7. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მომზადებულია კოლეჯში დადგენილი პროგრამების განვითარების პროცედურის შესაბამისად, რომელიც ეფუძნება დირექტორის 2023 წლის 06 ივნისის №01-04/112 ბრძანებით დამტკიცებულ „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგიას“. მეთოდოლოგიაში ცვლილება განხორციელდა 2025 წლის 27 მაისის №01-04/106 ბრძანებით. პროგრამა შეესაბამება და სრულ თანხვედრაშია პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტს „ხის მხატვრული დამუშავება“.

პროგრამის დოკუმენტაცია აერთიანებს პროგრამის სტრუქტურულ და შინაარსობრივ კომპონენტებს, კერძოდ: პროგრამის მიზნებს, მისანიჭებელ კვალიფიკაციას, მიღების წინაპირობებს, სწავლის შედეგებს, შეფასების სისტემას, პროგრამის მოცულობას, სწავლების ხანგრძლივობასა და პრაქტიკული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სწავლების განხორციელების მიდგომებს. პროგრამის პაკეტში ასევე შედის სასწავლო გეგმა, შესაბამისი მოდულები, მათ შორის „ქართული ენა A2“ და „ქართული ენა B1“ არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის, ასევე ინფორმაცია ადამიანური და მატერიალური რესურსების შესახებ.

ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, 2.1.1.8. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კოლეჯის მისია, ხედვა, ღირებულებები;
- კოლეჯის 2026-2032 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- პროგრამის დამატების განაცხადის დანართი 4 - მიზანშეწონილობის დასაბუთება;
- დირექტორის 2026 წლის 27 თებერვლის №01-04/48 ბრძანება სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ, ცვლილება - №01-04/72, 23.03.2026;
- სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმები №1-3 ((18.03.2026-30.04.2026)
- „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია" - დამტკიცებული დირექტორის ბრძანებით №01-04/112, 06.06.2023, ბოლო ცვლილება - №01-04/106, 27.05.2025;
- პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის წესი და პირობები - დამტკიცებული ბრძანებით №01-04/107, 26.06.2024;
- პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია - დამტკიცებული ბრძანებით №01-04/06, 14.01.2022;
- დანართი 13: პროგრამის ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის დოკუმენტაცია (A და C გარემოებისა და ადამიანური რესურსის გაანგარიშება);
- საგანმანათლებლო პროგრამა „ხის მხატვრული დამუშავება" (მატერიალური და საგანმანათლებლო რესურსის ნუსხა, არჩევითი მოდული, მოდულები, სასწავლო გეგმა) - დამტკიცებული დირექტორის ბრძანებით №01-04/128, 11.05.2026;
- დანართი 7 - საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს პროფესიული განათლების დეპარტამენტის თანხმობის წერილი - 13.03.2026 , N307904
- ინტერვიუს შედეგები ადმინისტრაციასთან და პროგრამის შემუშავების ჯგუფთან.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;**

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „ხის მხატვრული დამუშავება“ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული სამივე ტიპის სასწავლო გარემოთი: A, B და C.

A ტიპის სასწავლო გარემო - II – 508 აუდიტორია წარმოადგენს შენობის შიგნით მოწყობილ თეორიული და ჯგუფური მუშაობის სივრცეს, აღჭურვილს სტანდარტული საკლასო ინვენტარით სტუდენტისა და პედაგოგის სამუშაო ადგილებით, დაფითა და კომპიუტერით, საჭიროებისამებრ დემონსტრირების ციფრული საშუალებით. სასწავლო აუდიტორია განკუთვნილია 15 სტუდენტისთვის.

B ტიპის გარემო არის - I - 103 - კომპიუტერული ლაბორატორია, აღჭურვილი ინდივიდუალური სამუშაო ადგილებით, კომპიუტერული ტექნიკით, კომბაინ-პრინტერითა და დემონსტრირების საშუალებით. კომპიუტერული ლაბორატორია განკუთვნილია 15 სტუდენტისთვის.

C ტიპის გარემო წარმოადგენს სამი სასწავლო ლაბორატორია:

IV – 101: ამ ლაბორატორიაში ხორციელდება ხის დამუშვება. სასწავლო ლაბორატორიაში განთავსებულია პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ძირითადი დანადგარები - სრული ჩარხების ბაზით - მრგვალხერხა ფორმატული ჭრის, სამალაშინე, სარეისმუსე, ლენტსახერხი, საფრეზი, სატორსი, საბურღი ჩარხები, ხის სახარატო ჩარხი საკოპირე მოწყობილობით, ლენტური სახეხი ჩარხი, პროფილების შემკვრელი საფრეზი ჩარხი, მტვრისა და ნახერხის გამწოვი დანადგარები.

III – 104: სასწავლო ლაბორატორია წარმოადგენს პრაქტიკული მეცადინეობის სივრცეს, რომელიც აღჭურვილია ხელის ელექტრო ინსტრუმენტით და პროგრამით გათვალისწინებული სხვა ხელსაწყოებით: სალაშინი, ჩაქუჩი, სატეხი, საჭრისები და სხვა. სივრცეში განთავსებულია სტუდენტთა ნამუშევრები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II - 201 : სასწავლო ლაბორატორია აღჭურვილია თანამედროვე ციფრული დანადგარებით - CNC დანადგარით და პროფესიონალური ლაზერული ჭრის, გრავირებისა და მარკირების დანადგარი. ლაზერული გრავირება, მცირე დეტალების დანადგარით დამუშვება.

სამივე სასწავლო ლაბორატორია სრულად შეესაბამება შრომის უსაფრთხოების სტანდარტებს და უზრუნველყოფს პრაქტიკული უნარების ინდივიდუალურ და ჯგუფურ გამომუშავებას. პროგრამა ითვალისწინებს ორ C გარემოს. გარემო გათვლილია 15 პროფესიულ სტუდენტზე, სწავლება ხორციელდება იმიტირებულ სამუშაო გარემოში.

მატერიალური რესურსის თვალსაზრისით, პროგრამა მოიცავს 14 მოდულს - გაცნობითი პრაქტიკა, ხაზვა, კომპიუტერული გრაფიკული პროგრამები, თანამედროვე და ტრადიციული ავეჯის დამზადება, ხეზე მხატვრული კვეთა, მოზაიკური ტექნოლოგია, რიცხვით პროგრამული მართვის ჩარხების გამოყენება, ხის ნაკეთობების რეკონსტრუქცია, აკადემიური ხატვის საწყისები, პრაქტიკული პროექტი, ძერწვის საწყისები, დაწნული ნაკეთობების დამზადება, მეწარმეობა/უცხოური ენა და ინფორმაციული წიგნიერება.

დამატებით, C გარემო აღჭურვილია ხელის ხელსაწყოებით (ხერხები, საჭრისები, ჭახრაკები, ბურღები, ფრეზები), ხოლო ცალკე მოდულებისთვის - მოზაიკური სამუშაოებისა და აკადემიური ხატვის ინვენტარით (სახატავი დაფა, თაბაშირის ფიგურები, თიხის ჭურჭელი). კოლეჯს პროგრამისთვის წარმოდგენილი აქვს დამტკიცებული შესაბამისობის გეგმა (ბრძანება №01-04/193, 27.05.2026), რომლის ფარგლებშიც, ვაუჩერული დაფინანსებით, 2026 წლის 1 ივნისიდან 30 ნოემბრამდე პერიოდში ხორციელდება 32 დასახელების ხელსაწყო/აღჭურვილობის შესყიდვა (თარაზოები, კუთხოვანები, საზომი ხელსაწყოები, სახაზავების ნაკრებები, ინსტრუმენტები, სტეპლერები, საბურღი და სხვა ხელსაწყოები).

დამატებითად აღსანიშნავია, C სასწავლო გარემოში განსახორციელებელი მოდულები, ისე არის დალაგებული სასწავლო გეგმის მიხედვით, რომ შესაბამისობის გეგმით შესაძენი რესურსების გამო სასწავლო პროცესი არ შეფერხდება.

ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, 2.2.1.1. ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია

2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ხის მხატვრული დამუშავება" განხორციელებისთვის განსაზღვრულია მასწავლებელთა ისეთი რაოდენობა და ორგანიზება, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. დანართი N2-ის მიხედვით, პროგრამაში ჩართულია 15 პროფესიული განათლების მასწავლებელი/განმახორციელებელი, საიდანაც 5 არის დარგობრივი მოდულების განმახორციელებელი, ხოლო 10 - ზოგადი მოდულების განმახორციელებელი (უცხოური ენა, ინფორმაციული წიგნიერება, მეწარმეობა, ქართული ენა A2 და B1); ორივე კატეგორიაზე ერთდროულად მომუშავე პირი პროგრამაში არ ფიქსირდება.

პროგრამის 12 დარგობრივი მოდულიდან დადასტურებულია მინიმუმ ორი განმახორციელებლის არსებობა (გაცნობითი პრაქტიკა, ხაზვა, კომპიუტერული გრაფიკული პროგრამები, ხეზე მხატვრული კვეთა, მოზაიკური ტექნოლოგიით ნაკეთობის დამზადება, ხის მხატვრული დამუშავება რიცხვითი პროგრამული მართვის ჩარხების გამოყენებით, დაწნული ნაკეთობების დამზადება, ხის ნაკეთობების რეკონსტრუქცია/განახლება, პრაქტიკული პროექტი, თანამედროვე და ტრადიციული ავეჯის დამზადება).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის დოკუმენტით (დანართი N13) დადასტურებულია, რომ პროგრამის რესურსი გათვლილია 15 პროფესიულ სტუდენტზე (მოთხოვნილი კვოტაც 15-ია), შესაბამისად, მასწავლებელთა საერთო რაოდენობა და პროგრამის ორგანიზაციული დაგეგმვა ძირითადად ქმნის პროგრამის მდგრადობის საფუძველს.

ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, 2.2.1.2. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

სსიპ კოლეჯ „ახალი ტალღის" დირექტორის 2025 წლის 17 თებერვლის №01-04/28 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო აღწერილობის" (დანართი №2) თანახმად, მასწავლებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნებია მინიმუმ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხი დარგში ან/და პროფესიული განათლება დარგში და შესაბამისი სამუშაოს მინიმუმ 3-წლიანი გამოცდილება, კომპიუტერული პროგრამების ცოდნა, თანამდებობის შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის ცოდნა, ასევე შესაბამისი კომუნიკაციური და ანალიტიკური უნარები.

პროგრამის განმახორციელებელ მასწავლებელთა როგორც დარგობრივი მოდულების (ვაჟა ქათამაძე, მელორ ვერულიძე, გეგა ლაზიშვილი, ამირან ჯინჭარაძე, გიორგი გოლიაძე), ისე ზოგადი მოდულების პირადი საქმეების შესწავლითა და ინტერვიუთი დადასტურდა, რომ ყველა მათგანს, პროგრამის ხელმძღვანელის ჩათვლით, გააჩნია პროფესიული განათლების მასწავლებლად მუშაობის პრაქტიკული გამოცდილება. აღნიშნული, დარგობრივ განათლება-კვალიფიკაციასთან ერთად, ადასტურებს, რომ პროგრამის ყველა მასწავლებელს გააჩნია სტუდენტთათვის სწავლის შედეგების გამომუშავებისა და ობიექტური შეფასების დადასტურებული კომპეტენცია.

ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, 2.2.1.3. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;

სსიპ კოლეჯ „ახალი ტალღის" დირექტორის 2025 წლის 17 თებერვლის №01-04/28 ბრძანებით დამტკიცებული „პროგრამის ხელმძღვანელის სამუშაო აღწერილობის" თანახმად, პროგრამის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნებია მინიმუმ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხი ან პროფესიული განათლება შესაბამის დარგში ან/და დარგში მუშაობის გამოცდილება, კომპიუტერული პროგრამების და საკანონმდებლო ბაზის ცოდნა, ასევე კარგი წერილობითი და სიტყვიერი კომუნიკაციის უნარები.

პროგრამის ხელმძღვანელია მელორ ვერულიძე, რომელსაც გააჩნია ხეზე ჭრის მხატვარ-ოსტატის კვალიფიკაცია, ხის მხატვრული დამუშავებისა და ავეჯის კონსტრუირებისთვის პროფესიული გადამზადების პროგრამა, ასევე პროფესიული განათლების მასწავლებლად მუშაობის დადასტურებული გამოცდილება. ამავდროულად, იგი არის პროგრამის პროფესიული მოდულების უშუალო განმახორციელებელი, რაც უზრუნველყოფს პროგრამის ხელმძღვანელობასა და დარგობრივ სწავლებას შორის შინაარსობრივ თანმიმდევრულობას.

ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, 2.2.1.4. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

კოლეჯის ბიბლიოთეკის დებულების თანახმად, ბიბლიოთეკაში განთავსებულია საგანმანათლებლო ერთეულების სახელმძღვანელო, დამხმარე და მეთოდური ლიტერატურა, ბეჭდვითი გამოცემები და ელექტრონული რესურსები. ბიბლიოთეკა უზრუნველყოფს მკითხველთა სრულ დაკმაყოფილებას მათთვის საჭირო ლიტერატურითა და საბიბლიოთეკო დოკუმენტებით, მათ შორის ბეჭდური, ხელნაწერი, ელექტრონული და ინფორმაციის შემცველი სხვა მასალებით. ექსპერტთა ჯგუფის მიერ ადგილზე ვიზიტის დროს მოხდა კოლეჯის ბიბლიოთეკის და მასში არსებული საგანმანათლებლო რესურსის დათვალიერება. საბიბლიოთეკო ფონდის ვიზუალური დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ მოდულებით გათვალისწინებული სასწავლო მასალები სრული მოცულობითაა განთავსებული და ხელმისაწვდომი კოლეჯის ბიბლიოთეკაში.

დაწესებულებას პროგრამის - ხის მხატვრული დამუშავებისთვის განკუთვნილი ელექტრონული სახით აქვს შემდეგი რესურსი: კომპიუტერული გრაფიკის საფუძვლები AutoCAD 2008 ბაზაზე, არქიტექტორ ტექნიკოსი, ხის დასამუშავებელი ჩარხები, კომპიუტერული საინჟინრო გრაფიკა AutoCAD; კომპიუტერ. გრაფიკა და ვიზუალიზაცია; autocad ავტოკადის წიგნი; Graphisoft ArchiCAD -ბაზური არქიკად; ჩუქურთმა ხეზე და სხვა.

ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, 2.2.1.5. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

სსიპ კოლეჯ „ახალი ტალღა“ სსსმ და შშმ პირთათვის სასწავლო რესურსების ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს დირექტორის 2026 წლის 24 მარტის №01-04/74 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ IX თავით (ინკლუზიური განათლება), რომლის 45-ე მუხლი არეგულირებს აღნიშნულ საკითხს. კოლეჯი ქმნის თითოეული სსსმ და შშმ პირის საჭიროებებზე მორგებულ სასწავლო გარემოს, უზრუნველყოფს სპეციალურ საგანმანათლებლო მომსახურებასა და სასწავლო პროცესის ინდივიდუალურ ორგანიზებას. აღნიშნული უზრუნველყოფს შესაბამისი სასწავლო რესურსების გამოყენებასაც. საჭიროების არსებობისას კოლეჯი დამატებით უზრუნველყოფს ადამიანური და მატერიალური რესურსების მობილიზებას, რაც საშუალებას იძლევა სასწავლო რესურსები და გარემო ადაპტირდეს კონკრეტული პროფესიული სტუდენტის საჭიროებების შესაბამისად. ინდივიდუალური საგანმანათლებლო საჭიროებების გათვალისწინებით, მეოთხე პუნქტი ითვალისწინებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების შესაძლებლობას, რომლის საფუძველზეც განისაზღვრება სტუდენტისთვის საჭირო რესურსები და სწავლების ორგანიზების ფორმა. კოლეჯი უზრუნველყოფს ფიზიკური გარემოს ხელმისაწვდომობას, მათ შორის აუდიტორიების, ბიბლიოთეკის, ადმინისტრაციული სივრცეების, სანიტარული კვანძებისა და კოლეჯის სხვა ინფრასტრუქტურის გამოყენების შესაძლებლობას. ინკლუზიური განათლების მხარდაჭერის მიზნით, მესამე პუნქტი ასევე ადგენს, რომ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მისაღები სტუდენტების ზღვრული რაოდენობის ფარგლებში 15%-მდე კვოტა განკუთვნილია სსსმ პირებისთვის, რაც მათი განათლებაზე თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას ემსახურება.

ვიზიტის ფარგლებში პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ მათ აქვთ გამოცილება ინდ. გეგმებით სწავლების წარმართვის და მყისიერად რეაგირებენ საჭიროებებზე და უზრუნველყოფენ პროგრამით/ინდ.გეგმით განსაზღვრულ რესურსებზე ხელმისაწვდომობას და მათ ადაპტირებას.

ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, 2.2.1.6. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

პროგრამის შემოსავალი ფორმირდება სახელმწიფო ვაუჩერული დაფინანსების წყაროდან, ხოლო რენტაბელობის ზღვარი - 11 სტუდენტი, პროგრამის კვოტაზე (15 სტუდენტი, 1 ჯგუფი), რაც ამცირებს ჯგუფის ვერ დაკომპლექტების შემთხვევაში გამოწვეულ ფინანსურ რისკებს. ხარჯვითი ნაწილის სტრუქტურაში, პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე (ხის მასალებზე დაფუძნებული პრაქტიკული სწავლება), ყველაზე დიდ წილს იკავებს ნედლეულისა და მასალების ხარჯი, რასაც მოსდევს შრომის ანაზღაურება, ხოლო გაუთვალისწინებელი ხარჯებისა და აღჭურვილობის ამორტიზაციის ხარჯები უზრუნველყოფენ დამატებით ფინანსურ რეზერვს. საერთო შემოსავლისა და ხარჯების დაბალანსება ადასტურებს პროგრამის ფინანსურ მდგრადობას მისი სრული ციკლის განმავლობაში.

ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, 2.2.1.7. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.ა

დასტურდება (მტკიცებულებები):

- საგანმანათლებლო პროგრამა „ხის მხატვრული დამუშავება“ (მატერიალური რესურსის ნუსხა, განმახორციელებლები, არჩევითი მოდული, მოდულები, სასწავლო გეგმა) - დამტკიცებული დირექტორის ბრძანებით №01-04/128, 11.05.2026;
- A, B და C გარემოების ფიზიკური დათვალიერების შედეგები და რესურსის საკუთრებაში ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- შესაბამისობის გეგმა (C გარემოსთვის საჭირო აღჭურვილობის შესყიდვის თაობაზე) - დამტკიცებული ბრძანებით №01-04/193, 27.05.2026;
- დანართი 13. პროგრამის ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის დოკუმენტაცია
- „პროფესიული განათლების მასწავლებლის და პროგრამის ხელმძღვანელის სამუშაო აღწერილობა" - დამტკიცებული ბრძანებით №01-04/28, 17.02.2025;
- პირადი საქმეები
- კოლეჯის ბიბლიოთეკის დებულება - დამტკიცებული 2023 წლის 06 ივნისის N01-04/115 ბრძანებით
- ბიბლიოთეკის კატალოგი და მასალები;
- პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი.
- „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი" - დამტკიცებული ბრძანებით №01-04/74, 24.03.2026;
- გასაუბრებების შედეგები პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან, პასუხისმგებელ პირებთან სსსმ პირთა მხარდაჭერის საკითხებზე

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებას, სსიპ ახალი ტალღა, ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებას, მის მეერ შემუშავებული შეფასების მექანიზმი კი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს და ამასთანავე დაინტერესებული პირების უკუკავშირს. ამის უზრუნველსაყოფად, კოლეჯში მოქმედებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მექანიზმი. შემუშავებული შეფასების სისტემა განსაზღვრულია დირექტორის 2023 წლის 06 ივნისის N01-04/112 (ცვლილება: 27/05/2025 N 0104/106 ბრძანება) ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგიით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და განვითარების პროცესებს არეგულირებს მეთოდოლოგიის მუხლი 7. მეთოლოგიით გათვალისწინებული პროფესიული პროგრამის შეფასება მოიცავს: პროგრამების შინაარსობრივი ასპექტების შეფასებას; სწავლა-სწავლების პროცესის მიმდინარეობის ადეკვატურობის დადგენას; მოდულის განმახორციელებელი პირების საქმიანობის შეფასებას; მატერიალურ-ტექნიკური რესურსის, მასალა-ნედლეულის საკმარისობის, ავთენტურობის შეფასებას; ვერიფიკაციას.

პროგრამის გაუმჯობესება/განვითარების მიზნით გათვალისწინებულია ცვლილებების განხორციელება, რისთვისაც კოლეჯი იყენებს უკუკავშირის მექანიზმს. ხარისხის მართვის მენეჯერი პროგრამის შეფასების შედეგების მიხედვით კოლეჯის დირექტორს წარუდგენს შესაბამის რეკომენდაციებს, რეკომენდაციის საფუძველზე კოლეჯს შეუძლია განახორციელოს პროგრამაში ცვლილებები. ცვლილება შესაძლოა კოლეჯმა განახორციელოს საკუთარი შესაძლებლობის ფარგლებში, გარდა ამისა ინიციატივით მიმართოს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების პროცესებს ითვალისწინებს დემინგის ციკლის გათვალისწინებით შემუშავებული ხარისხის შიდა მექანიზმი, რომლის მიხედვითაც, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება-განვითარების პროცესი ციკლურია. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმის მიხედვით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების პროცესები მოიცავს პროგრამების დაგეგმვას, ახალი პროგრამის დამატებას, პროგრამაში ცვლილებების შეტანას, ვერიფიკაციას, მონიტორინგის მექანიზმების განსაზღვრას. ამასთანავე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა, პროფესიულ მასწავლებელთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა მოსაზრებების დადგენას, ამისთვის კი კოლეჯს შემუშავებული აქვს კვლევის კითხვარები:

- პროფესიული სტუდენტის კითხვარი ავტორიზაციის II სტანდარტის შეფასების მიზნით;
- პროფესიული განათლების მასწავლებლის კითხვარი ავტორიზაციის II სტანდარტის შეფასების მიზნით
- კითხვარი კურსდამთავრებულებისათვის
- პარტნიორი ორგანიზაციის კითხვარი ავტორიზაციის II სტანდარტის შეფასების მიზნით

აღნიშნული კვლევების სამიზნე ჯგუფია კოლეჯის შიდა (პროგრამის ხელმძღვანელები, პროფესიული მასწავლებლები, პროფესიული სტუდენტები, კურსდამთავრებულები) და გარე (დამსაქმებლები, პრაქტიკის ობიექტები) დაინტერესებული მხარეები. კვლევებში მათი ჩართვა პროგრამის შეფასების პროცესში უზრუნველყოფს დაინტერესებული პირების უკუკავშირის გათვალისწინებას. კოლეჯის გარე დაინტერესებული მხარეების ჩართვა ითვალისწინებს პროგრამის შინაარსობრივი მხარისშეფასებას, ამასთანავე ახდენს შრომის ბაზრის მოთხოვნებთან მიმართებით კურსდამთავრებულთა კომპეტენციების შეფასებას. დამსაქმებელთა კვლევის მიზანია მათი დამოკიდებულებების შესწავლა საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებისა და სრულყოფის მიზნით პროფესიული სტუდენტებისა და კურსამთავრებულების დასაქმების ან სტაჟირების მიმართ. კლევა ხორციელდება რაოდენობრივი კვლევის მეთოდით, ამისთვის შემუშავებულია წინასწარ სტრუქტურირებული კვლევის კითხვარი. კითხვარი მოიცავს ღია და დახურული ტიპის შეკითხვებს.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ადგილზე ვიზიტის დროს მოხდა პსდ-ში ამჟამად მოქმედი ერთ - ერთი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების ფორმის შესწავლა. რომლის შედეგადაც გამოიკვეთა, რომ პსდ პროგრამის შეფასებისას ითვალისწინებს პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტთა სტატისტიკურ ანალიზს, სტუდენტთა სტატუსის შეჩერება/შეწყვეტის ოდენობასა და მიზეზებს, სტუდენტთათვის კვალიფიკაციების მინიჭებისა და შეფასების სისტემის შეფასების შედეგებს, კურსდამთავრებულთა კვლევის შედეგებს, რომელის მიხედვითაც დადგენილია მათი დასაქმების მაჩვენებლები და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან მიმართებით მათი პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის შედეგად გამომუშავებული კომპეტენციების შეფასებას.

ადგილზე ვიზიტის ფარგლებში, ექსპერტთა ჯგუფის მიერ პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ პროგრამის შეფასების მიზნით დაწესებულებაში ხორციელდება შესაბამისი შეფასების ფორმის წარმოება. დაწესებულების წარმომადგენელთა განმარტებით, ფორმით გათვალისწინებული მონაცემების ასახვასთან ერთად, მუშავდება სხვადასხვა ტიპის ინფორმაცია, რომელიც პროგრამის შეფასების ფორმაში EQAVET-ის ინდიკატორების შესაბამისად არის გაანალიზებული. აღნიშნული მონაცემები გამოიყენება პროგრამის შეფასების, შედეგების ანალიზისა და შემდგომი განვითარების მიზნით. ინტერვიუს ფარგლებში მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, აღნიშნული პრაქტიკა დაწესებულებაში დანერგილი იყო პროგრამის წინა სტანდარტით განხორციელებული სწავლების პერიოდშიც.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2.3.1.1. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. **პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.**

კოლეჯში პროგრამების განხორციელების ხარისხის მონიტორინგისა და განვითარების პროცესის ეფექტიანი დანერგვის უზრუნველყოფის მიზნით, კოლეჯის დოკუმენტაციის მიხედვით, ფუნქციონირებს ხარისხის მართვის მენეჯერისა და ხარისხის მართვის კოორდინატორის საშტატო ერთეულები. პროგრამის შეფასების შედეგად მიღებული მონაცემები გამოიყენება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების გაუმჯობესებისა და სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლების მიზნით.

დირექტორის 2023 წლის 06 ივნისის N01-04/112 (ცვლილება: 27/05/2025 N 0104/106 ბრძანება) ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგიის მუხლი 6 ითვალისწინებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების შეტანას. მეთოდოლოგიის შესაბამისად პროგრამაში ცვლილების შეტანა შესაძლებელია კოლეჯში მეთოდოლოგიით განსაზღვრული პროგრამის შეფასების შედეგების ანალიზის, სსსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის დოკუმენტში ცვლილების განხორციელების, შრომის ბაზრის მოთხოვნის ან სხვა გარემოების საფუძველზე. მეთოდოლოგიით განსაზღვრულია პირები, ვისაც შეუძლია პროგრამაში ცვლილების ინიცირება. ესენია: კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი, საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებისა და მართვის მენეჯერი, პროგრამის ხელმძღვანელი, მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებელი, კოლეჯის პარტნიორი ორგანიზაცია და სხვა დაინტერესებული პირები. პროგრამაში ცვლილებების განხორციელების შემთხვევაში, მოდიფიცირებული საგანმანათლებლო პროგრამას დასამტკიცებლად დირექტორს წარუდგენს საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებისა და მართვის მენეჯერი, ხოლო ცვლილება ხორციელდება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. მეთოდოლოგია ასევე ითვალისწინებს საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების შესახებ ინფორმაციის გავრცელებას. ცვლილების სესახებ ინფორმაცია კოლეჯის ადმინისტრაციასა და პროფესიული განათლების მასწავლებლებს ეცნობებათ ეფლოუს საშუალებით და დამტკიცებული პროგრამა განთავსდება კოლეჯის ვებ-გვერდზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2.3.1.2. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია“ დამტკიცებულია დირექტორის 2023 წლის 06 ივნისის N01-04/112 (ბოლო ცვლილება: 27/05/2025 N0104/106 ბრძანება) ბრძანება
- ინტერვიუს შედეგები პასუხისმგებელ პირებთან

შეფასება:

☒ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად

კოლეჯში პროფესიული პროგრამის - ხის მხატვრული დამუშავება, განხორციელება დაგეგმილია დირექტორის 24/03/2026 წლის N01-04/74 ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარგეგულირებელი წესის შესაბამისად. მოდულების განხორციელების დაგეგმვისთვის, პროგრამის შესაბამისად შემუშავებულია სასწავლო გეგმა, რომელის მიხედვითაც დაცულია პროფესიულ სტუდენტთა კვირეული საათობრივი დატვირთვა. სასწავლო გეგმის მიხედვით, კვირეული საათობრივი დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. გეგმის მიხედვით გაწერილია მოდულების თანმიმდევრობა. სასწავლო გეგმა მოიცავს 3 ზოგად და 12 პროფესიულ მოდულს, რომლისთვისაც ჯამურად დათმობილია 60 სასწავლო კვირა. სასწავლო გეგმაში ასახულია საკონტაქტო, დამოუკიდებელი და შეფასების საათების ოდენობა. სასწავლო გეგმებში დაცულია დროის შუალედი განმეორებითი შეფასებისათვის;

სასწავლო გეგმა შედგენილია ქართული ენის მოდულების განხორციელებისთვისაც, იმ სტუდენტებისთვის, რომელთაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია. ასეთი სტუდენტები პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაწყებამდე გადიან ქართული ენის A2 და B1 მოდულებს.

სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით მიხედვით, სასწავლო გეგმიდან გამომდინარე სწავლის დაწყების წინ, კოლეჯი ადგენს სალექციო განრიგს, რომელიც მოიცავს შემდეგ მონაცემებს: მოდულის დასახელება, მოდულის განმახორციელებლის სახელი და გვარი, ლექციის დაწყებისა და დასრულების დრო.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ვიზიტის ფარგლებში, ექპერტთა ჯგუფის მიერ ინტერვიუსა და დოკუმენტების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ მოდულის განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებლები შემუშავებული სასწავლო გეგმის გათვალისწინებით ადგენენ კალენდარულ გეგმებს, რომლებიც მოიცავს თარიღს, თემატიკას, სწავლის და შეფასების მეთოდებს, რესურსს. შედგენილი კალენდარული გეგმების შესაბამისად მოდულის განმახორციელებლები ახორციელებენ სწავლებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2.4.1.1. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;

კოლეჯის დირექტორის 24/03/2026 წლის N01-04/74 ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი ითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა ინტერესებისა და საჭიროებების გამოვლენასა და შემდგომ მათზე შესაბამის რეაგირებას. კერძოდ, აღნიშნული წესი არეგულირებს პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების საკითხებს. გეგმის შემუშავება გათვალისწინებულია სსსმ/შშმ პირების, მობილობის, პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის, მოდიფიცირებულ/ოპტიმიზირებულ პროგრამაზე გადაყვანისა და ფორსმაჟორული ვითარების შემთხვევებში.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცესში მონაწილეობენ სასწავლო პროცესის მენეჯერი, შესაბამისი პროფესიული განათლების მასწავლებელი და, საჭიროების შემთხვევაში, ინკლუზიური განათლების სპეციალისტი. ამასთან, პროცესში ჩართვის უფლება აქვს თავად პროფესიულ სტუდენტს, ხოლო არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში - მის კანონიერ წარმომადგენელს. აღნიშნული მექანიზმი კოლეჯს საშუალებას აძლევს, მოქნილად უპასუხოს სასწავლო პროცესში წარმოქმნილ ინდივიდუალურ საჭიროებებს, მათ შორის, სწავლების მეთოდების, სასწავლო საათების განაწილების, სასწავლო გარემოსა და შესაბამისი რესურსების ადაპტირების გზით.

სსსმ ან შშმ პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში პროცესში ერთვება ინკლუზიური განათლების სპეციალისტი, რომელიც ამავე წესის 45-ე მუხლის შესაბამისად წარმართავს შესაბამის პროცესებს, რათა უზრუნველყოფილი იყოს პროფესიული სტუდენტის ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინება. სხვა შემთხვევებში პროფესიულ სტუდენტთა საჭიროებების გამოვლენასა და მათზე შესაბამის რეაგირებას უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის სამსახური.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ პასუხისმგებელ პირებთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა შესაბამისი ფუნქციური გამიჯვნა. კერძოდ, პროფესიული სტუდენტის მობილობის ან სტატუსის შეჩერების შემთხვევაში ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საჭიროების განსაზღვრასა და შესაბამისი პროცესების განხორციელებას სასწავლო პროცესის სამსახური უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად. ინტერვიუს დროს ასევე დადასტურდა, რომ აღნიშნულ პროცესში ჩართული არიან სასწავლო პროცესის მენეჯერი და თავად პროფესიული სტუდენტი, ხოლო არასრულწლოვანი სტუდენტის შემთხვევაში - მისი კანონიერი წარმომადგენელი.

პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის შემთხვევაში სტუდენტი სწავლას აგრძელებს პროგრამის იმ ეტაპიდან, რომელზეც მას პროფესიული სტუდენტის სტატუსი შეუჩერდა. აღნიშნული მიზნით, სასწავლო პროცესის მენეჯერი ამოწმებს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებულ და უკვე ათვისებულ სწავლის შედეგებს და, სასწავლო პროცესის მიმდინარეობისა და პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, შეიმუშავებს შესაბამის სასწავლო განრიგს. იმ შემთხვევაში, თუ პროფესიულ სტუდენტს ყველა სწავლის შედეგი დადასტურებული არ აქვს, მუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის პროექტი, რომელიც დასამტკიცებლად წარედგინება კოლეჯის დირექტორს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კოლეჯმა აღნიშნული მექანიზმის პრაქტიკაში განხორციელების მაგალითად წარმოადგინა სსიპ კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 26 სექტემბრის N01-04/161 ბრძანებით დამტკიცებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. წარმოდგენილი დოკუმენტის საფუძველზე პროფესიულ სტუდენტს მიეცა შესაძლებლობა, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები დაეძლია და დაედასტურებინა ინდივიდუალური სასწავლო გეგმით განსაზღვრულ ვადაში.

ამასთან, კოლეჯი საჭიროების შემთხვევაში მოქნილად რეაგირებს გამოვლენილ გარემოებებსა და პროფესიულ სტუდენტთა საჭიროებებზე და მათ ინტერესებზე მორგებულად უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში ელექტრონულად ჩართვის შესაძლებლობას. აღნიშნული მიდგომა პროფესიულ სტუდენტებს საშუალებას აძლევს, ისარგებლონ პერსონალიზებული და მოქნილი, მათ შორის, დროისა და ადგილის მიხედვით ადაპტირებული, სწავლების მეთოდებით. ამასთანავე, აქვთ შესაძლებლობა, სწავლის შედეგების მიღწევას ხელი შეუწყონ ონლაინ ინფორმაციის წყაროების, აგრეთვე ვიდეო და აუდიო არხების გამოყენებით.

დაწესებულებაში დისტანციური ან ჰიბრიდული სწავლება, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია განხორციელდეს კანონმდებლობით განსაზღვრული შესაძლებლობებისა და მოთხოვნების ფარგლებში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2.4.1.2. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;

კოლეჯში სწავლების განცორციელება გათვალისწინებულია სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის, დამტკიცებული პროგრამისა და მოდულების მოთხოვნის შესაბამისად. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის - ხის მხატვრული დამუშავება - სწავლების პროცესში პროგრამის მოდულების მიხედვით გათვალისწინებულია სწავლების სხვადასხვა მეთოდის გამოყენება: ინტერაქციული ლექცია, სამუშაო ჯგუფში მეცადინეობა, პრაქტიკული მეცადინეობა, დისკუსია, როლური თამაში, ამასთანავე გათვალისწინებულია კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენება. ამასთანავე, საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს, როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ სწავლებას - ლაბორატორიულ და პროექტულ აქტივობებს, რომლებიც ხორციელდება პროგრამისთვის გათვალისწინებულ C გარემოში, სადაც უზრუნველყოფილია დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების რათა სტუდენტებმა პრაქტიკულ საქმიანობაში აითვისონ ხის მხატვრული დამუშავების განხორციელებისთვის საჭირო თანამედროვე ხელსაწყოები.

სწავლის პროცესში გამოყენებული მეთოდები ხელს უწყობს სტუდენტების აქტიურ ჩართულობას, პრობლემებზე ორიენტირებულ სწავლებასა და პრაქტიკული უნარების განვითარებას.

ამასთანავე, დაწესებულება არეგულირებს და უზრუნველყოფს დისტანციურ სწავლებას. კერძოდ: საგანმანათლებლო პროგრამის - ხის მხატვრული დამუშავების 2 ზოგადი მოდული ითვალისწინებს დისტანციური სწავლების შესაძლებლობას. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მუხლი 16-ის მიხედვით, დისტანციური სწავლება კოლეჯში შესაძლებელია განხორციელდეს სრულად ელექტრონული სინქრონული, სრულად ელექტრონული ასინქრონული ან ჰიბრიდული მოდელით. შესაბამისი სწავლების მოდელის შერჩევა ხდება სასწავლო პროცესის საჭიროებების, საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკის, სწავლის შედეგების, სტუდენტთა ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მარეგულირებელი წესის მიხედვით, გაკვეთილის ხანგრძლივობა დისტანციური სწავლების დროს შეადგენს 50 წუთს, 10-წუთიანი შესვენებით, სასწავლო რესურსად კი გამოიყენება კოლეჯის ვებ-გვერდზე განთავსებული ელექტრონული სახელმძღვანელოები და დამხმარე მასალები, რომელსაც მასწავლებელი ვირტუალურ სასწავლო სივრცეში (Microsoft Teams-ის ლიცენზირებული პლატფორმა) განათავსებს. კოლეჯი ახორციელებს სტუდენტთა დასწრების აღრიცხვას, ხოლო გაცდენის შემთხვევაში პროგრამის ხელმძღვანელი ადგენს მიზეზს. თუ სტუდენტის მიერ გაცდენის მიზეზი დაკავშირებულია ტექნიკური/წვდომის პრობლემასთან, ასეთ დროს კოლეჯი განსაზღვრავს ალტერნატიულ ღონისძიებას, რათა უზრუნველყოს სტუდენტის სასწავლო პროცესში ჩართვა. დისტანციური სწავლება სსსმ სტუდენტებისთვის ორგანიზდება ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით დ ამ პროცესებში ჩართულია პროგრამის ხელმძღვანელი, მასწავლებელი და საჭიროებისამებრ ინკლუზიური განათლების სპეციალისტი.

ვიზიტის ფარგლებში ზოგადი მოდულების მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოვლინდა, რომ მათ მიერ გათვალისწინებულია სწავლების პროცესში მრავალფეროვანი მეთოდების (მათ შორის ანალოგიებით სწავლება) გამოყენება, სასწავლო გარემოს დათვალიერებების შედეგად კი გამოვლინდა, რომ A-C კორპუსის აუდიტორიები აღჭურვილია პროექტორითა და კომპიუტერით, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2.4.1.3. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;

კოლეჯი პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისთვას უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით. ამისთვის კი, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი განსაზღვრავს ინკლუზიური განათლების შესაძლებლობას. ამ წესის მუხლი 45-ის უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტებზე მორგებული სასწავლო პროცესის ორგანიზებას მათ ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებით. რეგულაციის მიხედვით, კოლეჯში, საჭიროების შემთხვევაში, სსსმ/შშმ სტუდენტებისთვის, უზრუნველყოფილია შესაბამისი სპეციალური საგანმანათლებლო მომსახურება, დამატებითი მატერიალური და ადამიანური რესურსის მობილიზება და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება. გარდა ამისა, კოლეჯი უზრუნველყოფს სტუდენტთა სოციალური ადაპტაციისა და სასწავლო პროცესში სრულყოფილად ჩართულობის ხელშეწყობას. დასახელებული მექანიზმები უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა საჭიროებების გამოვლენასა და შესაბამისი მხარდაჭერის ღონისძიებების განხორციელებას.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელდა ინტერვიუ ინკლუზიური განათლების სპეციალისტთან. ინტერვიუს შედეგად გამოვლინდა სსსმ და შშმ სტუდენტების შემთხვევაში ინდ. გეგმით სწავლების უზრუნველყოფის არაერთი მაგალითი. ინდივიდუალური გეგმით სარგებლობის შედეგად, სსსმ სტუდენტთა ნაწილმა შეძლო სწავლის შედეგების დადასტურება და მიენიჭათ კვალიფიკაცია, ნაწილის შემთხვევაში კი გაიცა ცნობა. როგორც ინკლუზიური განათლების სპეციალისტმა ინტერვიუს დროს აღნიშნა, წინა წლის მიხედვით კოლეჯს ყავს 8 სსსმ და 2 შშმ სტუდენტი. ინტერვიუს შედეგებმა გამოკვეთა, რომ დაწესებულებას ამ მიმართულებით დიდი გამოცდილება აქვს. სსსმ და შშმ სტუდენტეთნ ინდივიდუალური გეგმების შემშავება კი მიმდინარეობს შემდეგნაირად: მას შემდეგ, რაც ინკლუზიური განათლების სპეციალისტი მიიღებს კოლეჯში ჩარიცხული სტუდენტის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შესახებ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მულტიდისციპლინური გუნდის შეფასებას, სტატუსის დადასტურების შესახებ, იწყებს სტუდენტზე დაკვირვების პროცესს. ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი სასწავლო პროცესის დაწყებისას ესწრება სასწავლო პროცესს, ახორციელებს დაკვირვებას, რომლის შედეგების საფუძველზეც, პროფესიული სტუდენტის მიერ სასწავლო მოდულების დაძლევის შესაძლებლობის შესახებ კოლეჯის დირექტორს წარუდგენს დასკვნას. ინტერვიუს დროს, ინკლუზიური განათლების სპეციალისტმა ნიმუშად განიხილა 2024 წლის შემოდგომის მიღებაზე ჩარიცხული სსსმ პროფესიული სტუდენტის შემთხვევა, რომელსაც გააჩნდა ფიზიკურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული სირთულეები. ინკლუზიური განათლების სპეციალისტის დაკვირვების ანალიზის შედეგად გადაწყდა, რომ სტუდენტს ესაჭიროებოდა ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომლის მეშვეობით მოდულების ადაპტაციამ აკომოდაციის სახით სსსმ პროფესიულ სტუდენტს შესაძლებლობა მისცა მიეღწია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაღვრული სწავლის შედეგებისთვის. შედეგად სტუდენტმა დაადასტურა სწავლის შედეგები, გადაეცა დიპლომი და მიენიჭა კვალიფიკაცია. გარდა ამისაა, ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ საჭიროების შემთხვევაში კოლეჯი სსსმ და შშმ სტუდენტისთვის უზრუნველყოფს ინდივიდუალური ასისტენტის მხარდაჭერას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2.4.1.4. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

5. **პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - ხის მხატვრული დამუშავება არ ითვალისწინებს პრაქტიკის ობიექტზე სწავლებას. სწავლების ფორმა არის იმიტირებული.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2.4.1.5. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

6. **სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს და საჭიროებს უსაფრთხოების წესებს, ამისთვის კი კოლეჯში შემუშავებულია დირექტორის 14/05/2026 წლის N01-04/133 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - ხის მხატვრული დამუშავება სასწავლო ლაბორატორიის უსაფრთხოების წესები. კოლეჯს უსაფრთხოების წესებით განსაზღვრულია, რომ უსაფრთხოების ნორმების დაცვა სავალდებულოა, როგორც სტუდენტებისთვის, ასევე პერსონალისთვის.
უსაფრთხოების წესი ითვალისწინებს დარგისთვის დამახასიათებელი რისკების გათვალისწინებით განსაზღვრულ ნორმებს. დოკუმენტით განსაზღვრულია: ლაბორატორიაში დაშვების წესები, ინდივიდუალური დაცვის საშუალებები, ინსტრუმენტებისა და მოწყობილობების უსაფრთხო გამოყენება, ჭრისა და დამუშავების უსაფრთხოება, სამუშო ადგილის ორგანიზება, ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოება, ქიმიური ნივთიერებების გამოყენება (ლაქები, საღებავები, წებოები), საგანგებო სიტუაციები, აკრძალვები, გარემოს დაცვის მოთხოვნები და პასუხისმგებლობა.
ინდივიდუალური დაცვის საშუალებებად კი განსაზღვრულია: დამცავი სათვალე, დამცავი ხელთათმანები (საჭიროების მიხედვით), მტვრისგან დამცავი ნიღაბი/რესპირატორი, სმენის დამცავი (ხმაურიანი მოწყობილობების გამოყენებისას). აღნიშნული საშუალებებით სტუდენტთა უზრუნველყოფა ხდება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უშუალოდ სწავლის დაწყების წინ. შესაბამისად, კოლეჯში უზრუნველყოფილია შესაბამისი უსაფრთხოების ნორმევის დაცვა, რომელთა შესახებ ინფორმაცია სტუდენტებს აქვთ წინასწარ, სასწავლო პროცესის დაწყებამდე. ხის მხატვრული დამუშავების პროგრამის განხორციელება დაგეგმილია კოლეჯის II, III და IV კორპუსებში. სასწავლო ლაბორატორიების დათვალიერების შედეგად გამოვლინდა, რომ სასწავლო ლაბორატორიებში გამოკრულია უსაფრთხოების წესები.

კოლეჯში წარმოქმნილი ნარჩენების მოძრაობას და განკარგვას არეგულირებს სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის შენახვისა და განკარგვის წესი, სახარჯი მასალების აღრიცხვა/გაცემის პროცედურები, დამტკიცებული 2023 წლის 07 დეკემბრის N01-04/254 ბრძანებით, ბოლო ცვლილება 2024 წლის 28 მარტი N01-04/46 ბრძანება. დოკუმენტი არეგულირებს პროგრამის ფარგლებში გამოყენებული ნარჩენი მასალის, მათ შორის ხის მასალის განკარგვის საკითხებს, პროცედურებსა და წესებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2.4.1.6 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია“ დამტკიცებულია დირექტორის 2023 წლის 06 ივნისის N01-04/112 (ბოლო ცვლილება: 27/05/2025 N0104/106 ბრძანება)ბრძანებით
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი დამტკიცებულია დირექტორის 24/03/2026 წლის N01-04/74 ბრძანებით
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (ხის მხატვრული დამუშავება) სასწავლო ლაბორატორიის უსაფრთხოების წესები. დამტკიცებულია დირექტორის 14/05/2026 წლის N01-04/133 ბრძანებაით
- დამტკიცებული პროგრამა, მოდულები, სასწავლო გეგმა - დამტკიცებულია 11/05/2026 N 01-04/128 ბრძანება, ბოლო ცვლილება 2026 წლის 23 ივლისის N 01-04/210
- სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის შენახვისა და განკარგვის წესი, სახარჯი მასალების აღრიცხვა/გაცემის პროცედურები, დამტკიცებულია დირექტორის 2023 წლის 07 დეკემბრის N01-04/254 ბრძანებით, ბოლო ცვლილება 2024 წლის 28 მარტი N01-04/46 ბრძანება.
- ინტერვიუს შედეგები პასუხისმგებელ პირებთან

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;

კოლეჯში პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა რეგულირდება 24/03/2026 წლის N01-04/74 ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით. აღნიშნული წესის 21-ე მუხლი არეგულირებს შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების, შეფასებისა და განმეორებითი შეფასების განხორციელების პროცედურებს. დოკუმენტში მკაფიოდ არის გაწერილი შეფასების ინსტრუმენტისა და შეფასების მტკიცებულებებისადმი არსებული მოთხოვნები, ასევე განსაზღვრულია შეფასების პროცესის ორგანიზებასთან დაკავშირებული საკითხები.
შეფასების პროცესში გამოიყენება ვალიდური შეფასების ინსტრუმენტი, რომლის ვალიდაციის პროცესშიც მონაწილეობენ სასწავლო პროცესის კოორდინატორი და პროგრამის ხელმძღვანელი. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით განსაზღვრულია შეფასების ინსტრუმენტში შესატანი ინფორმაცია და პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირების პროცედურები. პროფესიულ სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა ისარგებლონ განმეორებითი შეფასებითა და შეფასების შედეგების გასაჩივრების უფლებით. განმეორებითი შეფასების შემთხვევაში განსაზღვრულია შესაბამისი ვადები, მათ შორის, პერიოდი, რომლის განმავლობაშიც პროფესიულ სტუდენტს შეუძლია განმეორებით შეფასებაზე გასვლა. ამასთან, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი ითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთათვის დამატებითი კონსულტაციების მიღების შესაძლებლობას. დოკუმენტით ასევე მოწესრიგებულია პორტფოლიოს წარმოების, შეფასების მტკიცებულებების მოპოვების, შენახვისა და განადგურების საკითხები.

კოლეჯში მოქმედი შეფასების სისტემა ეფუძნება ვალიდურობის, სანდოობის, გამჭვირვალობის, სამართლიანობისა და ობიექტურობის პრინციპებს:
ვალიდურობა: დაწესებულებაში მოქმედებს შეფასების სისტემის ვალიდაციის მექანიზმი. შეფასების ინსტრუმენტი შეფასების პროცესის დაწყებამდე არანაკლებ ორი კვირით ადრე წარედგინება სასწავლო პროცესის კოორდინატორს. სასწავლო პროცესის კოორდინატორი ამოწმებს შეფასების ინსტრუმენტის ტექნიკურ მხარეს, ხოლო შინაარსობრივ შესაბამისობას აფასებს პროგრამის ხელმძღვანელი. ხარვეზის გამოვლენის შემთხვევაში, შეფასების ინსტრუმენტი შესაბამისი რეკომენდაციებით უბრუნდება პროფესიულ მასწავლებელს. ხარვეზების გამოსწორებისა და შეფასების ინსტრუმენტის ხელახლა წარდგენის შემდეგ მას ენიჭება სტატუსი „ვალიდურია“, რისთვისაც დაწესებულების მიერ გამოყენებულია სპეციალურად შემქნილი ბეჭედი, რომელიც ვიზუალურად ადასტურებს ვალიდირებულ ინსტრუმენტებს. შეფასების პროცესში გამოიყენება მხოლოდ ვალიდური შეფასების ინსტრუმენტი.
სანდოობა: შეფასების პროცესში გამოიყენება მხოლოდ წინასწარ შეთანხმებული შეფასების ინსტრუმენტი, რომელიც ეფუძნება შესაბამისი მოდულით განსაზღვრულ სწავლის შედეგებსა და შეფასების მიმართულებებს. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით და მოიცავს პროცესზე დაკვირვებას, შედეგის/პროდუქტის შეფასებასა და გამოკითხვას. შეფასების მტკიცებულებები იდენტიფიცირებადია და ინახება პროფესიული სტუდენტის პორტფოლიოში რეგულაციით განსაზღვრული ვადის განმავლობაში, რაც უზრუნველყოფს შეფასების შედეგების შესაბამისი მტკიცებულებებით დადასტურებას.
გამჭვირვალობა: კოლეჯში მოქმედებს პროფესიულ სტუდენტთა წინასწარი ინფორმირების მექანიზმი შეფასების ჩატარების თარიღის, ადგილის, დროისა და ფორმის შესახებ. აღნიშნული ინფორმაცია სტუდენტებს მიეწოდებათ შეფასების პროცესამდე 5 დღით ადრე, ზეპირი ან ელექტრონული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომუნიკაციის საშუალებით. შეფასების შედეგების შესახებ პროფესიულ სტუდენტებს ინფორმაცია ინდივიდუალურად მიეწოდებათ, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მათ აქვთ შესაძლებლობა ისარგებლონ ინდივიდუალური კონსულტაციით.

სამართლიანობა: შეფასების პროცესში უზრუნველყოფილია პროფესიულ სტუდენტთათვის თანაბარი პირობების შექმნა და განმეორებითი შეფასების შესაძლებლობა. უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, დადგენილი ვადების შესაბამისად, მოითხოვოს განმეორებითი შეფასება. ასევე, საპატიო მიზეზით შეფასების პროცესზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში, სტუდენტს ეძლევა განმეორებით შეფასებაზე გასვლის შესაძლებლობა. სსსმ/შშმ პროფესიული სტუდენტებისთვის გათვალისწინებულია შესაბამისი მხარდაჭერის მექანიზმები.

ობიექტურობა: პროფესიულ სტუდენტთა შეფასება ხორციელდება წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად. შეფასების განხორციელების შემდეგ უზრუნველყოფილია შეფასების მტკიცებულებების შეგროვება და შენახვა. შეფასების პროცესი ეფუძნება პროფესიული სტუდენტის მიერ შესაბამისი მოდულით განსაზღვრული სწავლის შედეგების დადასტურებას. მოდულით განსაზღვრული კრედიტები პროფესიულ სტუდენტს ენიჭება ყველა სწავლის შედეგის დადასტურების შემდეგ.

ამრიგად, კოლეჯში მოქმედი შეფასების სისტემა უზრუნველყოფს შეფასების პროცესის თანმიმდევრულად, მტკიცებულებებზე დაფუძნებითა და პროფესიულ სტუდენტებზე ორიენტირებული მიდგომით განხორციელებას.

ექსპერტთა ჯგუფს ვიზიტის ფარგლებში შესაძლებლობა ჰქოდა ნიმუშის სახით ენახა პროგრამის წინა სტანდარტის დროს შექმნილი ვალიდირებული შეფასების ინსტრუმენტები და სტუდენტის შეფასების მტკიცებულებები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2.4.2.1 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;

კოლეჯში მოქმედებს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები, დამტკიცებული დირექტორის 2026 წლის მაისის N01-04/147 ბრძანებით, ბოლო ცვლილება: 2026 წლის 30 ივლისის №01-04/215 ბრძანებით. აღნიშნული დოკუმენტი, სხვა საკითხებთან ერთად, არეგულირებს ვერიფიკაციის პროცესების განხორციელებას. მექანიზმის შესაბამისად, კოლეჯში ვერიფიკაციის პროცესის ორგანიზებასა და განხორციელებაზე პასუხისმგებელია ხარისხის მართვის სამსახური.

კოლეჯში ვერიფიკაციის პროცესი ხორციელდება სამი ძირითადი მიმართულებით: შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, შეფასების პროცესის ვერიფიკაცია და მტკიცებულებების ვერიფიკაცია. აღნიშნული პროცესების მიზანია შეფასდეს და დადგინდეს, რამდენად არის დაცული ვალიდურობის, სანდოობის, გამჭვირვალობის, სამართლიანობისა და ობიექტურობის პრინციპები.

მექანიზმი ასევე განსაზღვრავს ვერიფიკაციის პროცესში ჩართულ პირებსა და მათ ფუნქციებს. პროცესში მონაწილეობენ ხარისხის მართვის მენეჯერი, ხარისხის მართვის კოორდინატორი და დარგის სპეციალისტები იმ მოდულების შესაბამისად, რომლებიც მათ კონკრეტული წლის ვერიფიკაციის გეგმით აქვთ განსაზღვრული.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დოკუმენტით განსაზღვრულია ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მექანიზმიც. კერძოდ, შეფასების ინსტრუმენტის შემუშავებაში მონაწილე დარგის სპეციალისტი არ შეიძლება მონაწილეობდეს იმავე შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაციის პროცესში. იმ შემთხვევაში, თუ კოლეჯს არ ჰყავს შესაბამისი ან მონათესავე დარგის სპეციალისტი, შესაძლებელია მოწვეულ იქნეს სხვა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამისი დარგის სპეციალისტი ან დარგის წარმომადგენელი. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს ვერიფიკაციის პროცესის მიუკერძოებლობას და გამორიცხავს იმავე დარგის სპეციალისტის მიერ მისივე შემუშავებული შეფასების ინსტრუმენტის შემოწმებას.

ვერიფიკაციის გეგმას შეიმუშავებს ხარისხის მართვის სამსახური, ხოლო ვერიფიკაციისთვის მოდულების შერჩევა ხორციელდება რისკების სისტემის საფუძველზე. ვერიფიკაციის პროცესის შედეგები აისახება შესაბამის დასკვნებში. საჭიროების შემთხვევაში, ხარვეზის არსებობისა და მისი სახეობის გათვალისწინებით, შესაძლებელია სამოქმედო გეგმის შემუშავებაც.

ხარისხის მართვის სამსახური ვერიფიკაციის შედეგად მომზადებული დასკვნების საფუძველზე დირექტორს წარუდგენს შესაბამის რეკომენდაციებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2.4.2.2 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;

კოლეჯის დირექტორის 24/03/2026 წლის N01-04/74 ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი ითვალისწინებს შეფასების მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვის პროცედურებს. დოკუმენტის მიხედვით, მოდულის დასრულების შემდეგ, მოდულის განმახორციელებელი შეგროვებულ მტკიცებულებებს შენახვისა და ელექტონული აღრიცხვის მიზნით გადასცემს სასწავლო პროცესის სპეციალისტს/კოორდინატორს, აუცილებელია, რომ შეგროვებული მტკიცებულებები იძლეოდეს შეფასებული პირის იდენტიფიცირების საშუალებას. მტკიცებულებები ინახება სტუდენტის პორტფოლიოში. პორტფოლიოები დაცულია შეფასების უწყისის გაფორმებიდან სამი წლის ვადით, ხოლო უწყისები სწავლის შედეგების მიღწევის შესახებ - ინახება მუდმივად. შენახული მტკიცებულებები, სამი წლის ვადის გასვლის შემდეგ, ნადგურდება ერთთვიან ვადაში, ან გადაეცემა პროფესიულ სტუდენტს მისი მოთხოვნის შემთხვევაში.
პრაქტიკა კოლეჯში

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2.4.2.3 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კოლეჯში პროფესიული სტუდენტის შეფასება ემსახურება არა მხოლოდ სწავლის შედეგების დადასტურებას, არამედ პროფესიული სტუდენტის შემდგომ განვითარებას. განმავითარებელი შეფასების პროცესში პროფესიული განათლების მასწავლებელი პროფესიულ სტუდენტს სისტემატურად აწვდის უკუკავშირს, აძლევს რეკომენდაციებს და უზრუნველყოფს მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების მიზნით. კოლეჯის დირექტორის 24/03/2026 წლის N01-04/74 ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მუხლი 10 ითვალისწინებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული სტუდენტის შეფასების შედეგების გაცნობას ინდივიდუალურად, კონფიდენციალურობის პრინციპის დაცვით. შეფასების შედეგების გაცნობის შემდეგ პროფესიული განათლების მასწავლებელი განმავითარებელი შეფასების ფარგლებში სტუდენტს აწვდის უკუკავშირს, აძლევს რეკომენდაციებს სწავლის შედეგების გაუმჯობესების მიზნით და, საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფს დამატებით კონსულტაციას. სტუდენტს ასევე უფლება აქვს საკუთარი ინიციატივით მოითხოვოს დამატებითი კონსულტაცია, რომლის ფორმასა და ვადებს განსაზღვრავს სასწავლო პროცესის კოორდინატორი/სპეციალისტი. შეფასების შედეგების საფუძველზე, საჭიროების შემთხვევაში, სტუდენტისთვის შესაძლებელია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებაც, რაც ხელს უწყობს მისი საგანმანათლებლო საჭიროებების გათვალისწინებასა და სწავლის შედეგების მიღწევას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2.4.2.4 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები“ დამტკიცებულია დირექტორის 2026 წლის მაისის N01-04/147 ბრძანებით, ბოლო ცვლილება 2026 წლის 30 ივლისის №01-04/215
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი დირექტორის 24/03/2026 წლის N01-04/74 ბრძანება
- ინტერვიუს შედეგები პასუხისმგებელ პირებთან.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია
დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

03.08.2026
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: